


საქართველოს საკათარიატო



2

საქართველოს საკათარიატო

თბილისი — 1986



ჯვარი უაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. 17 ს.

ძლიერებაო ჯვარო უაზისაო,
ღაგვიცევ და ღაგვიფარე ჩვენ



ქრისტი



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარების, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლიცენზიის-კურთხევით



ገጽ ገጽ ገጽ


ገጽ ገጽ ገጽ

ገጽ ገጽ ገጽ

ገጽ ገጽ ገጽ



უფალო, ძალი ერსა ზეენსა მოეც



ბალოზანი ვარძიის

ღმრთისმშობლისანი

იოანე შავთელი

თავნი იტყვან „ზესთა დიდებისა აღმატებულო და ან-
გელოზთა და კაცთა დიდებად შენდა, ვითარ შობისა და
ქალწულებისა, შემაერთებულო, ყოვლად წმიდაო ღმრ-
თისმშობელო, ვარძიისა მოსახელესა ტაძარსა შენსა ში-
ნა მგალობელი ვინმე შენი მაცხოვრე და მიჯსენ მე სუ-
ლიერისა ტყუეობისაგან“.

ზეცით მოჰმადლე
ენასა ბრგუდ მეტყუელსა
სიტყუა სიბრძნისა, დედოფალო, რამეთუ
თანანადებსა
დიდებათა შენთასა
ისრაილისა ზღუს განმპებთა მათ
დასთაებრ გიგალობთ!
—ეგვპტე კორცთაჲ
ბნელი დამონებისაჲ
იწროფსა მიერ, სხუაჲ საქმის მაწუეველი
სიბოროტედმი
აღძრვათა მწიკულებანთა,
ადგილო მეუფისა
—ღმრთისაო, ადგილად სიწმიდისა
მექმენინ აწ შენ ძლით!
აპრონის კუერთხი,
ტატუკი და სასანთლე
ერთბამად ტაბლა, კიდობანი, მანანაჲ,
ბესელიელის
უწყებითი კარავი
ლტოლკლისა ერისაჲ
ორკერძო გსნითურთ მოგასწავებდეს,

დედასა ღმრთისასა!

ახალმან გზამან

აღზღუდუთა წყალთაჲთა,

ეგერა მშულდი ძლიერთა მოუძღურდა

ბანაკისა მის სპარსთა და მიდელთაჲსა,

არაბთა განჰკუფდა ძალი საჭურველისაჲ,

და უძღურთა შეირტყეს

შენ მიერ ძალი!

ეტყვს მკედრობაჲ მადლობით უბიწოსა:

ნუ ვინ სიბრძნითა, ნუცა ყოვლად ძალითა

და სიმდიდრითა მოქაღულ არს რაჲთურთით

არამედ ამას ზედა მოქაღულობდინ,

ვითარმედ ღმერთი სრული

იშუა, ქალწულო,

თბითა ჩუენითა საშოჲსაგან შენისა!

ავაკომისი

რაბამ განსაკროთმელი

—შორთა საზღაურთა მყის წარტაცებაჲ

ოდეს გსნასა ტყუეთასა სახე ექმნა,

ბილწთა ყარყინთაჲთ

იბულოთა თანა,

სძალო ღმრთისაო, შეწევნითა შენითა!

აწ განვისუენო

დღისა მის წილ ჭირისა,

აღსლვასა ჩემსა და მრესახობისაგან

ქალდეველთა მათ სპარ/ს/თა და სომეხთასა

ავარის ტომთა

ლეგეონი მოიშთვის



ვარძია. „ხელთუქმნელი ნატი“



მეფე გიორგი III და თამარ მეფე

ნავთ მავლობისა ღმრთისაგან გამოსახვთ
გზუენა უცხოა
ელემისა გზა—ყოფაა
ლადისა მის მღვრისაჲ,
ზესთა კურთხეულო!
თავადი ღმერთი სიმაართლისა მსჯავრითა.
ამის სოფლისა კიდეთა მართებელი,
და—რა—ემკვდრა შენ შორის, მოსცა ძალი
აღმსარებელთა თუსთა
კადნიერებით
ათასეულსა მგმობართასა მიდრეკად!
ციხის ციხეთა და რკინის სარკველთაჲთ
თანა სკორეთა გლახაკებრივთა ტყუეთა
აღამაღლებს და აღადგინებს ქუეყანით
დავიწყებისაჲთ მკსნელი
ისმაიტელთაჲ
ღამრქველსა ძალსა, ქალწულო უბოოო!
ღამპრებ მნათობი ღამისათაჲ, უხრწნელო,
ოხრით
ჟურისა მიმართ მორწმუნეთაჲსა!
ოროგინესი შეიჩუნა სიცბილი,
ღმობაჲ ეწიენ დავრდომილთაჲ არიოზს,
აექჷნ ენაჲ ნესტორს სასასა მისსა,
ღადუმნა უღმრთოჲ და მოისპო კაცთაგან,
წყევით,
მკვდროანისა მყოფთა ისწავეთ!
იესეს ძირი ნანდვილვე აღყუავილნა,
დავითის ფიცმან მიიღო აღსასრული,
აღთქუმაჲ მამათაჲ ძედ მისდა იცნეს ყოველთა,
„ოსანნა. ძესა დავითისსა“ მკმობელთა,
ღამე
მსთუად განმანათლებელ ექმენინ ბნელსა!
რომელმან და ვინ არა იცნას სიმაართლე,
თქუა ჯამაღალმან, ვერ ყოს ჭეშმარიტებაჲ,
იგინი უკუე ქალწულისა შობასა
სინქურ ჰგონებდეს შეცთომილნი ამაოდ,
მტერნი
შობილისა და მშობელისანი!
ოხათა შენთა ძლიერებითა ვიგსენ
ბავთისა მისგან დიღევისა, ვითარცა
ელთაჲს მიერ პირველ სიკუდილისაგან;
წყლითა ოხათა შენთაჲთა დიდებულო!
ულმობელ იყო
ლოდები პრეტორისაჲ,
ეკრუა საქმე წყალობისაჲ ნაშობთა
ზეგდუზიანთა, ქურდთა და უცხოთესლთა,

ისარნი ნათელ,
საჭურველი ელვარე,
—აღცრად კორანსა ჯუარი და მოციქულნი!
შეედვა ძრწოლაჲ
ერსა აღბორგებულსა,
მოაკლდეს მათნი ცხოვარნი სამწყსოჲსაგან,
არა იცნა რაჲ ჯარმან ჯმაჲ, ვირმან ბაგაჲ.
ეკლესიისაჲ
რქაჲ ამაღლდა და განავრცნა
თმოგუსა შორის ტაძარი დედოფლისაჲ!
ესაიამან, რომელსა ნაკუერცხალი
ბაგეთა მისთა შეახო სერაბინმან,
„ესე რა შობად ქალწული მიუდგეს“, თქუა,
ძე შენი ცხადად
ასწავეს,
რამეთუ იგი არს ღმერთი
საცნაურსა შემეცნებასა!
აღტყინებული
შუღ წილ მგზებარე ალი
ეტყინებოდა რისხვით
ნათესავთაგან მოსაწყინელთა
სატანჯუელთა, ჩემ ზედა
აწუმე შენი
შეწევნაჲ,
იქმენ ჩუენდა მაცხოვარ,
ნათელო და მფარველო ჩემო!
არცა ვიღრემე
მსხუერბლი მუნ და ადგილი,
გარნა სულთქუმაჲ ცრემლითურთ,
აპყრობაჲ ჯელთა საკრველიანთაჲ
ლიტანიობით, ვინაჲ
ოქროჲსა ძეგლებრ
ბრძმედითა
ელვათა მათ შენთაჲთა
ღერწმისა მგეცნი შეურაცხჷვენ!
იგავთა მიერ
ლოცვთა იგსენ იონა, უბიწოო,
ოკერ იქმნეს რა ბორკილთა სიმტკიცენი!
ვითარცა მუცლით ჯოჯოხეთისაჲთ გეგმა,
ანუ ვითარცა ვეშპით, ვედრებაჲ ჩემი,
რომლისა კლიტე — საუკუნე მოქლონნი;
ძნელოვანთაგან უბადრუკებისათა
იგსენ ცხოვრებაჲ ჩემი, ღმრთისა დედაო!
იონა ექმნა სასწაულ ნინეველთა,
სახედ სამ დღისა აღდგომისა მკსნელისა,
აქა მექმნა მე სასწაულ ღმრთივ—დიდებული,

მრავალ ჟამისა კრულებათა განმჭრელსა,
 ოთხ ზღუდეთაგან და ებგურთა სივლტოლაჲ!
 სამადლობელთა მოგართუმენ, თანად ერნი
 აურაცხელნი ლიტანიობენ შენდა,
 ხოლო მე გმითა ქებისაჲთა გიმსხუერპლე,
 ევამს ცოდვსა დამწსნელო, რაოდენი
 ღმობიერებით აღთქუეს ბაგეთა ჩემთა!
 ეხეკიამსთა
 სახლის წულთა მათ ყრმათა
 არცხუნეს რაჲ პირველად
 ტყუეობასა მას უღმრთოსა ღმრთისა
 აღმმართებელსა მძლავრსა,
 ნოე აცხოვნა ნათესავი ცხოველთაჲ,
 მოსეს ელითა იჯსნეს ისრაიტელნი,
 ეშუ მადნართაჲ მძუნარი და ცეცხლი ძირთა
 სატკებნელ ჩემდა იქმნეს კუალად შენ მიერ!
 ულუმპიანი მძლეობაჲ მოგუენიჭა,
 ლახუარი მკდომთაჲ და ფარები შეიფქვა,
 ირემთა სრბითა განმტკიცენს ტყეთა ფერგნი,
 ეტიწეველთა ალი აღედვა ურჩთა,
 რისხვით დაემკუნეს საყდართაჲთ ურწმუნონნი!
 იძლევის ბრძენთა მეტყუელებაჲ და ვითარ
 სთქუ, ღმრთისმშობელო, ზეცისა წესთ თანა
 აჰა გნატრის შენ ყოველი თესლები და
 ვაოვეთ ჭეშმარიტებაჲ,
 იყო სადმე საგუმილი
 ნეტარებისა ღირსთა ჭაბუკთა.
 მაშინ არა განმღვევლ
 ეკლის—სახედთა
 შეწუვადთა

ეწუვებოდეს რაჲ გორცთა
 ნიჭად შენგან კორცშესხმადისა!
 იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე
 მაყულად, დანიელ მთად, გედეონ საწმისად.
 ანგელოზისა მოსლვითა შეცურეულთა,
 ცეცხლსა მას შინა ქადაგებს ყრმათა, რაჟამს
 ხატი ოქროსაჲ გინებითა კდეშულ ყვეს!
 ოხჭანი სავსე სასოებითა მექმნა
 ველ დეირისა და საჰმილ ქალდეველთა
 ნიავი რაჲ მყუდროჲ მცვიდა მე, და მიმო—
 ეკუეთებოდა ალითურთ რაჲ შეწევნაჲ,
 დატეხად მკეველთ—მსახურთა ზუაობისა!
 აკურთხევს შენგან შობილსა, უბიწო
 მეუფესა და ღმერთსა არსთა ქმნულებაჲ,
 იტყუს ყოველი განწესებაჲ, ვითარცა
 გმითა, ქებასა მისსა და აღიარებს
 საუკუნეთა შემოქმედად ღმერთაკაცად!
 ენოქ ესვიდა და გარდაცუალა ღმერთმან,
 ტომნი კაცთაგანი, რომელთათჳს გივმობ შენ.
 ყვენ მშულდ რვალისა მკლაფნი ჩემნი მარადის!
 უჩინოთაგან მღუმეთა სოფლისათა
 ექსორიობაჲ ჩემი აღმოიყვანე,
 ორბებ განახლდი სიჭაბუკე სულისაჲ,
 ბრალთაგან მივსენ ძლიერმან, დიდებულო,
 ინებე ყოფად ჩემ შორის უბიწო!
 საგალობელთა ამათ შესხმათა მიერ
 აღიდებს სული ჩემი შენგან შობილსა,
 გალობს ტაძარი შენი, ყოვლად უხრწნელო,
 ადამის წსნაო და ევამს აღდგომაო,
 ნიჭად მომმადლე შენდობაჲ გამომთქუმელსა!



უპირველესად ყოვლისა, აღვაგლნეთ ლოცვებს, რომ მშვიდობა, ურთიერთთანამშრომლობა სუფევდეს ჩვენს ერებსა და სახელმწიფოთა შორის. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. მოხარულნი ვართ, თქვენო უნეტარესობავ, რომ მოუღლე-ლად იღვწით მშვიდობის დაცვის საქმეში, ყველაფერს აკეთებთ იმისათვის, რომ მშვიდობა, თანამშრომლობა, არა მარტო სასულიერო პირთა შორის, არამედ სხვა სფერო-შიც, განმტკიცდეს ჩვენს ქვეყნებში. გისურვებთ დიდი წა-რმატებებს. მუდამ მოხარულნი ვიქნებით საქართველოში თქვენი ჩამობრძანებით. ჩვენ ვლოცავთ ამერიკის მართ-ლმადიდებელ ეკლესიას, თქვენს წმიდა სინოდს, თქვენს მრევლს. აქვე, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ დღეს ჩვენთან ერთად, წირვა-ლოცვაში მონაწილეობას ღებუ-

**კაპიტანის მთავარკაცისკოვის,
სრულიად ამერიკისა და კანადის
მიტროპოლიტის, უნეტარეს
თეოდოსის სიტყვა**

თქვენო უწმიდესობავ,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო ილია!

დიდი სიხარულით მივიღეთ თქვენი მოპატიჟება, რომ ვსტუმრობოდით საქართველოს უძველეს ეკლესიას. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ეს არის ჩვენი მეორე ვიზიტი, როგორც ეკლესიის მეთაურისა. ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს და რწმენას, რომ თქვენ ასევე მალე ჩამობრძანდებით შეერთებულ შტატებში და იქნებით ჩვენი სტუმარი. ასეთი გაცვლითი ვიზიტები გვეხმარება უფრო მეტად გავადრმოთ ჩვენი ურთიერთობა, შევხვდეთ ერთმანეთს სიყვარულით, ნდობით, მშვიდობის რწმენით. ბევრი ქართველია შეერთებულ შტატებში, რომლებიც ჩამოვიდნენ ოდესღაც და დასახლდნენ იქ. ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება, რომელიც ცხოვრობდა შეერთებულ შტატებში, იყო პროტოპრესვიტერი იასონ კაპანაძე. ის ჩამოვიდა ამერიკაში მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო. მისი მოღვაწეობა დაიწყო ალიასკაში. მალე ის თავის საშობლოში — საქართველოში კურთხევის შემდეგ, (როდესაც აყვანილ იქნა მღვდლის ხარისხში), კვლავ ჩამოვიდა შეერთებულ შტატებში და შემდგომ მისი მოღვაწეობა გაგრძელდა ქალაქ კლივლენდში, ოჰაიოს შტატში. იქ მისი ხელმძღვანელობით აშენდა ეკლესია წმიდა თეოდოსის სახელობისა, რომელიც ჩემი

ლობდა მისი უწმიდესობის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, პიმენის წარმომადგენელი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, სერპუხოვის ეპისკოპოსი კლიმენტი, რომელიც არის მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოგესალმებით, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ. ეს არის თქვენი პირველი ვიზიტი საქართველოში. თქვენი სახით ჩვენ მივესალმებით მის უწმიდესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ პიმენს და რუსეთის ეკლესიას.

თქვენო უნეტარესობავ, კიდევ ერთხელ მოგესალმებით საქართველოს წმიდა სინოდის სახელით, კურთხეული იყოს ჩვენი ორი ვიზიტი, ორი ქვეყანა, ორი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია, ამინ.

მფარველია. მე თვითონ ავიყვანე მღვდლის ხარისხში მისი შვილის შვილი იასონ კაპანაძე. იგი დღესაც იქ მოღვაწეობს. ისინი არიან იქ, რათა გვაკურთხოთ ჩვენ და ასევე ჩვენც ვაკურთხოთ მათ. გვახსოვს სიტყვა ანგელოზისა, რომლითაც მან მიმართა მწყემსებს, როდესაც ქრისტე იშვა, „დიდება მალაღობა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. და ჩვენ მართლმადიდებელ ქრისტიანებს გვწამს, მუდამ ჩვენთან არს ღმერთი ჩვენი, მისი დიდება. ხოლო მშვიდობისათვის აღვაგლნეთ ლოცვებს არამარტო წირვა-ლოცვის დროს, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ჩვენ მუდამ ვლოცულობთ კეთილი ნების ადამიანებისათვის. სამღვდელო პირებს დიდი მისია გვაკისრია; ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ხალხს მშვიდობის, სიყვარულისა და ურთიერთგაგების გზა. ვიცით, რომ დღეს ბევრი დაბრკოლება არსებობს, ბევრი უშლის ხელს მშვიდობას. მაგრამ გვწამს, ყველაფერი კარგად დამთავრდება. გზა სიყვარულისა და მშვიდობისა, რომელიც ჩვენ გვწამს, გამოინახება. მშვიდობა ბოძებულია ღვთისაგან. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვიცხოვროთ, როგორც ერთმა ოჯახმა, როგორც დებმა და ძმებმა. ამგვარი ვიზიტები არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ხალხთა შორის დაახლოებისათვის. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვხედავთ თქვენს სახეებს და თქვენ კი ჩვენსას. მოდი, აღვაგლინოთ ლოცვა, რომ ეს არ იყოს ბოლო ვიზიტი ამერიკელებისა საქართველოში და ქართველებისა ამერიკაში. კიდევ ერთხელ მიიღეთ, თქვენო უწმიდესობავ, დიდი მადლობა იმ გულთბილი სტუმართმოყვარეობისა, სიყვარულისა და სითბოსათვის, რომელიც მოგვანიჭეთ.





უნეტარესი თეოდოსი საქართველოს ეკლესიის სტუმარი



სრულიად საპატრიარქოს კათოლიკოს- პატრიარქ ილია II-ის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

17-27 სექტემბერს /30. 9-10. 10/ სრულიად კანადისა და ამერიკის მთავარეპისკოპოსის, ვაშინგტონის მიტროპოლიტი თეოდოსის მიწვევით შედგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებული შტატების მართლმადიდებელ ეკლესიაში. მის უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II-ს ვიზიტის დროს თან ახლდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი /ჭკადუა/, დეკანოზი ზურაბ სირაძე და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა.

დალასის საერთაშორისო აეროპორტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ: მიტროპოლიტი თეოდოსი, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიისა და ვაშინგტონის ეპარქიის მღვდელმთავრები, სამღვდლოება და სხვა ოფიციალური პირები.

ოფიციალური მისაღებების შემდეგ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II და მისი უნეტარესობა თეოდოსი მათი თანმხლები პირებით ვაშინგტონში გაემგზავრნენ. იმავე საღამოს ბელგიუ ოტელში, სადაც საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ცხოვრობდა, გაიმართა ოფიციალური ვახშამი.

მეორე დღეს ვაშინგტონის წმიდა ნიკოლოზის საკათედრო დარბაზში შედგა საზეიმო საღმრთო ლიტურგია. ლიტურგიას, რომელსაც საქართველოსა და ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიების ორი მღვდელმთავარი ასრულებდა, ესწრებოდნენ: ანტიოქიის, სომხის კათოლიკური, აშშ ეპისკოპალური და პრესვიტერიანული ეკლესიების წარმომადგენლები.

დღის მეორე ნახევარში აშშ ეპისკოპალური ეკლესიის ვაშინგტონის ეროვნულ საკათედრო ტაძარში მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, ილია II-ს მისასაღებელი სიტყვით მიმართეს ტაძრის წინამძღვარმა, ღირსმა ჩარლზ პერმ და აშშ ქრისტეს ეროვნული ეკლესიის წარმომადგენელმა, ღირსმა ბრიუს რიგდონმა.

19/2.10/ ოქტომბერს არლინგტონის ნაციონალურ სასაფლაოზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და მიტროპოლიტმა თეოდოსმა ოფიციალური ცერემონიებით დაასვენეს გვირგვინი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

იმავე დღეს მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II და მისი უნეტარესობა თეოდოსი მათი თანმხლები პირებით ესტუმრნენ საბჭოთა კავშირის საელჩოს, სადაც ისინი მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩმა, ბატონმა დუბინინმა. საუბარი ეხებოდა საბჭოთა კავშირ-ამერი-

კის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხებს, მშვიდობასა და ეკლესიების როლს ამ ურთიერთობების გადრმავეების საქმეში.

მიღების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ინტერვიუ მისცა რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტს.

საღამოთი, ველინგტონის ცენტრში ვაშინგტონის ეპარქიის სამღვდლოებამ გამართა ოფიციალური ვახშამი საქართველოს ეკლესიის პატივსაცემად.

ვაშინგტონში ყოფნის დროს საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ლინკოლნის მეორიადი, სმიტსონის ინსტიტუტი, აერონავტიკის მუზეუმი, ჯორჯ ტაუნის უნივერსიტეტი, /სადაც შეხვდნენ უნივერსიტეტის პრეზიდენტს — ღირს /ტომას ჰილის/, ვულსტოკის ბიბლიოთეკა, ბიზანტიოლოგიის ინსტიტუტი და მუზეუმი, სადაც შეგროვილია ბიზანტიური ეპოქის ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, კოლუმბისდროინდელი ხელოვნების მუზეუმი — აცტეკების, ინკების, ოლმეკებისა და მაიას კულტურის უნიკალური ნიმუშებით; ასევე ვაშინგტონის სხვა ღირსესანიშნაობები.

20 /3. 10/ სექტემბერს-საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ნიუ-იორკში გაემგზავრა.

ნიუ-იორკის დაგუარდიის აეროპორტში მის უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II-ს, მის უნეტარესობა თეოდოსსა და მათ თანმხლებ პირებს დახვდნენ ნიუ-იორკისა და ნიუ-ჯერსის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი პეტრე, ეპარქიის სამღვდლოება და სხვა ოფიციალური პირნი.

საღამოს, ეპისკოპოს პეტრეს რეზიდენციაში, ბრონკვილში, მოეწყო ოფიციალური ვახშამი.

21 /4. 10/ სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, მიტროპოლიტი თეოდოსი და მათი თანმხლები პირები წმიდა ვლადიმერის საღვთისმეტყველო სემინარიაში გაემგზავრნენ, სადაც ორი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებმა სამღვდლოებასთან ერთად, ადასრულეს სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია, მიძღვნილი სემინარიის ზეიმისადმი. საზეიმო საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ წმიდა ვლადიმერის სემინარიის რექტორმა ღირსმა ჯონ მაინდორფმა მის უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II-ს გადასცა წმიდა ვლადიმერის სემინარიის ღვთისმეტყველების დოქტორის დიპლომი.

კვირას, 22 /5. 10/ სექტემბერს ნიუ-იორკის წმიდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძარში შესრულდა საღმრთო ლიტურგია.

საღამოს, მიტროპოლიტ თეოდოსის რეზიდენციაში, სიორეტში, გაიმართა მიღება მისი მღვდლად კურთხევის 25 წლისთავთან დაკავშირებით.

23 /6. 10/ სექტემბერს რუმინეთის საპატრიარქოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა აშშ-ში სერაუხოვის ეპისკოპოსმა კლიმენტიმ მოაწყო ოფიციალური მიღება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად.

24 /7. 10/ სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია გაემგზავრა წმიდა ტიქვინეს საღვთისმეტყველო სემინარია-მონასტერში /პენსილვანიის შტატი/. გზაზე, წმიდა აღდგომის ტაძარში, უილკს-ბარეში, მის უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II-ს და მის უნეტარესობა თეოდოსს შეხვდა ფილადელფიისა და აღმოსავლეთ პენსილვანიის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი გერმანე და ეპარქიის სამღვდლოება.

საღამოთი მონასტრის ეკლესიაში გაიმართა საერთო ლოცვა. ლოცვას ესწრებოდნენ წმიდა ტიქვინეს მონასტრის ბერები და საღვთისმეტყველო სემინარიის სტუდენტები.


მეორე დილას კი გაიმართა საღმრთო ლიტურგია და პარაკლისი, რომელიც მისმა უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II-მ შეასრულა.

26 /9. 10/ სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ საბჭოს. ისინი მიიღო საბჭოს გენერალურმა მდივანმა ღირსმა არი ბრაუერისმა.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დათვალიერა ნიუ-იორკის ღირსშესანიშნაობანი, ეწვია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. აშშ-ში ყოფნის დროს არაერთხელ გაესვა ხაზი ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთნდობისა და მეგობრობის აუცილებლობას, როგორც მშვიდობის საწყისს არა მარტო ჩვენს შორის, არამედ მთელს მსოფლიოში.



ამერიკის შეერთებულ შტატებში



დეკემბი, ეკისტოლენი.

მის უწმიდესობას, რომის პაპს იოანე-პავლ II-ს

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, გულითადად მოგესალმებით და მოგიკითხავთ. დმერთმა დიდი წყალობა, გულის სითბო, სულიერი სიხარული და ჯანმრთელობა არ მოგაკლოთ, ეკლესიას თქვენსას კი შეძღვოთ წინსვლა მოჰმადლოს.

გადმომცეს თქვენი გულთბილი მოკითხვა ასიზის ლოცვის მონაწილეებმა, ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლებმა — მიტროპოლიტმა კონსტანტინემ /მელიქიქე/ და მღვდელმა დავით დათუაშვილმა. ისინი ფრიად კმაყოფილნი არიან ამ შეხვედრით, ბედნიერნი თქვენთან სტუმრობით დ ნასიამოვნებნი შექმნილი საერთო სიტუაციით;

ყოველივე ამისათვის მადლობას გწირავთ პირადად მეც. ვიმედოვნებ, ასიზის ლოცვა გამოიღებს დიდ სულიერ ნაყოფს და შეეწევა მშვიდობისათვის მებრძოლთ.

ჩვენი მხრივ 14/27/ ოქტომბერს განსაკუთრებული ლოცვა აღვაგლინეთ სიონის საკათედრო ტაძარში. აქ ჩატარდა მშვიდობის დღისადმი მიძღვნილი პარაკლისი, რომელიც მე თვითონ შევასრულე.

თქვენო უწმიდესობავ, ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება. ვრჩები მარად თქვენი ერთგული და ლოცვათა შინა მარად მომხსენიებელი.

ილია II.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თქვენო უნეტარესობავ

ძმური სიყვარულით მივიღეთ თქვენი წერილი, რომელშიაც იხსენებთ ჩვენს მიერ თქვენი წმიდა ეკლესიის მლოცვას და, ასევე, ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა თაყვანისცემას ჩვენი რწმენის უწმიდესი ადგილებისადმი.

დიდად აგვადელვა თქვენმა სურვილმა, კვლავ განვაახლოთ საქართველოდან წმიდა მიწაზე მლოცველთა ჩა-

მოსვლის ძველი ტრადიცია. განსაკუთრებული სიამოვნებით მივიღებთ და მივესალმებით თქვენი უნეტარესობის მიერ გამოგზავნილ ყველა დელეგაციას.

მოუთმენლად ველით თქვენს ჩამობრძანებას იერუსალიმში, ან თქვენი წარმომადგენლებისა, რომლებსაც ჩვენ ყოველგვარ საჭირო დახმარებას გავუწევთ.

გებევით ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით

ილია II
იერუსალიმის პატრიარქი.

**მის უზმიდესობა ი ლ ი ა II-ს,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქს**

ჩვენ, ყველას, ვისაც ღრმად, ქრისტიანულ საიდუმლოებათა სისრულით გვწამს უფლის აღდგომა, დღესასწაული მისი გვიხმობს და გვიბძვებს, სიხარულით გავი-აზროთ ჩვენს შორის არსებული ერთობის ძალა.

ეს დღესასწაული გვითბობს გულეებს და მოგვიწოდებს ერთად აღვუდგეთ წინ დღევანდელი ურთულეს პრობლემებს.

ცეცხლი ღვთაებრივი სიყვარულისა, რომელიც იხი-ლა მოსემ ქორების მთაზე, და რომელიც კიდევ უფრო დიდებულად წარმოჩინდა გოლგოთაზე, როგორც ჯვარცმუ-ლი სიყვარული, ეკლესიის მარადიულ საფიქრალს წარ-მოადგენს.

ცხადია, ჩვენ ქვეყნიერების ისტორიის ახალ ერაში ვიმყოფებით, ერაში, რომელშიც ადამიანის სიძულვილმა და სიხარბემ შესაძლოა სავალდლო შედეგი მოგვცეს. და მაინც, აღდგომის დღესასწაული გვიხმობს, განსაკუთრე-ბით ასეთ ჟამს, რათა მივუხლოთ ქრისტეს, ის არის ნა-თელი ქვეყნიერებისა.

მიციქულ პავლეს მოწოდების პასუხად, ჩვენ, „ღამე იგი განგუეშორა და დღე შემოგუეახლა: განვიშორნეთ უკვე საქმენი ბნელისანი და „ყოველნი შევიმოსოთ სა-ჭურველი ნათლისაჲ“ (რომ., 13, 12) ასე რომ, მოვიკრი-ბოთ ძალნი სიცოცხლის ნობათის გადასარჩენად, ქრის-ტეს მსგავსად, მოძმეთა სამსახური ვიდოთ თავს.

მივაბიჯებთ რა აღდგომის სინათლეში, გვწამს, რომ „ესე მოვიდა მოწამედ, რაათა წამოს ნათლისა მისთჳს, რაათა ყოველთა პრწმენეს მისგან (იოანე. 1. 7.), ამ რწმე-ნით უფრო იზრდება, ძლიერდება ქრისტეანეთა შორის სრული ერთობის, განახლების სურვილი. ჩვენი ეკლესი-ების უფრო მჭიდრო ერთობის საწინა-ხილული მაგალი-თით დანაწევრებულ კაცობრიობას ვუჩვენოთ — (ვასწავ-ლოთ) გზა მშვიდობისა და თანხმობისა.

აი, ამ ფიქრებით, საყვარელო ძმო, გიძღვნით გული-თად, საუკეთესო სურვილებს, და ხელახლა გიზიარებთ კეთილგანწყობილების გრძნობებს უფლის აღდგომის ამ ბრწყინვალე დღესასწაულზე.

ი ლ ა ნ ა — პ ა პ ლ ე II
რომის პაპი, ვატიკანიდან

თქვენი უზმიდესობა

ცენტრალური კომიტეტის კრება დრეზდენში დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ასე მოგვიანებითაც, მე კვლავ მინდა გამოვხატო უდიდესი მადლიერების გრძნობა თქვენს მიმართ. ჩვენს მიერ სასტუმრო „ნევაში“ ჩატარე-ბული საუბარი ძალზე სასარგებლო გამოდგა. პირველად, ჩემს ცხოვრებაში, მე დავამყარე ნამდვილი კონტაქტი თქვენს ეკლესიასთან. დაბრუნების შემდეგ, წავიკითხე რამდენიმე დამატებითი მასალა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ჩემი კარგი მეგობარი პროფ. დრ. ფარი ფონ ლილი-ენგელდი ამ რამდენიმე წლის წინ ყოფილა თქვენთან. საკ-მაოდ ბევრი ვიმსჯელეთ მე და გერმანიის ევანგელისტუ-რი ეკლესიის საგარეო განყოფილების წარმომადგენელმა დრ. ჰელდმა, და მივედი იმ დასკვნამდე, რომ უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ეკლესიებს შორის უფრო ახ-ლო კონტაქტის დამყარებასა და განმტკიცებას. ამ კონ-

ტაქტის საშუალებით, ვიმედოვნებ, ბევრი მნიშვნელოვა-ნი საკითხი გადაწყდება მომავალში.

გაუწყებთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, მართალია, ჯერ კიდევ არ არის ქრისტიანობის მტკიცე მიმდევარი, მაგრამ მთელი სერიოზულობით იყენებს ეკლესიის მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობებს. ისინი შესანიშნავად უთავსებენ ერთმანეთს ბიბლიის სწავლასა და თავგამო-დებულ მოღვაწეობას დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ დამაკავშირებთ ვინმე გერმანული ენის მცოდნესთან.

ჩემში სიამაყის გრძნობას იწვევს თქვენი დიდი წმი-დანის, წმიდა გიორგის ხატი.

ღმერთმა დაგლოცოთ, თქვენს ფრიად მნიშვნელოვან მოღვაწეობაში.

ქრისტესმიერი თქვენი რ ი ნ ა რ დ გ რ ო ს კ ა რ დ ი

ბერლინი. ევანგელური ეკლესიის კავშირიდან

თქვენო უწმიდესობას

მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მისი უწმიდესობის, პაპი იოანე-პავლე II-ის გადაწყვეტილებით, მე დამეკისრა რომის კათოლიკური ეკლესიის აღმოსავლეთის ინსტიტუტის რექტორობა.

თითქმის 70 წელია, ინსტიტუტი იღვწის, ხელი შეუწევს აკადემიურ გამოკვლევებს და მათს სწავლებას, რათა უფრო ფართოდ შეიმეცნოს აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის დიდი ტრადიციები, მისი ღვთისმეტყველება და დამსახურება, მათი სულიერება და საეკლესიო დისციპლინა.

ვიწყებ რა საქმიანობას, როგორც ინსტიტუტის რექტორი, მსურს დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ინსტიტუტის კარები მუდამ ღია იქნება ნებისმიერი დახმარებისათვის, რომელიც შეიძლება დასჭირდეთ ქართულ სტუდენტებს და, საერთოდ, ნებისმიერი მხარდაჭერისათვის, რომელსაც შესაძლოა თქვენ მოელოდეთ ჩვენგან. გამოვითხოვ თქვენს ლოცვა-კურთხევას.

უფლისმიერ თქვენი **ჰიგო-პირილუ კიოვა**

რომიდან.

თქვენო უწმიდესობას

უდიდესი სიამოვნებითა და გულწრფელი მადლიერებით ვიხსენებ ჩვენი ჯგუფის წევრები და პირადად მე ვიზიტს საქართველოს საპატრიარქოში. თქვენი სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა განსაცვიფრებელია. განსაკუთრებით მინდა გამოვხატო მადლიერება თქვენს მიერ მოძღვნილი ძვირფასი ჯვრის, წიგნების — „ქართული მინანქარი“, „თბილისის მეგზური“ და ქართული სიმღერების ფირფიტების გამო. ისინი მუდამ გავგახსენებენ საქართველოს, მის კულტურასა და რწმენას.

ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა თქვენთან

საუბარმა. დაუვიწყარი სიამოვნება მოგვანიჭა სიონისა და საქართველოს საპატრიარქოს სხვა ეკლესიების მობილვამ.

ვიმედოვნებ, უკვე მიღებული გექნებათ საღვთისმეტყველო წიგნები, რომლებიც გამოგიგზავნეთ.

ღმერთმა აკურთხოს თქვენი ეკლესია, თქვენი მრევლი, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ ყოველივე სიკეთე და ჯანმრთელობა.

დ. ვალტარ მიულერ-რომანოვი.

ფრანკურტიდან.

თქვენო უწმიდესობას

საქართველოდან ქენევაში დაბრუნების შემდეგ მინდა უდრმესი მადლობა გიძღვნათ გულუხვი მასპინძლობისა და ყველა იმ სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენ მოგვანიჭეთ თბილისში გატარებული დღეების განმავლობაში.

საქართველოში სტუმრობით შევიძინეთ ახალი გამოცდილებანი და ბევრი რამ გავიგეთ თქვენი ეკლესიის შესახებ. მთელი სიმწვაფით იგრძნობოდა, რომ თქვენთან ქრისტიანული რწმენა შეადგენს ისტორიული და ეთნიკური ერთიანობის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, რაც თავის მხრივ, თქვენს ეკლესიასა და ხალხს სხვა მართლმადიდებელი ეკლესიებისაგან განასხვავებს. დიდად მადლიერნი ვართ, რომ მოგვეცა ეკლესიების ნახვისა და ხალხთან შეხვედრის, ურთიერთობის შესაძლებლობა. ამ გზითაც ბევრი რამ გავიგეთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე საეკლესიო ცხოვრებამ, ღვთისმსახურების მდიდარმა რიტუალმა და

ხალხის სიკეთემ. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გამოვხატოთ მისი მძალეოვლადუსამღვდელოების, მიტროპოლიტ დავითისა და ბატონ ბორის გაგუას მიმართ, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს ჩვენთვის და მოგვცეს ბრწვნივალე დისკუსიების ჩატარების შესაძლებლობა.

თქვენო უწმიდესობავ, ვიმედოვნებთ, რომ ღვთის ნებით, ჩვენ კვლავ ჩამოვალთ საქართველოში და უფრო ახლოს გავიცნობთ თქვენს ქვეყანას.

დაე, უფალმა და ჩვენმა მსხნელმა იესო ქრისტემ აკურთხოს თქვენი ეკლესია, თქვენი ერი და მრავალჟამიერ არსებობა მიანიჭოს თქვენს საპატრიარქოს.

გამოვითხოვთ რა თქვენს ლოცვებს, ვრჩებით პატივისცემით, ქრისტესმიერად თქვენი

არქიმანდრიტი დრ. **განალოც ლიგოურისი,**
ღირსი დრ. **პიუნთარ განგანო.**

ჟნევიდან

ქართული ლოცვა ასოზში

„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს,
უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ /ზს. 28. 11/

მშვიდობისათვის ბრძოლა მთელ მსოფლიოში თანდათან ფართოვდება. ატომური ომის საშიშროებამ გააერთიანა მსოფლიოს სულ სხვადასხვა წყობისა და რწმენის ადამიანები. რომში /ვატიკანი/ შედგა კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა თათბირ-სემინარი და გადაწყდა საერთო ლოცვისათვის მსოფლიოს ყველა რელიგიისა და აღმსრულებლობის წარმომადგენლები მიეწვიათ ქალაქ ასოზში.

მიღებული საერთო პროგრამის შესაბამისად გამოიცა ლიტურატურა, ბროშურები, ბიბლიური საკითხავები, სურათები, დამზადდა ვიძეულ-ნიშნები, მედალიონები და სხვა.

ამ დიდებულ ფორუმზე საქართველოს ეკლესიიდან მონაწილეობა მიიღო ორმა წარმომადგენელმა: სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმა დავით დათუაშვილმა და მე.

რომში 13/26/ ოქტომბერს ჩავვედი.

იმავ დღეს, ცოტაოდენი შესვენებისა და საზრდელის მიღების შემდეგ, საერთო ავტობუსით, სხვა ქრისტიან დელეგატებთან ერთად გავემგზავრეთ ქალაქ ასოზისაკენ. მგზავრობა დიდად სასიამოვნო აღმოჩნდა. მიუხედავად შემოდგომისა, დაბა-სოფლები მწვანეში იყო ჩაფლული.

ასოზი მშვენიერი ქალაქია. იგი მაღლობზეა გაშენებული. უკვე დამე იყო, მის შემოგარენში რომ შევედი. მთელი ქალაქი სხვადასხვა ფერის ლამპიონებით იყო განათებული. ხალხის არაჩვეულებრივი სიმრავლე ერთი შეხედვითაც „საერთო ლოცვისადმი“ უდიდეს ინტერესს მოწმობდა. ქუჩები სავსე იყო ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოსული უცხოელებით. ათასობით პრესის მუშაკი, ფოტოკორესპონდენტი, კინო გადაღებები უკუფიქსები და ასევე, სალოცავად მოსული მოქალაქენი ტაშითა და შეძახილებით შეგვხვდნენ. ერთ-ერთი შენობის დიდ დარბაზში შეკრებილთ მიესალმნენ ქალაქის მერი, გუბერნატორი და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

მეორე დღეს, ადრე დილით, ავტობუსით წმიდა ფრან-

ცისკ ასოზელის სახელობის დიდებული ტაძრისაკენ გავემგზავრეთ. მისადგომებთან უამრავი ხალხი იდგა.

მთავარ შესასვლელში დადგა პაპი იოანე-პავლე II. იგი ყველა რელიგიურ დელეგაციას ესალმებოდა და ლოცავდა.

ტაძრის სიღრმეში, საკურთხეველის წინ, მოშადებულ იყო დიდი აბზიონი ერთიანი საფარით, რომელზედაც ნახევარწრედ სავარძლები იდგა. ყოველ სავარძელს ჰქონდა ნომერი და წარწერა, თუ რომელი ეკლესიის, ან რელიგიის წარმომადგენელს ეკუთვნოდა იგი. დელეგაციების განლაგების შემდეგ კონსტანტინოპოლისა და ანგლიკანური ეკლესიების წარმომადგენელთა თანხლებით შემოვიდა რომის პაპი და დადგა ცენტრში. მის მარჯვნივ დააყენეს ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები: პირველად კონსტანტინოპოლისა, მერე ინგლისის, ანტიოქიის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსისა და სხვა /ზოგიერთ ეკლესიათა წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ/. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები დააყენეს მათთვის დიპტიქით ისტორიულად კუთვნილ ადგილზე, რაც ამ დიდ ფორუმზე ყველამ კარგად იგრძნო.


პაპის მარცხნივ არაქრისტიანული სჯულის წარმომადგენლები იდგნენ. პირველად ბუდისტები, შემდეგ ინდუსები, ებრაელები, მუსულმანები, ასე განსაჯეთ, შუა აფრიკის წარმართული სარწმუნოების წარმომადგენლებიც და სხვა.

საერთო მისალმების შემდეგ, რომის პაპმა წარმოთქვა მოკლე შესავალი სიტყვა, სადაც განმარტა მიზანი და იდეა ამ დიდებული შეკრებისა და ის, რომ მშვიდობისათვის ზრუნვამ ის აიძულა მიემართა ამ უმაგალითო მასშტაბის „საერთო ლოცვისათვის“, სადაც ყველა რელიგია ურთიერთთან განეწეობა მეგობრულად და როგორც ერთი, დიდი სულიერი ძალით ადავლენს საკუთარ ლოცვას მშვიდობისათვის; ადავლენს შიშის განსაქარვებლად, ხალხთა მომავალი კეთილდღეობისათვის.

პაპის შემდეგ მოკლე სიტყვებით გამოვიდნენ კონს-



ვატიკანი. რომის პაპთან



ტანტინოპოლის, ანტიოქიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. შესატყვისი ადგილები წაიკითხეს ბიბლიიდან, სახარებიდან.

ასევე სიტყვებით გამოვიდნენ სხვა სარწმუნოებისა და აღმსრულებლობის წარმომადგენლები. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ მღვდარე ლოცვასა და გალობაში, რასაც დიდი ყურადღება ექცეოდა.

ამის შემდეგ, ნაშუადღევს ტაძრიდან გამოსული დელეგაციები მწყობრად, ფეხით გაემართნენ საგანგებოდ შერჩეული და მომზადებული მოედნისაკენ, სადაც უნდა შესრულებულიყო „საერთო ლოცვა“ დია ცის ქვეშ“.

გზის ამ მონაკვეთზე ქუჩების ორივე მხარე გაჭვდილი იყო ხალხით. იღებდნენ კინოს, ფოტოსურათებს... თვითული მორწმუნე ცდილობდა ჩვენგან მიეღო ლოცვა—კურთხევა, შეგვხებოდა, ან პირჯვარი გადაგვეწერა. მათი ღვთაებრივი სიხარულით გაბრწინებული სახეები დაუვიწყარია.

„შესწირევით უფლისა დიდებასა სახელისა მისისასა, თაყვანის ეცით უფალსა ეზოსა შინა წმიდასა მისსა. /ფს. 28, 2/.

ადგილი, სადაც საერთო ლოცვა შესრულდა, შენობებს შორის იყო მოქცეული. აქაც შექმნილი იყო უზარმაზარი „ამბიონი“ და დელეგატები იმავე წესით განაღებეს.

რომის პაპმა საკმაოდ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. დაიწყო საერთო ლოცვა — გალობა. მართლმადიდებლებმა საერთო ლოცვა შევასრულეთ და ვიგალობეთ დიდხანს. ყველა თავისებურად ასრულებდა ლოცვა—გალობას.

მიუხედავად ბუნების ჭირვეულობისა /ძალიან ცივი დღე იყო/, დიდი მადლი და სიმშვიდე გადმოდიოდა ციდან. მოგვიანებით გაიხსნა ჩვენს თავზე დრუბელი და ცისარტყელას ფერებით შემკული სინათლე გადმოიდგარა. ესეც სასწაულებრივი ნიშანი იყო იმისა, რომ დმერთს

„სათნო ეყო“ აღვლენილი ლოცვები, გვინდოდა ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა, რასაც ვგრძნობდით და რის მოწმენიც გაუხდით...

ეს იყო უმაგალითო ფორუმი მსოფლიო რელიგიათა ისტორიაში, სადაც ყველა რჯულის წარმომადგენელი ერთნაირი გატაცებით ლოცულობდა თავისი სარწმუნოებისა და ერისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის. მოედნის გარშემო ხალხს დასაჯდომი აღარ ეყო და უმეტესად ფეხზე იდგა.

„საერთო ლოცვა“, რომელიც თითქმის 4 საათს გაგრძელდა, დამთავრდა იმით, რომ ყველას დაურიგეს ღიმონის მწვანე შტოები /ნერგები თავიანთი ქილებით/ ნიშნად საერთო სიხარულისა.

მეორე დღეს, სამშაბათს, დავბრუნდით რომში. ჩვენ ვითხოვეთ რომის პაპთან შეხვედრა. მან იმავე დღეს თავის რეზიდენციაში მიგვიღო.

პაპმა მოიკითხა მისი უწმიდესობა ილია II, აღნიშნა საქართველოს ახალი წარმატებანი. გამოგვაცანა ვერცხლის ჯვარი შესანიშნავი ტვიფრით, ჩვენც ასევე დავკასანუქრა ჯვრებით. საუბრის შემდეგ წამოდგა და გვითხრა: ახლა სამახსოვრო სურათები გადავიღოთ. უეცრად გაჩნდა იქ ოთხი ფოტოკორესპონდენტი. მეორე დღეს ფერადი ფოტოსურათები ჩვენც გადმოგვცეს.


დავათვალიერეთ რომის ღირსშესანიშნაობანი: უძველესი კატაკომბები, დიდებული და განუმეორებელი ხელოვნებით შემკული ტაძრები, ვატიკანის მუზეუმი და სხვა. ბევრი გავიცანით და ბევრი მეგობარი შევიძინეთ, ბევრმა გვიჩვენა ნამდვილი ქრისტიანის სტუმართმოყვარეობა.

ხოლო ის „საერთო ლოცვა“ ისევ ცაში დგას, ანათებს და დაღადებს წინაშე ღვთისა, ანგელოზთა დაღადისით: „დიდება მალალთა შინა დმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“

კონსტანტინე

ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი





ამერიკის სიტყვები, დრო აღარ იცდის!

ამერიკის შერთეულ შტატებში მოგზაურობის შთაბეჭდილებები

ამერიკის შერთეული შტატების ქრისტეს ეკლესიათა ეროვნული საბჭოს მიწვევით 28 (10. 4) მარტს ამერიკის შერთეულ შტატებში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ქრისტიანულ ეკლესიათა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში საქართველოდან ვიყოფილი მე. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტი, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე ფილარეტი. ეს გახლდათ რიცხვით მეოთხე, გაცვლითი ხასიათის დელეგაცია (ჩვენი იქ ყოფნის დროს, საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ამერიკის შერთეული შტატების ქრისტიანულ ეკლესიათა წარმომადგენლები). შთაბეჭდილება, ცხადია, მრავალფეროვანია. შეხვედრები, გამოძახილები, სასურველი თუ ზოგჯერ არასასურველი რეაქციები, ტამრები, ქალაქები, ადამიანები. ყოველივე ეს იმდენად საინტერესო იყო, რომ ერთ პატარა სტატიამ მთელი მისი გადმოცემა.

მინც შევეცდები თუნდაც ზოგადად მოუთხრო მკითხველს ამ მნიშვნელოვანი მოგზაურობის შესახებ.

გავაცოცხლებ დღეების მიხედვით, დღიურის ხასიათის ჩანაწერებს.

გზად შევჩერდით ბელგრადში, შეგვხვდნენ იუგოსლავიის პატრიარქის ქორეისკოპოსი დანიელი და სამღვდლოების წარმომადგენლები. მიტროპოლიტი ფილარეტი, ა. ბიჩკოვი და მე მიგვიღო. საბჭოთა კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში, —ნიკოლოზ როდიონოვმა, რის შემდგომაც გვქონდა ბედნიერება ვწვეოდით უწმიდეს პატრიარქს გერმანეს. საუბრის დროს მან განაცხადა, რომ აქვს სურვილი ეწვიოს რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს.

იმავე დღეს დელეგაცია გაემგზავრა ამერიკაში. გვიანი ღამე იყო, ჩიკაგოში, ჩვენი თვითმფრინავი ო პარას აეროდრომზე რომ დაეშვა.

29 (11. 4) მარტი. საუზმის შემდეგ, დავათვალიერეთ ქალაქი. პირველი შთაბეჭდილება, რომელმაც ჩვენში ძალზე სასიამოვნო ანარეკლი დატოვა: იყო ყვავილების ორანჟერეა „ლინკოლნ პარკი“. აქ თავმოყრილია მიჩიგანის ტბის ნაპირის ყოველგვარი ვგზოტიკური მცენარეული. ეს სასიამოვნო განწყობა მთელი დღის საქმარის საგზლად გაგვკვია.

იმავე დღეს დავათვალიერეთ ყველა რელიგიის ტაძარი „ბაბაი“ და მცენარეებისა და ინდუსტრიის მუზეუმი. მოგვიწვევს შეხვედრა (ლანჩი). დაინტერესებით გვეკითხებოდნენ საბჭოთა კავშირში ეკლესიის მდგომარეობისა და უფლებების, მორწმუნე

ნეთა, რელიგიურ გაერთიანებათა და მთელ რიგ სხვა მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. გვეკითხებოდნენ, მაგალითად, რომელ ღვთისმეტყველთა შრომებს ასწავლიან სემინარიებსა და აკადემიებში, როგორია ჩვენი დამოკიდებულება, ვთქვათ, ბერდიაევის საღვთისმეტყველო შემკვიდრობისადმი; ასევე, დგას თუ არა ჩვენში ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის პრობლემა. აქვე აღნიშნეს, ეს პრობლემა ამერიკაში დღეს სახელმწიფოებრივი დონის საზრუნავია. წამოიჭრა მთელი რიგი საღვთისმეტყველო საკითხები. რომლებიც ეხებოდა აღდგომას, წმიდა წერილს, ახალგაზრდობის გატაცებებს აღმოსავლური მისტიკით და სხვა.

ასეთივე შეხვედრა მოგვიწვევს ლუთერანულ საღვთისმეტყველო სკოლაში, სადაც ბოლო არ უჩანდა შეკითხვებს. ზოგი შეკითხვა ცინიზმითაც იყო შეფერილი, რის გამოც მიტროპოლიტმა ფილარეტმა განაცხადა, რომ ჩვენი ჩამოსვლის მიზანი თუ მიზეზი ის გახლავთ, რომ გვინდა საკუთარი თვალთ ვნახოთ თქვენი ცხოვრება, სინამდვილე; გავიცნოთ, როგორც სამღვდლონი, ისე მორწმუნე მრევლი და გამოვხახოთ საერთო ენა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის, ხოლო ცინიზმი სიკეთეს არ მოგვიტანსო.

შეხვედრის დროს გადმოგვეცხა ქალაქის მერის, ბატონ ვაშინგტონის მისალმება.

30 (12. 4) მარტი დღით დელეგაციამ მოინახულა ზანგთა ორგანიზაცია პუში (სოციალური სამართლიანობისათვის გაერთიანებული ადამიანები). ხუთასზე მეტი კაცი დაესწრო ამ შეხვედრას. მათ საუბრებში, კითხვებში, გამომეტყველებში გამოსჭვივდა შიში მოსალოდნელი ატომური ომის გამო, სწრაფვა თანასწორუფლებიანობისადმი. ყველა, ვისაც საშუალება მიეცა ჩვენთან საუბრისა, გამოთქვამდა საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის სურვილს.

შეხვედრის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე. „პუში“ —ის პრეზიდენტმა დოქტორმა ჰაისალ ტეილორმა თავის სიტყვაში სითბოთი მოიხსენია სამანტა სმიტი და კატია მიჩევა. აღნიშნა ამ პატარა გოგონების როლი ადამიანთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში და გამოთქვა სურვილი უფრო მჭიდროდ და საქმიანი ურთიერთობისა ჩვენს ორ ქვეყანას შორის. საპასუხო სიტყვა წარმოვთქვი მე. დაახლოებით ასეთი იყო ეს სიტყვა:

... ჩვენს ბავშვებს, ისე, როგორც თქვენს ბავშვებს, სწურობით მშვიდობა. აქ მყოფთა შორის ყველამ არ იცის, რა არის ომი, რამდენი მწუხარება და ტანჯვა მოაქვს მას ადამიანებისათვის...

და დამსწრეთა გასაგონად წავიკითხე პატარა ქართული ბიჭების წერილი ამერიკელი ბავშვებისადმი. ვაჩვენე მათ წიგნი „მედალი ბრძოლისათვის, მედალი შრომისათვის“. ამ წიგნში აღწერილია 1941—45 წ. წ. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულ ფაშისტებთან ბრძოლაში როგორ მონაწილეობას დებულობდნენ ბავშვები. აქვე დაბეჭდილია მათი ფოტოსურათები და იმ საემირო საქმეთა აღწერილობანი, რომელთაც ისინი სწავლიდნენ. მრავალი მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა. მოთხრობილია, ზურგში, როგორ შრომობდნენ პატარები დიდებთან ერთად ფრონტისათვის. ეს წიგნი მე ვაჩვენე მათ იმიტომ, რომ ამერიკელებმა ამის შესახებ თითქმის არაფერი არ იციან. სწორედ ამაზე სწორედ ქართველი ბავშვები მათს ბავშვებს. ჩემი გამოსვლა მშვიდობისათვის ბრძოლაში მომავლის გადარჩენის რწმენით დავაძლავრე, ხოლო წერილი და ბიჭების ფოტოსურათები, გადავეცი მასპინძლებს.

მეორე შესვენების შემდეგ, სადამო ხანს გავემართეთ ჩიკაგოს წმიდა სამების მართლმადიდებლური ეკლესიისაკენ, სადაც მივიღეთ მონაწილეობა ლოცვაში.

31 (13. 4) მარტი. ადრე დილით მიტროპოლიტმა ფილარეტმა ორგანიზაცია „გრინისის“ („მწვანე სამყარო“) თხოვნით აკურთხა „მშვიდობის ბაღი“. ეს არის მიწის ვრცელი ნაკვეთი, სადაც ქვეყნად მშვიდობისა და კაცთა შორის მეგობრობის ნიშნად მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოტანილი ხეები უნდა დარგონ.

დილის 9 საათზე დელეგაციის წევრები, ცალ-ცალკე, ტამარებში გაემგზავრნენ სხვადასხვა საღმრთო ლიტურგიაში მონაწილეობის მისაღებად. მე ვწირე პეტრე — პავლეს ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

1 (14. 4) აპრილი. საბჭოთა დელეგაციის წევრები და ამერიკის წარმომადგენლები შეიკრიბნენ საღვთისმეტყველო კონსულტაციაზე, რომელიც მიმდინარეობდა სამ დღეს, დასავლეთ სიბირიის ქალაქ ევანსტონის საღვთისმეტყველო სემინარიაში. შეხვედრის თემა იყო: „ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ეკლესიების როლი საზოგადოების განვითარების საქმეში. წარსული და თანამედროვეობა“. ჩვენი დელეგაციის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონსულტაციის მუშაობაში. თითქმის ყველამ წაიკითხა მოცემული თემის შესაბამისი მოხსენება.

მეც ვისაუბრე თემაზე: „ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი საზოგადოების განვითარების საქმეში. წარსული და მომავალი“. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მოხსენებამ სასურველი რეაქცია გამოიწვია. დაისვა მრავალი კითხვა. დაინტერესდნენ ქართული ეკლესიის ისტორიით, მისი დღევანდელი მდგომარეობით, შრეკლით, საერთოდ, საქართველოთი. მეც შეძლებისდაგვარად, პასუხისმგებლობით, შევეცადე ამეხსნა მათთვის ყოველივე.

ჩვენი ვიზიტის ცენტრი სწორედ ეს კონსულტაცია იყო. მას შთავარ მოტივად გასდევდა „კაცთა შორის სათნოებისა და ქვეყანასა ზედა მშვიდობის“ იდეა. და სწორედ ასეთ ვითარებაში იქ, ცხადია, უდიდესი მწუხარებით გავიგეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების მიერ ლიბანის დაბომბვის ამბავი. ეს შემზარავი იყო. კონსულტაციის ყველა მონაწილე ჩააფიქრა ამ ფაქტმა. ერთხელ კიდევ ვიგრძენით, რა საჩქაროა ეკლესიათა ერთი მიზნით გაერთიანება. კონსულტაციის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოთა იდეოლოგიურმა სხვადასხვაობამ, ასევე, ეროვნულმა თუ სხვადასხვა კონომიური სისტემის არსებობამ არ უნდა შეუშალოს ხელი ჩვენს მშობას, ეკლესიამ უნდა აღიმადლოს ხმა მშვიდობის დასაცავად.

როგორც მოგეხსენებათ, 1986 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა მშვიდობის წელიწადად. სწორედ ამიტომაც, კონსულტაციის მონაწილეებმა ერთხელ კიდევ მიმართეს ამ ორგანიზაციას, რათა მან უსათუოდ შეიტანოს თავი-

სი კუთვნილი წვლილი ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მხოლოდ მოლაპარაკების გზით გადაჭრისა და, საერთოდ, ატომური იარაღის შემცირების საქმეში. „ამოიჩინე სიცოცხლე — დრო აღარ იცდის“. აი, მთავარი დევიზი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ეს კონსულტაცია.

უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ შტატის ქალაქებში ვიზიტის დროს, ოფიციალური შეხვედრებისა და წირვა-ლოცვებში მონაწილეობის შემდეგ ჩვენ ხშირად გვიწვევდნენ ოჯახებში, სადაც გულბილ, ახლობლურ ურთიერთობაში მიმდინარეობდა საუბრები კაცობრიობის ყველაზე მტკიცეულ, საღვთოსო საკითხებზე. ამ შეხვედრებმა ბევრს აგრძობინა ჩვენი კეთილი განწყობა და მშვიდობისადმი სწრაფის სურვილი, — ბევრი მეგობარი შევქმინა, ბევრი მეგობარი შესძინა საქართველოს ეკლესიასაც.

4 (17) აპრილი. დელეგაციის წევრები გაიყვნენ ექვს ჯგუფად. გავემგზავრეთ სხვადასხვა ქალაქში.

მე და ნანდრეი ჩიფოუს მოგვიწია თაბაის შტატში გამგზავრება. ჩავედით ქალაქ აკრონში, მიგვიწვიეს სახალხო თეატრში, რომელიც დიდ სამშვიდობო პროპაგანდის ეწვევ; თავისი სპექტაკლებით გამოდის ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ. ვიყავით სკოლაში, შევხვდით ბავშვებს, დიდხანს ვისაუბრეთ. მე-კითხებოდნენ ჩვენი ქვეყნის ბავშვებზე, საერთოდ ყველაფერზე. გადმომცეს თავიანთი ნაწერები და ნახატები, რომელთა თემა მშვიდობა. მოგვიწვიეს ფართო საზოგადოებასთან შეხვედრა,



აშშ, ქ. ნიუგისტონის მერი მიტროპოლიტ დავითს გადასცემს ქალაქის გახალხვს და ღიპლომს.



სადაც სიტყვა წარმოთქვა ქალაქის მერმა. იგი შეეხო აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებს; გამოთქვა სურვილი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისა. გადმოგვცა ქაერონის გასაღები და დიპლომი, სადაც წერია: „მოხარულნი ვართ თქვენი ჩამობრძანებით. ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების დაახლოებას“. საპასუხო სიტყვა წარმოთქვი მე. შევეხე ჩვენი ორი ქვეყნის დამაბუღლობის საკითხებს და გამოვთქვი იმედი, საერთო ენის გამოახვისა. ვთქვი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, მიუხედავად პოლიტიკურ თვალსაზრისთა სხვადასხვაობისა, ჩვენი ქვეყნები ერთად ებრძოდნენ პიტლერულ ფაშიზმს და ახლა, როდესაც კვლავ განხდა ბევრად უფრო საშიში საერთო მტერი — ატომური იარაღი, ისევ უნდა ვიყოთ ერთად, უნდა გაიმარჯვოს გონიერებამ, უნდა დავამარცხოთ „ატომური საშიშროება“.

ასეთივე გულთბილი შეხვედრა მოგვიწვევს იუნგსტონში. აქაც გადმოგვცეს ქალაქის გასაღები და დიპლომი... დასვეს უამრავი შეკითხვა, რომელთა შორის გამოვეყოფ ერთს: რატომ დაანგრია მთავრობამ თბილისში ებრაელების ეკლესია (სინაგოგა)?

ყველა თბილისელი დამეთანხმება, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. ლესელიძის ქუჩაზე იდგა და დგას ორი სინაგოგა. მე იუნგსტონის რაბინს თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავუზახავნე ფოტოსურათები, როგორც შევპირდი ჩემი სიტყვის დასადასტურებლად. სხვათა შორის, ჩვენს დედაქალაქში აშშ-დან ამასწინათ იმყოფებოდნენ ამერიკის ეროვნულ ეკლესიათა საბჭოს წარმომადგენლები, ვისთან ერთადაც ვეწვიეთ სინაგოგებს და სურათიც გადავიღეთ.

ვიკავით ობერლინში. აქ დავესწარით ლოცვას გაერთიანებულ ეკლესიაში. ქადაგებაში მღვდელმა მადლობა გადაგვიხადა ჩამოსვლისათვის და გვთხოვა, მათი კეთილი სურვილები და სამშვიდობო მისიაში თანადგომა გადაგვეცა ჩვენი ქვეყნის ქრისტიანთათვის. მისალმების შემდეგ ქადაგება წარმოვთქვი მე, რომლის თემა კვლავ მშვიდობა და სიყვარული იყო. ქალაქის მერმა აქაც მოგვიწყო შეხვედრა, რომელსაც 150 კაცი დაესწრო.

ამირჩიეს ობერლინის საპატრიო მოქალაქედ. დიპლომის გადმოცემის დროს, მერმა განაცხადა: „ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ მიტროპოლიტი დავითი უახლოეს ხანში ეწვევა ჩვენს ქალაქს, როგორც ჩვენი თანამოქალაქე.“

9 (22) აპრილს დელეგაციის ყველა წევრი ნიუ-იორკში ჩავიდა.

საღამოთი ქალაქ გარფალდში (ნიუ-ჯერსის შტატი) დელეგაცია მიიღო სერპუხოვის ეპისკოპოსმა კლიმენტიმ. ლოცვა ჩატარდა ახლადაშენებულ ტაძარში. მის კარიბჭესთან მერმა ქალაქის საბჭოს წევრთა თანდასწრებით წაიკითხა საგანგებო მითართვა იმის შესახებ, რომ რუსეთის ნათლისღების ათასი წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაწყვეტილი აქვთ ამ ტაძარს უწოდონ წმიდა მთავარ ვლადიმერის სახელი.

სახეიშო ცერემონიალის შემდეგ სტუმრები მიიწვიეს სუფრასთან, სადაც დელეგაციის წევრებს აცნობეს, რომ მიტროპოლიტი ფილარეტი და მიტროპოლიტი დავითი არჩეულნი არიან გარფალდის საპატრიო მოქალაქეებად.

10 (23) აპრილი. გავემგზავრეთ რივერსაიდის ტაძარში, სადაც შედგა დიდი ეკუმენური წირვა... წირვის შემდეგ მოეწყო პრესკონფერენცია. ხაზგასმით ითქვა, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა და თანადგომა არის კარგი მაგალითი იმ დამოკიდებულებებისა, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფოთა შორის მძიმე ურთიერთობების ფონზე. ჩვენი მთავარი საშუალებაა ერთობლივი ლოცვა და ძმური სიყვარული.

ჩვენ დიდი ვალი გვაკისრია. ჩვენ უნდა გავწოდოთ ხელი ერთმანეთს, უნდა შევძლოთ, გადავარჩინოთ პლანეტის სიმწვანე, სიცოცხლე, ბავშვების ღიმილი... უნდა გაიმარჯვოს სიკეთემ... სიკეთემ უნდა სძლიოს ბოროტს... უნდა იხეიამოს ქვეყანასა ზედა მშვიდობამ და კაცთა შორის სათნოებამ.

მიტროპოლიტი **დავითი** (ჭკადუა) საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ აშხ. ვ. ო. კობახიამ სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ დავითს დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატრიო სიგელი, რომლითაც იგი დაჯილდოვდა მშვიდობის დაცვის საქმეში აქტიური მოღვაწეობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით აშხ. ვ. ო. კობახიამ გულთბილად მიულოცა მიტროპოლიტ დავითს დაჯილდოება, უსურვა ჯანმრთელობა და დიდი წარმატებები მის საზოგადოებრივ მშვიდობისმყოფელობით მოღვაწეობაში.

თავის გამოსვლაში მიტროპოლიტმა დავითმა უდრმესი მადლობა მოახსენა მისი მოღვაწეობის მაღალი დაფასებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატრიო სიგელით დაჯილდოებისათვის. მან თქვა, რომ მთელ თავის ძალისხმევას კვლავაც მოახმარს მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხებს შორის მეგობრობის განვითარების საქმეს.

4—11/17—24/ აგვისტოს დიდი ბრიტანეთის ქალაქ ევინგეში ჩატარდა სინდესმოსის XII გენერალური ასამბლეა. საქართველოს ეკლესიის მხრიდან ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდნენ საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების მდივანი ბორის გაგუა და მცხეთის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი ვაჟა ბურდული.

ქართული ეკლესია, მცხეთის სასულიერო სემინარიის სახით, მიიღეს სინდესმოსის სრულყოფილებიან წევრად.

22 დან 30 აგვისტომდე /4—2. 9/ შოტლანდიაში, ქალაქ სტერლინგის უნივერსიტეტში გაიმართა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის /ექვ/ IX გენერალური ასამბლეა თემაზე „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა“. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან სსრ კავშირის ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად, ასამბლეაზე მონაწილეობა მიიღო წილკნელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ და საპატრიარქოს რეფერენტმა ვლ. საბიაშვილმა.

20 აგვისტოს /2. 9/ დელეგაცია ჩაფრინდა ლონდონში, 21 აგვისტოს /3. 9/ კი შოტ-

ლანდიის დედაქალაქ ედინბურგში, საიდანაც ავტობუსით ჩავიდა სტერლინგში. დელეგატები დაბინავდნენ უნივერსიტეტის კორპუსებში.

უნივერსიტეტის დიდ სპორტულ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ასამბლეა, რომელსაც ოთხასზე მეტი დელეგატი და მრავალი სტუმარი დაესწრო. შესრულდა ეკუმენური ლოცვა, წაიკითხეს მილოცვები. დიდის სხდომაზე არჩეულ იქნა ასამბლეის თანამდებობის პირნი; დამტკიცდა დღის წესრიგი, განისაზღვრა ასამბლეაზე განსახილველი საკითხები. არჩეული იქნა სამუშაო კომიტეტები. პირველი ორი დღის განმავლობაში ტარდებოდა ოთხ-ოთხი პლენარული სხდომა.

24 აგვისტოდან /6. 9/ დელეგატებმა მუშაობა გააგრძელეს სექციებში. შემდგომში სექციები, რომელთა რიცხვიც ოთხი იყო, თავის მხრივ დაიყო ქვესექციებად; თითოეულ სექციას უხდებოდა ცალკე საკითხის განხილვა. ქართული ეკლესიის დელეგატებს მუშაობა მოუწიათ მეორე და მეოთხე სექციაში. სექციური მუშაობის შემდეგ კვლავ შედგა გაერთიანებული პლენარული სხდომები, რომლებზედაც მიღებულ იქნა მართვა ეკლესიებისადმი და საპროგრამო

დოკუმენტი, რომელიც შესასწავლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნა ექვ-ის წევრ ეკლესიებს.

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს, როგორც ასამბლეის სხვა დელეგატებს, შეხვედრა ჰქონდათ შოტლანდიის ეკლესიის წევრებთან. 25 აგვისტოს /7. 9/, კვირას, მელროუზის მთავარ ტაძარში შეკრებილ მრევლს, ადგილობრივი პრესვიტერის თხოვნით, მისასალმებელი სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ზოსიმემ. შეხვედრის შემდეგ ჩატარდა დიდი ეკუმენური ლოცვა, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენელიც.

29 აგვისტოს /11. 9/ შედგა ექვ-ის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. გამოცხადდა პრეზიდიუმისა და სათათბირო კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ასამბლეის დელეგატებს სიტყვით მიმართა ექვ-ის ახალმა გენერალურმა მდივანმა ფიშერმა. გვიან საღამოს ასამბლეამ მუშაობა დაამთავრა.

30 და 31 აგვისტოს /12—13. 9/ საბჭოთა კავშირის ეკლესიათა დელეგატებმა დაათვალიერეს ედინბურგისა და ლონდონის ღირს შესანიშნაობანი.

1 /14/ სექტემბერს დელეგატები დაბრუნდნენ სამშობლოში.



ევროპის ეკლესიათა კონფერენციის IX გენერალური ასამბლეის დელეგატები საბჭოთა კავშირიდან. მათ შორის წილკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე.



წილკელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე სამახ-
სოვრო ხატს გადასცემს რუმინეთის პატრიარქს.



საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ოფიციალური შეხ-
ველა რუმინეთის პატრიარქ თეოკრიტესთან.

3 (16) ნოემბერს შედგა რუმინეთის ეკლესიის პატრიარქის, უნეტარეს თეოკრიტეს აღსაყდრება. ამასთან დაკავშირებით, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ბუქარესტს გაემგზავრა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია წილკელ-ურბნელ ეპისკოპოს ზოსიმესა და დეკანოზ ელგუჯა ლოსაბერიძის შემადგენლობით.

ქართველმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ტაძრები და დირსშესანიშნაობანი. დღის მეორე ნახევარში საპატრიარქო რეზიდენციაში საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიიღო რუმინეთის ეკლესიის ახალმა მეთაურმა, უნეტარესმა პატრიარქმა თეოკრიტემ. შეხვედრას ესწრებოდნენ რუმინეთის საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, მთავარეპისკოპოსი ნიფონი და სხვა ოფიციალური პირნი. ეპისკოპოსმა

ზოსიმემ რუმინეთის პატრიარქს გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მილოცვა; აღნიშნა, რომ საქართველოსა და რუმინეთის ეკლესიებს შორის წარსულშიც არსებობდა ძმური ურთიერთობა, რისი ნათელი გამოხატულება არის ეპისკოპოსი—მოწამე და განმანათლებელი ანთიმოზ /ანთიმ/ ივერიელი, რომელმაც თავისი ამაღლებული მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა რუმინელი და ქართველი ხალხების ისტორიაში. იმავე დღეს საქართველოს ეკლესიის წარგზავნილებმა მოინახულეს ბუქარესტის უმაღლესი და საშუალო სასულიერო სასწავლებლები, მოილოცეს ანთიმოზ ივერიელის ტაძარი. მრევლს საგანგებოდ წარუდგინეს ქართველი სასულიერო პირნი — ანთიმოზ ივერიელის თანამემამულენი. რუმინელები პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდნენ ქართველებიხადმი. ლოცვის შემდეგ სტუმრებმა

დაათვალიერეს უძველესი სტამბა ტაძრის გვერდით, სადაც დიდმა მღვდელმთავარმა რუმინულ ენაზე დაბეჭდა საეკლესიო წიგნები. რუმინელმა ძმებმა ქართველებს სიყვარულით უჩვენეს ანთიმოზ ივერიელის დროს შექმნილი ხის დიდი კარები ტაძრის შესასვლელში, უმეტესად ქართული ჩუქურთმით რომ არის გამშვენებული და ასევე, დიდი მოზაიკური გამოსახულება ანთიმოზ ივერიელისა.

სტუმრები შეიკრიბნენ საპატრიარქო რეზიდენციაში, საიდანაც საზეიმო სვლით გადაინაცვლეს მთავარ ტაძარში. შესრულდა აღსაყდრების წესი, რომელსაც დაესწრნენ იერუსალიმის პატრიარქი დოროთეოსი და ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე. რუმინეთის ეკლესიის ახალ მამამთავარს მიესალმნენ მსოფლიო ეკლესიათა დელეგაციების მეთაურები. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მთავრობის წარმომადგენელმა.



ათონელი გერები საქართველოში

უფლის კვართის დღესასწაული, — მცხეთობა ქართველი ერის ეროვნული დღესასწაულია. განსაკუთრებული ზეიმიტ ადნიშნავს ამ დღეს საქართველოს კვლესია. მლოცველთ ვერ იტყვს სვეტიცხოვლის დიდი ტაძარი, რომლის საძირკველშიც ასვენია დიდი სიწმიდე — კვართი უფლისა. ვის აღარ უცია თავყვანი ამ წმიდა ადგილისათვის. ვის არ მოუყრია მუხლი ამ წმიდა სავანეში და ვის არ დადენია ცრემლი სიხარულისა და, ამავე დროს, სინანულისა.

ჭეშმარიტი სიხარული ასკეცდება, ზეიმი უფრო დიდებულ იერს იძენს, როდესაც მას მეგობრები იზიარებენ. სწორედ ამიტომაც მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქმა ილია II-მ ამ დღესასწაულზე ათონის მთის წმიდა მამანი მოიწვია. ათონის მთა, ივერიის მონასტერი და მასთან დაამკავშირებული ყოველი ძაფი ხომ განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი ერისათვის და განსაკუთრებით ამაღელვებელია.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ათონის მთის წმიდა ერთობის /კინოტის/ წევრები და სხვადასხვა მონასტრის წარმომადგენლები: ივერიის მონასტრის წინამძღვარი კალინიკე, გერეასი და სქემონოზონი მაქსიმე. ქილანდარის მონასტრის წინამძღვარი ქრიზოსტომოსი, სტავრონიკიტას მონასტრის წინამძღვარი ბასილი, სიმონ-პეტრეს მონასტრის ბერი ელისე, პანტელეიმონის მონასტრის ბერი გაბრიელი, ქსენოფონტის მონასტრის ილუმენი ალექსი.

დელეგაციას ხელმძღვანელობდა ივერიის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი კალინიკე. იგი უკვე მეორედ იმყოფებოდა საქართველოში და ათონელ ძმებს ერთგვარ მასპინძლობასაც კი უწევდა. იგი ამაყობდა კიდევ ამით. ბერების დელეგაციას თან ახლდა ათონის მთის საერო ხელისუფლების წარმომადგენელი, გუბერნატორის მოადგილე ბატონი გიორგიოს ძალიასი.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, მოილოცეს ტაძრები, თავყვანი სცეს მცხეთის სიწმიდეთ. ჯერის მონასტერმა და სვეტიცხოვლის ტაძარმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ყოველ მათგანზე. განუწყვეტილივ გალობდნენ ღვთისმშობლისა და წმიდათა საგალობლებს. ქართული ხელოვნების მუხუმიდან დაბრუნებულებმა კი ხალხური სიმღერაც დააუგუნეს. სიმღერა გვირ ხალხს შეეხებოდა და წმიდა სოფიოს ტაძარს კონსტანტინეპოლში. /ეს ტაძარი განსაკუთრებით უყვარს ბერძენ ხალხს. იგი ერთგვარი ეროვნული სიმბოლოა მათთვის./

28 (11. 10) სექტემბერს ათონელი ბერები დაესწრნენ ღვცას სიონის საპატრიარქო ტაძარში. თავყვანი სცეს წმიდა ნინოს ჯვარსა და ტაძრის სხვა სიწმიდეთ. მეორე დღეს, კვირას ათონელმა მამებმა განსაკუთრებული სათუთი გრძნობებით სწირეს ბეთანიის მონასტერში. წირვა შესრულდა წილკნელმა ეპის-

კოპოსმა ზოსიმემ, რომელმაც ღვთისმსახურების დასასრულს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტუმრებს. გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. სტუმრებმა და მასპინძლებმა მაღლი შესწირეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. ბოლოს მონასტრის ეზოში შესრულდა მცირე პანაშვილი ბეთანიაში მოღვაწე ბერების სულთა სახად. გვიან საღამოს სიყვარულით გამოეთხოვნენ ერთმანეთს ათონელი და ბეთანიელი ბერები.

31 (13. 10)-ს ოქტომბერს ათონის მთის ბერები თავის რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქმა ილია II-მ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მათ ვიზიტს და უხვი შეწირულობა გადასცა ათონის მთის მონასტრებს.

ათონელმა ბერებმა დიდი ინტერესით მოინახულეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ინსტიტუტის დირექტორმა, ქალბატონმა ელ. მეტრეველმა სტუმრებს დაათვალიერებინა ქართულ ხელნაწერთა საგამოყენო დარბაზი, აჩვენა ივერიის მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერთა ფოტოფირების მიხედვით გამოსაცემად გამზადებული წიგნები და მათი აღწერილობა. ამ ფაქტმა სტუმართა დიდი სიხარული გამოიწვია. ივერიის მონასტრის წინამძღვარმა კალინიკემ და დელეგაციის სხვა წევრებმა ერთხმად გამოთქვეს სურვილი კვლავაც დაეხმარონ ქართველ მეცნიერებს.

ათონელ ბერებს შეხვედრა მოუწვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა და პროფესორ — მასწავლებლებმა. უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ნ. ამაღლობელმა სტუმრებს გააცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსებების ისტორია, მისი დღევანდელი დღე, პრობლემები, ამოცანები, მიზნები; პრორექტორი ელგუჯა ხინთიბიძე ესაუბრა ქართული კულტურის კერებზე უცხოეთში და განსაკუთრებით კი, ივერიის მონასტერთან ქართველი ხალხის ოდიოგანვე სათუთ დამოკიდებულებაზე.

და აი, 1 (14) ოქტომბერს, ამ შთაბეჭდილებებით აღვსილმა, ქართულ ეკლესიას, ქართულ კულტურას გაცნობილმა სტუმრებმა, მთელ ქართველ ერთან, მის უწმიდესობასთან ერთად, წირვა ჩაატარეს სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში.

ჭეშმარიტი საზეიმო განწყობილება და სიხარული სუფევდა და იგრძნობოდა სვეტიცხოველში.

ქართულთან ერთად ტაძარში ხშირად გაისმოდა ბერძნული ლოცვები და საგალობლები. ეს იყო ჭეშმარიტი ძმობისა და სიყვარულის ზეიმი.

საღამოს კათოლიკოს — პატრიარქმა ილია II-მ დიდი სერობა გამართა დღესასწაულის აღსანიშნავად და სტუმართა პატივსაცემად. სერობას სამღვდლოეობასთან ერთად საერო ხელისუფლებსა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მისმა უწმიდესობამ, პატრიარქმა ილიამ, საქართველოს კვლესიის წმიდა სინოდმა და ათონელმა ბერებმა გამოთ-



ათონელი ბერები საქართველოში

ქვეს იმედი, რომ უფალი დალოცავს და ტრადიციად აქცევს ქართველებისა და ათონელი ბერების შეხვედრას კვართის დღესასწაულზე საქართველოში.

სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა ო. ჩერქეზიამ. იგი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიესალმა მათ და სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ კავშირი ივერიის მონასტერთან ბოლო დროს კიდევ უფრო ძლიერდება. ისტორიის ახალი ფურცლები ივსება და სამომავლო ამოცანებიც ისახება სტუმრებმა გულთბილი მიღებისა და ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადეს მთავრობის ხელმძღვანელს.

იწურებოდა საქართველოში ვიზიტის დღეები. მოხიბლული სტუმრები კი უარს ამბობდნენ ყოველგვარ დასვენებაზე. უნდოდათ, რაც შეიძლება, მეტი ნახვა მოესწროთ, რაც შეიძლება მეტი სიწმიდე მოელოცათ. და აი, ბოლოს კახეთს ეწვივნენ. იყალ-

თომ, შუამთის მონასტერმა განსაკუთრებით კი ალავერდის ტაძარმა თავისი ჰქმნეს. „მცხეთისა და თბილისის, ასევე ბეთანის შემდეგ, აღარ გვეგონა საქართველოში თუ ასევე დიდ შთაბეჭდილებას რაიმე მოახდენდა, — თქვა ქილანდარის მონასტრის წინამძღვარმა ქრიზოსტომოსმა, — მაგრამ ალავერდი დიდებულია, უმშვენიერესია“.

წმ. მამებმა თაყვანი სცეს იოსებ ალავერდელის, ზენონ იყალთოელისა და წმიდათა საფლავებს.

იყალთოში ყოფნისას განსაკუთრებით დაინტერესდნენ აკადემიის ისტორიით, მასში მოღვაწე მეცნიერებით. ალავერდის ეპარქიის მმართველი კი, მიტროპოლიტი გრიგოლი შშობელ მამასავით შეიყვარეს. წმიდა მამებმა, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას სთხოვეს, გახდეს მათი სულიერი მოძღვარი და იგი ათონის მთაზე მიიწვიეს.

გალაღებულნი, ბედნიერნი დაბრუნდნენ თბილისში.



წირვა ბეთანის მონასტერში



წმიდა ზიარება

დადგა საქართველოდან გამგზავრების ჟამიც. საქართველოთი, ქართული სტუმარ-მასპინძლობით და სიყვარულით აღფრთოვანებული მამები, ქართულ ეკლესიასა და მის საჭკეთ-მპყრობელზე გულწრფელად შეყვარებულები ცრემლმორეულნი, კვლავ საქართველოში ჩამოსვლის წყურვილით გამოემშვიდობნენ მასპინძლებს.

თ. მსხი.



მონასტრის ეზოში

საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანა



ჩვენთან არს ღმერთი



ჯვარზე მოხვევა



სულიწმინდის მოწვევის ღოცვები



წმიდა ზიარება




სანხრე. ეპისკოპოსი ქრისტეფორე ტაძრის სამღვდელთაგან და შრეულთან




საშვიდობო პარაკლისი



დიდუბე. წირვის შემდეგ



მცხეთა. წმიდა ნინოს დღესასწაული



იოანე ღვთისმეტყველის ტაძარი. მცირე აიაზმა.



ნაშრომი განკად დაუთოების

ვარძია... მოთხრობად ძნელ არს...

800 წელი

თამარმა „... ხელჰყო აღშენებად საყოფელსა გამარჯვებულსა მისსა ზემთაკურთხეულსა ვარძიასა ღმრთისმშობელსა ... რომელი კლდისაგან გამოჰკვეთა, თვით პატროსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან ადასრულა და შეამკო ყოვლითურთ“

ქართლის ცხოვრება.

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი


რვაასმა წელმა განვლო მატ წეკეებ... ზადიგრიალეს ქარიშხლებმა, ადრებმა, მომხდურთა ურდობმა... ჩათავდნენ, ჩანუმდნენ...

ხოლო ვარძია, ვითარცა ხსოვხა იმ დიდ და მაღალ დროთა, რომლის „მოთხრობა ძნელ არს“, ისევ დგას საქართველოს სამხრეთის ნაწილებ, მაგრამ კვლავ სიცოცხლისაკენ გამოშვირალ წმიდა მიწაზე... დგას ვითარცა სინათლის სვეტი და თავისი დიდებულებით, ღვთისმშობლის ტაძრის კედელზე ქართველთა სალოცავი მეფეთმეფის თამარისა და მისი უძლეველი მამის გიორგი III-ის ფრესკებით, გარდასულ დიდ დროებაზე მოგვითხრობს...

ვარძია ქართველისათვის ეროვნული თვითშეგნების გამოხატულებაა... წმიდათაწმიდა ხატია, რომელთანაც მუდამ უდიდესი კძრალვით მიდიოდა და მიდის. იგი ხე-

ლოვნების დიდი ქმნილებაა და მუდამ მაღალ ზნობრივ ზეგავლენას ახდენს ჩვენს გრძობებზე, გვაძლავს იმედით, რწმენით, სიხარულით, გვიღვიძებს სურვილს, ჩვენც შევქმნათ რაიმე კარგი და ღირებული, ისეთი, როგორც სჭირდება ერს, რომელიც მას იმედოდ გამოადგება.

ვარძიის შექმნის ხანა თამარისა და რუსთაველის ხანაა... ამ დროს საქართველო ძლიერი და მდიდარი, მთელი მაშინდელი მრავალეროვანი კავკასიის ცენტრი და ქრისტიანული ქვეყნების საიმედო მფარველი ქვეყანა იყო. ვარძიის რთული და მნიშვნელოვანი ანსამბლიც ამ დიდი დროის ბუნებრივი შედეგია. ეს ქართული რენესანსის ხანაა; ხოლო ხუროთმოძღვარი მისი, უდიდესი ხელოვანი... ჩვენ არ ვიცით მისი ვინაობა, არც ის, თუ როგორ, ან რა ვითარებაში იგებოდა ეს დიდებული სამონასტრო ანსამბლი.



„მუნებელი“, დეტალი. ფრესკული მხატვრობის კტიტორი, ქართლის
ერისთავი რატი სურამელი



სამხრეთის კედლის მოხატულობა

ერთი ლეგენდის მიხედვით, ვარძიის მშენებლები ყოველ დღით თავიანთ იარაღებს, თურმე, სხვა ადგილას პოულობდნენ: ბოლოს იგი ღვთის ნიშნად და სასწაულად მიიჩნიეს და იმ ადგილზე გამოქვაბულების კვეთა დაიწყეს. როგორც ჩანს, ამ ადგილებში ადრეც არსებულა რამდენიმე გამოქვაბული. მეორე ლეგენდა გვამცნობს; რომ ერთერთი ნადირობის დროს, პატარა ბავშვს, (ზოგი ვერსიით კი მცირეწლოვან თამარს) გამოქვაბულებში გზა აერჩია: ვაზირთა ხმების გაგონებისას დაუძახნია: „აქა ვარ, ძია“. ამიტომ დაერქვა ამ ადგილს „ვარძია“.

დროთა მსვლელობამ და მტრის ხელმა საგრძნობლად დაახინა ვარძია. ამიტომაც გაშიშვლებულნი დგანან დღეს მისი გამოქვაბულები. გაშიშვლებულნი, მაგრამ მაინც დიდებული და გასაოცარნი. იმ დიდი უპოქის ხანაში, როცა აქ სამონასტრო ცხოვრება დუღდა, ვარძია თავისი დანიშნულებით მტრისათვის მიუვალი ციხე—სიმაგრე და ქართული კულტურის /მწიგნობრობის, ხუროთმოძღვრების, ფრესკული ხელოვნების/ ტაძარიც იყო. მის მნიშვნელობას შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში დიდად განსაზღვრავდა და ახლაც განსაზღვრავს მასში აქ დაცული კედლის მხატვრობა... თხუთმეტი ტაძარი მოქმედებდა აქ ამ დიდებულ დროს. მათგან დღეს მხოლოდ ორს—ლა შერჩენია მთლიანად მოხატულობა — ანა-ნურის მცირე ეკლესიას და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს. XII—XIII საუკუნეების საქართველოში საკმაოდ ბევრია ფრესკული მხატვრობა, მაგრამ მათში განსაკუთრებით გამორჩეული ვარძიის მთავარი ტაძარია. იგი საინტერესოა არა მხოლოდ, როგორც ისტორიულ პირთა შექცეული მხატვრობით, არამედ მისი უაღრესად მაღალი დონითაც. ტაძარი შიგნით ერთდროულად ყოფილა მოხატული. როგორც კარიბჭის, ისე ტაძრის კედლები და კარები მთლიანად ფარწყითაა შემკული, რომელიც შეიცავს სახარების სადღესასწაულო ციკლის სცენებს და ცალკეულ წმიდანთა ფიგურებს. მხატვრობა დახიანებულია, მაგრამ რამდენიმე კომპოზიციის ვარჩევა ხერხდება. კერძოდ, საკურთხევის კონქში ვარსკვლავებით მოჭედული ლურჯი ცის ფონზე, დიდების პოზაში, ღვთისმშობელია ყრბით კალთაში გამოსახული. ღვთისმშობლის აქეთ-იქით მთელი ტანით გამოსახული არიან მღვდელმთავრები, რომელთაც ხელში გრავნილები უჭირავთ. მათ გამოსახვაში ტრადიცია იგრძნობა.

კამარაში, ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთის ნაწილიდან საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით გამო-სახულია თოთხმეტი კომპოზიცია. „ხარება“, „ქრისტეს შობა“, „მირქმა“, „ნათლისღება“, „ლაზარეს აღდგინება“, და სხვა მრავალი. ცალკეულ წმიდანთა გამოსახულებებიდან განსაკუთრებით გამოყოფთ წმიდა ნინოს. ამ ციკლისათვის დამახასიათებელია სასიამოვნო ფერადოვანი გამა, მოძრაობა და სახეთა ფსიქოლოგიური გადმოცემა. დიდი დაძაბულობითა და დრამატიზმით გამოირჩევა ჯვარცხმა. აქვეა იერუსალიმად შესვლა, ჯოჯოხეთის წარმოტყვევება, ამადლეება, სულიწმინდის მოფენა, მიძინება, ვერხთბანება, საიდუმლო სერობა...

მთავარი ტაძრის მხატვრობა ფართოდაა ცნობილი. იგი ქართული საფრესკო ხელოვნების შედევრად ითვლება, მაგრამ ვარძიის მხატვრობა, უპირველეს ყოვლისა, მაინც იმითაა განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელო-

ვანი, რომ მის კედელზე გამოსახული არიან დიდად ცნობილი ისტორიული პირნი — მეფეთამეფე გიორგი III და მისი ქალიშვილი მეფეთამეფე თამარი.

საგულისხმო ფაქტია, ქართულ ტაძრებში არც ერთი მეფის ოთხი გამოსახულება არ არსებობს. /ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენამდე არ მოღწეულა/, თამარის გარდა. ეს ტაძრებია — ვარძია, ყინწვისი, ბეთანია და ბერთუბანი. ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია და მხატვრობაც სხვადასხვა ოსტატის ხელითაა შესრულებული. მაგრამ მათ შორის მსგავსება დიდია. მატიახეთა ფურცლები თუ ხალხში გავრცელებული გადმოცემები გვიამბობენ თამარის თვალშეუდგამ სილამაზეზე. ოთხივე მხატვრობაში ეს კარგად ჩანს. ოდნავ ოვალური სახე, გრძელი, გადაბმული წარბები, ოდნავ მოგრძო თვალის ჭრილი, სწორი ცხვირი, პატარა ბაგე და სხვა დეტალები.

თამარი და მისი მამა გიორგი III გამოსახული არიან ჩრდილოეთ კედლის ცენტრალურ თაღში. ორივენი ცოტათი მოზრუნებულნი არიან აღმოსავლეთისაკენ; ვედრების პოზით ხელებგაწვდენილი ღვთისმშობლისაკენ. მათ თავზე ანგელოზი დასტრიალებთ. განსხვავებით მამისაგან, თამარს ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკლესიის მაშენებელი თვითონაა. ორივეს ასომთავრული წარწერა ახლავს. გიორგი მეფის თავთან ასეთი წარწერაა: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთამეფე გიორგი, ქე დემეტრე მეფეთამეფისა“. ხოლო თამარის პორტრეტს აწერია: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთამეფე, შვილი გიორგისა თამარ, რომელი მრავალ-ჟამულამსმცა“.

იმავე კედლის დასავლეთით, მეორე თაღში ერისკაცია გამოსახული. იგი მდიდრულად ჩაცმულია და ამაყად დგას. წარწერა ცუდადაა დაცული, ძლივს იკითხება — „რატი სურამელი“. ამავე წარწერიდან ჩანს, რომ მხატვრობის დამკვეთი სწორედ რატია. ასევე, საკურთხეველში, კონქის გამოყოფილ ორნამენტულ ზოლში ჩაწერილია სახელი „გიორგი ჭარი“. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს მხატვრის სახელი უნდა იყოს. ისტორიულ პირთა პორტრეტები ჩრდილოეთის კედელზე ისეა განლაგებული, რომ ტაძარში შემოსული სხივი კარგად ანათებს მათ და ამით კიდევ უფრო მეტად გამოყოფილია საერთო კომპოზიციიდან. ამ ნახატების საშუალებით ხერხდება ტაძრის მხატვრობის ზუსტი დათარიღება. ესაა 1184—1186 წლები.

მხატვრობის სტილი ტრადიციულია, სახეები, ხასიათები, მოძრაობები მშვიდი. და მაინც, დროდადრო მათში მაინც გამოსჭვივის დინამიზმი, რაც სიცოცხლის ძალას აძლევს კედელზე გამოსახულ კომპოზიციებს (მაგ. წმიდა მეომრის შემოსილობა და სხვა), იგრძნობა დეკორატიულობა, რითაც ხაზი ესმება სადღესასწაულო განწყობილებას. იგი უწინარესად იქმნება მსხვილი ვარსკვლავებით, რომლებიც ხალიჩასავით ფარავენ მიწას...

კარიბჭის მოხატულობას აშვენებს საშინელი სამსჯავროს კომპოზიცია, რომელსაც თითქმის მთელი ჩრდილოეთი კედელი უჭირავს. ვედრება, წმიდა სტეფანეს ცხოვრების სცენები და ორმოცი სუბასტიელი მოწამის გამოსახულება.

კარიბჭის მხატვრობას მთავარი ტაძრისაგან უფრო

ღია კოლორიტი განასხვავებს. შესრულებულია რა შედარებით უფრო გვიან, იგი ყურადღებას იპყრობს ფიგურათა დაგრძელებული ფორმებით, „რის გამოც ისინი უფრო შესუბუქებული ჩანან, ვიდრე მთავარი ეკლესიის ფიგურები, კონკრეტული ნახატი აქ უფრო დინამიურია. ნაკვეთა ნახატი კი ზოგჯერ ორნამენტულ-დეკორატიულ ხასიათს იღებს.

სიძნელეებს, რომლებსაც ქმნის კარიბჭის არასწორი ფორმა, მომხატველი ადვილად ძლევს. ოსტატობას იგი განსაკუთრებით კარგად ავლენს ჯვრის ამბლემების სცენაში, თავისუფლად განაღმაგებს რა ჭერის არასწორ ზედაპირზე ოთხი მსუბუქად მფრინავი ანგელოზის ფიგურებს, რომელთაც ჯვრის გამოსახულებიანი შედელიონი მოაქვთ.

ტაძრისა და კარიბჭის მხატვრობა დღესდღეობით გაწმენდილია მტერისა და ჭკვარტლისაგან. მაგრამ უფრო თხილდებოდა რა ფერადოვანი ფენის დაზიანებას, რესტავრატორმა /კ. ბაკურაძემ/ ბოლომდე არ გახსნა მთავარი ეკლესიის მხატვრობის კოლორიტის მთელი ჟღერადობა, თუმცა ახლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, ის მხატვრული ეფექტი, რომელსაც ქმნიდნენ აქ გაბატონებულ ინტენსიურ ლურჯ ფერთან ერთად ფერადოვან გამაში ჩართული ოქროსფერი ოქრა, სინგური, ღია შვანე და მუქი ძოწისფერი.

მონატულობის გაწმენდისას თამარის სახე არ გაუთავისუფლებიათ“ გვიანი განახლებისაგან, რათა საბოლოოდ არ დაზიანებულიყო. გადაღების განსაკუთრებული მეთოდით რესტავრატორმა ი. გილგენდორფმა აქ აღმოა-


ჩინა თუთიის თეთრა. ამ საღებავის არსებობა თამარის სახეზე დაადასტურა მიკროქიმიურმა ანალიზმაც. XIX საუკუნის ბოლოს გამოგონილი ეს საღებავი, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო გვიანი დროის რესტავრაციისას.

დღესდღეობით არსებული გამოსახულების და განსაკუთრებული მეთოდით მიღებული სურათის შედარება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ განახლების შედეგად დაფარული დეტალები (მაგალითად, ქუთუთოების ნახატი). მაგრამ მიუხედავად განსხვავებისა დეტალებში, თამარის დღევანდელმა განახლებულმა პორტრეტმა მაინც შეინარჩუნა სახის თავისებური მრგვალი ოვალი, რომელიც მას ესოდენ განასხვავებს ყინწვისის, ბეთანიის, ბერთუბნის პორტრეტისაგან.

ი. გილგენდორფის მიერ შემუშავებული გადაღების მეთოდი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მხატვრის მუშაობის მთელ პროცესს, დაწყებული მოსაზრებული ნახატიდან, საბოლოო ნახატამდე და ფორმების საღებავებით დამუშავებამდე. (გ. ალიბეგაშვილი. თბილისი. 1 ოქტომბერი. 1986 წ.).

დიდია ვარძიის მნიშვნელობა, მისი ამაგი ქრისტია-ნული საქართველოს წინაშე... უამრავი დიდი სახელი გაბრწყინდა აქედან ქვეყნად, რომელთა შორის მხოლოდ იოანე შავთელის ხსენებაც იკმარებდა. ვარძიას საუკუნეთა მანძილზე სცემდა თავგანს ქართველი ერი. „...ყოველისაგანცა მოთხრობა ძნელ არს, თუ ვისმე ნებაავს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნაშენები ქუაბ-ქმნილი“.





წარსულის სისხლი მწვიმარი,
რაც შეიწოვა მიწამა,
ცრემლი თვალს ნაციმციმარი,
რაც კი ცხოვრებამ იწამა,
არ დაკარგულა ცვარიც კი,
დაშრეს, არ არი ადვილი;
ის ხალხის გულს აქვს ნარიცხი,
დახსომებული, დათვლილი

ვარძია ყოველი ქართველის გულში ეროვნული თვითშეგნების მძლავრი გამოხატულებაა, დიდი ხელოვნების სწორუბოვარი ძეგლია. იგი ერის წმიდათაწმიდა ხატია, რომელთანაც დიდი მოწიწების გრძნობით მიდოდა და მიდის ქართველი. ვარძია ნათელი სხივია საქართველოს წარსული ცხოვრებისა, მისი სიხარულისა თუ მწუხარების თანახმად. იგი დღესაც დიდ ზეობრივ გავლენას ახდენს მამულიშვილურ გრძნობებზე. ვარძიის როლი საქართველოს ისტორიასა და კულტურაში იმის მაგალითიცაა, თუ როგორი ოპტიმისტური გრძნობით უნდა ცხოვრობდეს და ქმნიდეს კაცი ამ ქვეყანაზე. ვარძია მხატვრული თვალსაზრისით, მასში ჩაქსოვილი ჰუმანიზმითა და ხელოვნებით ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე მადლდება და იგი სხვადასხვა ეროვნებისა და დროის ხალხებისათვის მუდამ დიდი შთაბეჭებით იქნება.

ვარძიის შექმნის ხანა თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ხანაა; იმ დროის საქართველო არა მარტო ძლიერი და მდიდარი ქვეყანაა, იგი მრავალეროვნო კავკასიის ცენტრია და ქრისტიანული ქვეყნების დამცველი ბურჯი. მისი დიდად განათლებული საზოგადოება საფუძველია ჰუმანისტური იდეების აღზრებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებისა. იგი ატარებს რელიგიურ შემწვანარბლობას და სამონასტრო ცხოვრებაში საერო საწივსეუბი შეაქვს. ამ ეპოქაში კულტურა და ყოფა პარმონიულ განვითარებას ადწევს. ეს ქართული კულტურის რენესანსია. ვარძიის ანსამბლის შექმნაც ქვეყნის ამ დიდი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა.

ვარძია ამ თვალსაზრისით მხარში უდგას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ — ჰუმანიზმის მუწეებელ ამ პოემას, ნაწარმოებს, რომელმაც საშუალება მისცა მეცნიერებს დაენახათ ქართული რენესანსის რეალური საფუძვლები. ვარძიის ხუროთმოძღვარი დაჯილდოებულია დიდი შემოქმედებითი ნიჭით და თავისი დროის ახალი ჰუმანისტური მიმდინარეობის ერთ-ერთი ძლიერი ხელოვანთავანია.

ისტორიული ქარტეხილებისა და ბედის უკუდმართობის გამო დღემდითაა მოცული გენიალური ხუროთმოძღვრის ვინაობა და ამ დიდებული ძეგლის სრული ამბავი, მაგრამ „ქართლის ცხოვრება“, ზოგიერთი დოკუმენტი, ლაბიდარული წარწერები, ვარძიის მხატვრობა და თვით ძეგლის ცალკეული ნაგებობანი საშუალებას გვაძლევს გავიზაროთ ვარძიის როლი ქვეყნის ცხოვრებაში.

ვარძიას სამი ქტიტორი ჰყავს: მონასტრისა — გიორგი მესამე, მონასტრისა და ტაძრისა — თამარ მეფე და ტაძრის მხატვრობისა — ქართლის ერისთავი რატი სურამელი, გამოსახულების ტაძრის მხატვრობაში. ვიცით, აგრეთვე, ტაძრის დიდებული ფერწერის ავტორის სახელი „გიორგი“, ფარულად ჩაწერილი ფრესკულ ორნამენტში.

1185 წელს ნაკურთხი ვარძია იმთავითვე დაარსდა, როგორც სამონასტრო ანსამბლი და თავისი არსებობის ოთხასწლოვანი ისტორიის მანძილზე უცვლელად იწოდებოდა, როგორც სამეფო სახლის „დიდი და ბატონისანი მონასტერი“. „ქართლის ცხოვრება“ ვარძიის სახელს განსაკუთრებული მოწიწების გრძნობით ეპყრობა და ქვეყნის ესა თუ ის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებანი ძირითადად ვარძიასთან ურთიერთობაშია ახსნილი.

როდესაც შემტანივ მოგვიტოხრობს თამარ მეფის მიერ ქვეყნის შიგნით, ანდა საზღვარგარეთის წმიდა ადგილებში დიდ სა-

მონასტრო მშენებლობაზე და ამ კულტურული კერების ფართო ხელშეწყობაზე, წინა პლანზე წამოწეულია და ვრცლად, აღმფრენით არის მოთხრობილი ვარძიის მონასტრის კლდეში გამოკვეთის ამბავი, მისი განსაკუთრებული ადგილი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. კარგად არის ცნობილი სამონასტრო ცენტრების ამ ძველი ქართული მწერლობის კერათა დიდი მნიშვნელობა წვენი ერის სულიერ ცხოვრებაში.

ვარძიის ბიბლიოთეკიდან მხოლოდ ორად ორი ნაწარმოები შემოგვრჩა. ეს არის XII საუკუნის ვარძიის „ოთხთავი“ და ვარძიაში მოღვაწე იოანე შავთელის „გალობანი ვარძიის დევისმ-შობლისანი“, დანარჩენი... ამის შესახებ თვით „სახარების“ XVI საუკუნის მინაწერი მოგვითხრობს. ეს წიგნი ქართველმა ბატონიშვილებმა სპარსეთის ბაზარზე იყიდეს და კვლავ ვარძიას დაუბრუნეს.

ვარძია, როგორც კულტურის კერა, ამდიდრებდა ეროვნულ საწივგნობრო საგანძურს, ავითარებდა ქართულ ლიტერატურულ აზროვნებას, ტრადიციულად მისდევდა საგანმანათლებლო საქმიანობას.


1203 წელს საქართველოს ლაშქარს მძიმე და გადამწყვეტი ბრძოლა მოუხდა რომის სულთანის, რუქნადინის ოთხასათასიანი ჯარის წინააღმდეგ. ქართველთა ბრწინვალე გამარჯვება ვარძიის სახელს დაუკავშირდა. თამარ მეფემ ხომ ამ ბრძოლის წინ საქართველოს ლაშქარი ჯავახეთში შეკრიბა და ბრძოლის ველზე ვარძიის სახელით დალოცვილი გაისტუმრა. ამ ბრძოლის დროს თამარს ვარძიასა და ოძრესში ყოფნისას თან ახლდა იოანე შავთელი, რომელმაც ბასიანში ქართველთა გამარჯვებას მიუძღვნა თავისი დიდებული ნაწარმოები.

1210 წელს ასევე ვარძიის „სასწაულმოქმედის“ სახელით იმარჯვებს საქართველოს ლაშქარი სპარსეთში. უკვე ამ ეპიზოდური ცნობებიდან მკვეთრად ჩანს, რომ ვარძია ქვეყნის მთავარი სულიერი ხატია, რომელიც დიდ მორალურ გავლენას ახდენდა საქართველოს მოსახლეობაზე და განუმტკიცებდა მას საგმირო-საფალავნო სულს უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

მატიანეებში რომ ვარძიის ეროვნული მნიშვნელობის რეალური სურათია აღბეჭდილი, ამას თამარის ეპოქაში მცხოვრები ცნობილი მეცნიერის, იოანე ვანაკანის წერილობითი ცნობის ანალიზიც ადასტურებს, სადაც ვარძიის ჯვრის ეროვნული მნიშვნელობა ქათულ ანბანთანაა გათანაბრებული.

ვარძია კლდის ბუნებრივ მიუდგომლობასთან ერთად კლდის სიღრმეში არსებული ერო-გვირაბებითა და კლდის სახლებთან საგანგებოდ მოწყობილი თავდაცვითი სისტემებით იყო გამოკვეთილი და გამაგრებული, რაც მათ სრულიად უჩინარსა და გასაიდუმლოებულს ხდიდა. ვარძია, როგორც გამაგრებული თავშესაფარი-ქვაბი, იცავდა ეროვნულ-კულტურულ საგანძურს და ქართველობას ფიზიკური განადგურებისაგან.

დგება მონღოლების ბატონობის მძიმე ხანა, ვარძიის ეროვნული მნიშვნელობა და მისი გავლენა კვლავ საგრძნობია. XIII საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მონღოლთა ნოინი ნავრუნი აოხრებს საქართველოს კვლესია-მონასტრებს, ვარძიის მონასტერი ისევ წინა პლანზეა. იგი სასწაულებრივ გადაურჩა დარბევას. კვლავ მძიმე სურათი ცხოვრებისა — მონღოლები საქართველოში აუქმებენ საეკლესიო საქმიანობას. ვარძიის წინამძღვარი, ტრადიციულად საწოლის მწიგნობარი — მწიგნობართუხუცესის მოადგილე საეკლესიო-სამონასტრო საქმიანობაში საერო ხელისუფლებიდან, გვერდში უდგას საქართველოს



ლეთისმშობლის შიშინება. დეტალი



ღვთისმშობლის მიძინება

კათოლიკოსს, მასთან ერთად მიემგზავრება ილხანს ამ დიდი ეროვნული საქმის მოსაგვარებლად და წარმატებით აგვირგვინებს კიდევ.

XIII საუკუნიდან სამცხე—საათაბაგოს სეპარატული მიდრეკილება მძიმედ დააწვა ქვეყანას და მეფის ერთგულ ვარძიის სავანეს. დროდადრო მცხეთის საკათალიკოსოსაგან იძულებით გამოქნულს საფარის მონასტერთან ერთად ანტიოქიისა თუ აწყურის საეპისკოპოსოს დამორჩილება უწევს: ამ საეკლესიო პოლიტიკური ბრძოლის არაერთი საინტერესო საბუთია შემონახული.

XV—XVI საუკუნეები ქვეყნის შინაგანი რღვევისა და ირანთურქეთის მხრივ საქართველოს დაპყრობისადმი უკიდურესად აგრესიული მიწრაფების ხანაა. ამ ხანებში ვარძიას უხდება თავდაცვითი ბრძოლების გადატანა. იგი საქართველოს მეფის საიმედო დასაყრდენია ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

1551 წელს ვარძია ააოხრა შაჰთამაზმა. ამ ბრძოლის მონაწილე ცნობილმა სპარსელმა მემატიანემ ასან ბეგ რუმელუმ თავისი ნაწარმოების ჟუსშენიერესი ისტორიათაგანის“ ფურცლებზე აღვრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა ვარძიის აღწერასა და იქ გამართული ბრძოლის შედეგებს. ვარძია ერთადერთი ქრისტიანული ძეგლია, ასე ვრცლად აღწერილი ამ მრავალტომულში. ეს ბრძოლა ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძესაც აქვს მოთხრობილი.

1578 წელს მესხეთი თურქეთის უღელქვეშ მოექცა და კვლავ საიონასტრეში საეკლესიო—სამონასტრო მოღვაწეობა გაუქმდა. 1829 წელს სამცხე—ჯავახეთის ნაწილი და ვარძია კვლავ საქართველოს უბრუნდება. მცირე სამონასტრო ცხოვრებაში ოდნავ კიდევ გაიღვიძა ამ დიდებულ სავანეში...

დღეს ვარძია მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი ძეგლია. მასთან მუზეუმნარკობის დაარსება და მრავალი წლის მანძილზე მისი მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში გაერთიანება ამის ნათელი დასტურია.

ვარძიის ხუროთმოძღვრის მხატვრული ჩანაფიქრის განსაზღვრისათვის აუცილებელი გახდა ძეგლის მთლიანი ფიქსაცია, ნახაზებში გეგმიურ—სივრცობრივი სტრუქტურისა და საფასადო მხარის დამუშავება, რადგან ვარძიის ცამეტსართულიანი ფასადი, რომელიც გამოკვეთილია თაღოვანი რიგების პორიზონტალური განლაგების პრინციპით, თითქმის მთლიანად ჩამოშლილია. ვარძია ნახაზებში აღდგა და დაიწყო მისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული პრინციპების ახსნა, რამაც საქართველოს სხვა კლდის ძეგლთა გამოვლენა და დამუშავებაც მოითხოვა.

თანამედროვე პირობებში ვარძიამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გამოქვაბულთა შესწავლას, კვლევის პროცესში წარმოიშვა მეცნიერების ახალი მიმართულება—სპელეოსტიკა—გამოქვაბულთმცოდნეობა. ხოლო სპელეოსტიკურმა კვლევამ—ძიებამ ქართული სამონაზვნო ცხოვრების სრულიად ახალი ევობოვანი ძეგლები გამოავლინა. მათი მეშვეობით მიღებულმა მეცნიერულმა გააზრებამ ძველი ქართული ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი პრობლემები სრულიად ახალი თვალთ წარმოაჩინა, რაც თვით ვარძიის არქიტექტურული ანსამბლის მხატვრული აზროვნების გახსნის საფუძველია. მან ახსნა ვარძიის ადგილი კლდის ხუროთმოძღვრებისა და ქართული კულტურის ისტორიული განვითარების გზაზე.

ვარძიის მიდამოებში, მდინარე მტკვრის ხეობაში და ამ ისტორიულ ჯავახეთის ქვეყანაში შესწავლილმა კლდის საერო საცხოვრისებმა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, კლდეში ნაკვეთი გვირგვინიანი დარბაზული და ბოსლიანი კლდის სახლების შესწავლით ვარძიის ანსამბლი გამოიჭნა საერო და სამონასტრო კომპლექსებად. ხოლო ქვაბოვანმა სამონაზვნო კომპლექსების შესწავლამ ვარძიის მიდამოებში, ზედაზენზე, შიომ-

ღვიძისა და დავით გარეჯის ლავრებში დაადასტურა მძლავრი მუდამბნობა საქართველოში, რაც ქვაბოვანი სამონაზვნო სადგომებით, უდაბნო-ძველებით არის წარმოდგენილი IV—VII საუკუნეებში და ზოგადად ქართული არქიტექტურის განვითარების კლასიკურ ხანას ემთხვევა. ქართული მუდამბნობის აღმოჩენამ „ასურულ მამათა“ მუდამბნობითი მოღვაწეობაც დაადასტურა და, ესე იგი, გაიჩვენა, რომ იოანე ზედაზენელის მეთაურობით ეს მოღვაწეობა საქართველოში მუდამბნობის დამწერგავნი და გამავრცელებელი არიან“. „ქვაბითა“, და „უდაბნოდ“ მოხსენებული ძეგლებიც უკვე ამ ტერმინით თარიღდება. მუდამბნობის გამოვლენით ქართული სამონასტრო ცხოვრება VIII—IX საუკუნეებს დაუკავშირდა, როგორც სამონაზვნო ცხოვრების მეორე განვითარებული საფეხური. იმეც გაიჩვენა, რომ მონასტერი წარმოადგენს კვიტკირის ნაგებობათა ანსამბლს და რომ ეს ანსამბლები უდაბნო ძეგლებთან შეიქმნა. ამის შედეგად მივიღო უდაბნო—მონასტრები. ამ დროიდან ქვაბოვანი დამოუკიდებელი ანსამბლების კვეთის ტრადიცია ირღვევა, ესე იგი, სამონასტრო ცხოვრება მუდამბნობის წიაღში წარმოიშვა და მისი დამწერგავნი არიან მუდამბნობის გამოვლენის ხანცთელი და მისი მოწაფეები. აქედან მოკიდებული ქართული არქიტექტურის მეორე ავევების პერიოდში მძლავრი სამონასტრო ცენტრები იქმნება, რომლებიც, როგორც ვთქვით, კვიტკირის ნაგებობათა ანსამბლებს წარმოადგენენ.

მონასტრების კვიტკირით შენების ხანაში მძლავრი სამონასტრო ანსამბლი კვლავ კლდეში გამოკვეთეს. რა ხდება?!.. ეს არის ქართულ არქიტექტურაში რენესანსული გააზრების შედეგი. მონასტრის კლდეში გამოკვეთას სხვანაირი ახსნა არ მოეკენება! ამიტომ ვარძია არის „კლდის მონასტერი“, კლდის სახლებითა და პალატებით, განსხვავებული „უდაბნოსაგან“, ბერთა ქვაბოვანი სენაკებით. დიახ, ქართულ არქიტექტურაში ეს პუმიანისტური მოძრაობა ვარძიის ანსამბლში გამოვლინდა. იგი აღორძინებაა, ერთი მხრივ, როგორც კლდეში გამოკვეთილი რელიგიურ—პოლიტიკური ცენტრი, ანტიკური უფლისციხის მსგავსად და, მეორე მხრივ, როგორც კლდის სამონაზვნო საცხოვრებელი უდაბნო ძეგლების ანალოგიით.

უდაბნოთა ჩვეულებრივი ხალხური ხასიათის შმენებლობაზე დაფუძნებული ვარძიის ხუროთმოძღვრის შემოქმედება უკვე პროფესიულია. იგი უპირველესად მონუმენტალისტია. ანსამბლის ვრცელი მრავალსართულიანი ფასადი თაღების უწყვეტი სისტემით, ანსამბლს შვიდ, სახეიმი და მონუმენტურ იერს ანიჭებს. მთავარი არქიტექტურული ელემენტი, რომელიც გამოყოფს და განასახვავებს ვარძიას მის წინამორბედ უდაბნო-მონასტრებისაგან, არის ფასადზე გახსნილი თაღებით გაფორმებული წინაკარი, კარაპანი; მას ვარძიის ანსამბლში ჩაქსოვილი ისტორიულ—არქიტექტურული და ესთეტიკური საკითხების გამოსაკვლევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კარაპანის თაღოვანი საფასადო სისტემა და კამაროვანი ინტერიერი მთელი ანსამბლის არქიტექტურის ლეიტმოტივაა, როგორც ანსამბლის სახეიმი არქიტექტურულ—ესთეტიკური ნაწილი. იგი გვიხსნის კარაპანის უკან კლდის სიღრმეში არსებულ სათავსოთა ფასადზე უხილავ სივრცობრივ გადაწყვეტას, მის აგებულებას. ეს არის გასაღები ანსამბლის პიქტობოლური გადაწყვეტისა, რომელიც ფაქტობრივად სრულიად მარტოვ გეგმიურ—სივრცობრივ კომპოზიციას წარმოადგენს—კლდის სიღრმეში, ტაძრის გარშემო გვირაბებით ურთიერთდაკავშირებული ტერასულად განლაგებული საცხოვრისები აქაიქ დართული სამლოცველოებით. კარაპანი გამოხატავს ანსამბლის არქიტექტურულ დედააზრს, მის მხატვრულ სიდიადეს და სულისკვეთებას, მონასტრის შიგნით რომ სუფევს.

ვარძია ნათელი სურათია ადამიანის დაუცხრომელი ენერგიისა და შემოქმედებისა. დიდი ხელოვანი, ხუროთმოძღვარი

თავის ეპოქალურ ჩანაფიქრს ბრწყინვალედ ახორციელებს, მიზანს აღწევს. ხუროთმოძღვრებაში გატარებული ეს ჰუმანიზმი შესანიშნავად დადასტურდა ვარძიის ცხოვრების ისტორიული განვითარებითაც.

ვარძიის კლდის სახლების არქიტექტურა მკაფიოდ გადმოსცემს ეპოქის ხაერთო სულისკვეთებას. მისი არქიტექტურის მაგალითით ჩანს, რომ სამონასტრო ცხოვრების წესი რუსთაველის ეპოქაში შესამჩნევად შეცვლილი და უფრო მეტად, ვიდრე ეს XIII საუკუნის „ვაჰანის ქვაბთა“ ტიპიკონით არის დადასტურებული. აქ ცალკეულ სახლებსა და მთელ ანსამბლში აშკარად იგრძნობა დინამიკური ძალა, რაც გამოხატულია ინტერიერის მხატვრულ გაფორმებაში — საღა სიბრტყეთა სუფთა, ხორკლიანი ფაქტურა, სხვადასხვა სიდიდისა და სიღრმის ნიშები და თაღები. ვარძიის სახლები პარმონიულადაა გაერთიანებული ერთ ანსამბლად და მის არქიტექტურაში გამეფებულია სისადავის სიდიადე. მაღლა სივრცეში გადატანილი ვარძიის ანსამბლი თითქმის ზღაპრულ შთაბეჭდილებას ქმნის: ეს პირობითობა, მოულოდნელობა და რომანტიკული შთაბეჭდილება ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ჩანაფიქრია.

ხუროთმოძღვარი არსებული ცხოვრების ნორმების ვათვალისწინებით ქმნის ძველს — ციდან გადმოკიდებული ვარ-


ძიის ანსამბლით გაძლიერებულია მისი საკულტო დანიშნულება, მისი სიდიადე და გრანდიოზულობა.

ვარძია, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური ძველი ამბლ-და არა მარტო ქართველთა, არამედ კავკასიელ ხალხთა შეგნებაში მათი შეკავშირებისა და ბოროტზე კეთილის გამარჯვების სიმბოლოა.

... მემატიანის აღფრთოვანება, „რომელი ყოვლისაგანცა მოთხრობა ძნელ არს“ და იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი“-ო, ანუ მისეული განმარტებით „სასწაულთა — მოქმედება“, ამის დამადასტურებელია.

ვარძია და ვეფხისტყაოსანი ქართული კულტურის ერთი ზოგადი წრის ჰუმანიტური ძეგლებია. ორივე ძეგლი თამარ მეფის შთაგონებითაა გააზრებული. ორივე ძეგლმა ქართველის თვალში უკვლავება დაიმსახურა. ორივემ საუკუნეებს გაუძლო. ეს იუბილე ქვაკუთხედი უნდა გახდეს მომავალში ვარძიის განსაკუთრებული, უფრო მასშტაბური მეცნიერული კვლევა-ძიებისა. ვეფხისტყაოსანი თავის რვაას წლისთავს მსოფლიო აღიარებით შეეგება, ვარძია კი მსოფლიო კულტურის სარბიელზე რვაას წლისთავზე იდგამს ფეხს.

მ. შაჰრონდიაშვილი



ვანის ქვაბთა მონასტერი. ასპინძის რაიონი

რომის პაპის, პავლე VI-ის პირველი ენციკლიკა

რომისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიას შორეულ საუკუნეებში უღვას ფესვები... ამის შესახებ მოგვითხრობენ ის ფრიად საინტერესო დღა მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობები, რომლებიც ძველ მემკვიდრეებსა და მოგზაურებს, პილიგრიმებსა და მისიონერებს თავიანთ ნაწერებში შემუნახავთ... ეს ურთიერთობები მუდამ თანაბარი განვითარებით, ცხადია, არ მიმდინარეობდა, რაც ამ ორი და განსაკუთრებით კი, ჩვენი ქვეყნის მიმართ პოლიტიკური მდგომარეობით აიხსნება. ბოლო საუკუნეებში მაინც თითქმის მთლიანად ნაწყვეტი მისი ფესვები და მხოლოდ ჩვენს საუკუნეში, კერძოდ, სამოცი—სამოცდაათიანი წლებიდან იგი კვლავ აღდგა... დღეს საქართველოს ეკლესია თავის ეკუმენურ ეტაპზე განუხრევლად ესწრაფვის რომის კათოლიკურ სამყაროსთან ძმური კავშირის განმტკიცებას...

ამ კავშირის განმტკიცების ერთი მგაგალითი ეპისკოპოს ამბროსის მოკრძალებული ნაშრომიცაა, რომელსაც „რომის პაპის, პავლე VI-ის პონტიფიკატი“ ეწოდება.

ეს არის საკანდიდატო შრომა. ავტორს შეუსწავლია რომის ეკლესიის ამ მნიშვნელოვანი, დიდი მოღვაწის ცხოვრება, მისი ღრმად საინტერესო ენციკლიკები.

ებუჭვლავთ ერთ ნაწილს ამ ნაშრომიდან.

თავისი მხურვალე სურვილის განხორციელების გზაზე — ჭეშმარიტი ნათელისაკენ მიექცია თანამედროვე ადამიანის გული, დვთაებრივი სულისათვის ეზიარებინა იგი, — პავლე მეექვსემ ჯერ კიდევ ვატიკანის II მოსოფლიო საეკლესიო კრების დასრულებამდე, 1964 წლის 10 აგვისტოს გამოაქვეყნა თავისი პირველი ენციკლიკა („ეკლესიის არსი“). ეს არი იყო მკაცრი დოგმატური დოკუმენტი; თვით პაპისავე სიტყვით, მას სურდა, რომ ეს უოფილიყო ძმური, გულწრფელი სიყვარულით გამსჭვალული ეპისტოლე. და მართლაც, — ამბობდა მასში პავლე VI, ჩვენი მხოლოდ იმას მივსწრაფვით, რომ ღვთის მიერ ჩვენდა დაკისრებული მოვალეობა აღვასრულოთ სულიერი სიცხადითა და დაუფარავად განვიცხადოთ ჩვენი მისწრაფებანი, რათა კიდევ უფრო მეტი ერთსულოვნება, კავშირი და სიხარული მივანიჭოთ რწმუნისა და სიყვარულის თანაზიარობას, ჩვენს შორის რომ ჰგებოს“.

„თავისი ეკლესია ქრისტემ იმისათვის დააფუძნა, რომ იგი კეთილსაზიარ ღვთის მოვლენოდა კაცობრიობას და ადამიანთა ხსნის საქმის ერთდღერთი შენეებელი და გამძლიო ყოფილიყო“, — ასე შეახსენებს პავლე VI ეკლესიის დვთაებრივ დანიშნულებას და ამით ნათლად წარმოაჩენს თავის უსაზღვრო სურვილსაც — მთელის არსებით ემსახუროს ამ უმადლეს დანიშნულებას: ადამიანის სულის ხსნას საუკუნო სიკვდილისაგან.

ენციკლიკა შედგება პროლოგისა და სამი ნაწილისაგან, რომელთაგან თითოეული გადმოცემულია დიდი სიცხადით. ეს ნაწილები დასათაურებულიცაა: პირველ ნაწილს ს ი ნ დ ი ს ი (ანუ თვითშემეცნება) ეწოდება, მეორეს — განახლებება და შესაქმნა — დ ი ა ლ ო გ ი.

ენციკლიკის პროლოგში პაპი გულუხვად იძლევა წინადადებას, დავამყაროთ არა „ერთი სახეობის კონტაქტი, არამედ — ასი სახეობისა“..., რათა სავსებით მომზადებულნი შევხვედეთ მოლაპარაკებებსაც და, მით უმეტეს, შესაბამის დასკვნათა გამოტანასაც. და, რა თქმა უნდა, იგი თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მშვიდობის შენარჩუნების პრობლემას, რამეთუ, როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, მშვიდობის თვინიერ ყოველივე უნაყოფო და ამაოა.

ამრიგად შევედგეთ ენციკლიკის პირველი ნაწილის — სინდისის (თვითშემეცნების) განხილვას.

სიტყვა „თვითშემეცნების“ ქვეშ პავლე VI გულისხმობს იმ უკვველ ფაქტს, რომ ეკლესიისათვის აუცილებელია უკეთ შეიმეცნოს საკუთარი არსი, უკეთ შეიმეცნოს თავი სწორედ დღეს: ანუ პასუხისმგებლობის მთელი ხისრულით ვაისაგრძელოს თავისი დვთაებრივი ბუნება და მაღალი დანიშნულება, ავტოვით, კონკრეტული მიზნებით დაისახოს უახლოესი მომავლისა და თვალსაწიერი მყობადისათვის. ამასთან დაკავშირებით იგი შემდეგს აცხადებს:

„განსჯა, ფიქრი საკუთარი ბუნების შესახებ აუცილებელია ეკლესიისათვის იმ მიზნით, რომ მან სრულად შეიმეცნოს საკუთარი არსებობა და დანიშნულება. მისთვის აუცილებელია სწავლა საკუთარი თავის უფრო სრულყოფილად შეცნობისა, რათა კვლავაც თავისი მოწოდების შესატყვისად იცხოვროს და ქმედითად გადასცეს კაცობრიობას ჭეშმარიტი სიტყვა ძმობისა და ხსნის შესახებ“.

გარდა ამისა, ეკლესიის თვითშემეცნება (სინდისი) თავის თავში აერთიანებს კათოლიკური ეკლესიის ისტორიული გზის განხილვას და წყვეტილი ტრიდენტის საეკლესიო კრებიდან, მისი შემდგომი მოძღვრებით გაგრძელებული, და დამთავრებული ვატიკანის მეორე მოსოფლიო, კათოლიკური ანგარიშით კი, XXI საეკლესიო კრების დღევანებით... კერძოდ კი, პავლე VI-ს მოჰყავს იმ მნიშვნელოვან დოკუმენტთა სია, რომლებმაც მისი (და საყოველთაო აზრითაც) შეხედულებით, უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ მოძღვრების განვითარებაში და სავსებით იმსახურებენ დღეს ყურადღებას ეკლესიის არსის გამორკვევისას. პაპი ჩამოთვლის რამდენიმე ასეთ დოკუმენტს, რომელთაგან უნდა გამოვეყთ რომის ორი მეთაურის ენციკლიკები — დღე XIII-ის: „სატის კოვნიუმი“ (1896 წ.) და პაუს XII-ისა: „მისტცი კორპორის“ (1943 წ.). პავლე VI-ის აზრით, ეს ის დოკუმენტებია, დაწერილებითა და მთელის სიცხადით რომ წარმოაჩენენ ჩვენს წინაშე მოძღვრებას იმ დვთაებრივ

დადგინებთა შესახებ, რომელთა მეშვეობითაც იესო ქრისტემ გაავრცელა ამ ქვეყნად თავისი საქმე — ზრუნვა კაცობრიობის სინანსათვის“.

და, რასაკვირველია, პაპი ვრცლად ჩერდება ისეთ განსაკუთრებულ მოვლენაზე თავისი დროისა, როგორც იყო ვატიკანის შიგნით მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა. „ჩვენ შეგნებულად ვიკავებთ თავს წინამდებარე ენციკლიკაში იმისაგან, რომ ეკლესიის არსთან დაკავშირებით რაიმე პირადი მოსაზრებანი ვაძღვებთ, რადგანაც ამჟამად სხვადასხვა მსჯელობანი ამ მიმართებით თვით კრების საგანს შეადგენს, იმ კრებისა, რომლის წინამძღვრობაც ჩვენ გვაქვს დაკისრებული; ამით გვსურს ამჟამად ამ ეკლესიის მადლსა და ავტორიტეტულ თავყრილობას კვლევისა და აზრთა გადმოცემის სრული თავისუფლება მივანიჭოთ და თავს არ მივცავით ჩვენი საკუთარი შეხედულებანი; ხოლო საკუთრად ჩვენი — მოძღვრისა და მწყემსის — მხახურობისათვის, რომელიც დღის განვლით იქნა განსაზღვრული უფლის ეკლესიის მეთაურის მხახურებად, ჩვენ ვიტოვებთ არჩევანისა და გადაწყვეტილების უფლებას, თუ როდის, ან ვით ვაძღვებთ მას, რომ ყოველივე მსგავსი და შესატყვისი იყოს საეკლესიო კრების მამათა მოსაზრებებისა და შეხედულებებისა“.

განსაკუთრებული ყურადღება პაპის ენციკლიკის ამ, პირველ ნაწილში დათმობილი აქვს ნათლისღების საიდუმლოს, ერთ-ერთ უძველეს შვიდ დოქტრინულ საიდუმლოთაგან; და ეს სულაც არ იყო შემთხვევითი გარემოება იმ დიდ საქმეში ქრისტიანთა თანახმობისა, რომლის წარმართვამაც სასურველი და შესაძლებელი ხავესებით შესაბამისი შეიძლება იყვნენ ერთბაშისა. „წმიდა ნათელის მიღებას მორწმუნის მიერ, ანუ იმ დიდი საიდუმლოს გზით მის თანახმობას ქრისტეს მიხედვით, რასაც თავისი არსით წარმოადგენს კიდევ ეკლესია, უნდა დაეკუთვნოს მთელი მისი უწინდელი მნიშვნელობა. ახლად მონათლულმა განსაკუთრებით უნდა შეიმცნოს მთელი მნიშვნელობა და სიდიდე, სიმაღლე თავისი განდევობისა წმიდა ნათელის მიღების გზით; უფრო მეტიც — მთელი ღირსება და ღირებულება თავისი განახლებისა და აღორძინებისა ამ გზით; შეიგნოს ეს უხომო ბედნიერება დღეთის შვილად ყოფნისა, და ქრისტეს ძმად ყოფნისა; მან უნდა იგრძნოს თავისი არსების აღჭურვა დოქტრინული მადლით, და უსაზღვრო სიხარული იმის გამო, რომ მასშიც შესულა, დამკვიდრებულა სულიწმიდა“.

— ამგვარად შთაგონებული სიტყვებით ვაძღვებთ პაპს პავლე VI ამ სასწაულს. ენციკლიკის შორეულ ნაწილში, რომელსაც **გ ა ბ ნ ა ხ ლ ე ბ ა** ჰქვია, პაპი შემდეგ აღნიშნავს: „ჩვენ ვისურვებთ, რომ ამ საკითხზე (ეკლესიის საქმიანობის განახლება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად — ა. ქ.) კვლავ მიიპყროს პირველხარისხოვანი ყურადღება, რასაც იგი სავსებით სამართლიანად იმსახურებს. და ეს იმდენად იმისათვის კი არ უნდა მოხდეს, რომ წამოყენებული იქნეს ახალი თეორიები, არამედ იმისათვის, რომ გამოვიყენოთ და განვითაროთ ენერჯის ახალი სახეობანი ეკლესიის მოღვაწეობაში; სწორედ ახალი ძალების მოძიება ამჟამად საჭირო იმ სიწმიდის მიხედვით, რომლის შესახებაც ჩვენ თვით იესო ქრისტე გვასწავლიდა და რომლის შეცნობაც, მოსურვებაცა და მიღწევაც მაგალითია ჩვენი უფლის

სიტყვისა, მადლისა და მოძღვრებისა — ხელმისაწვდომი გამბარა ჩვენთვისაც, ცოდვილი ადამიანებისთვის. საეკლესიო ვადმოცემის სიმდიდრე ჩვენთვისაც გულუხვად შემოუნახავს ისინი“.

დოქტრინული, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომი კანონებისა და მიხედვით, სამართალს განიცდის. ამიტომ არც ეკლესიას ძალუძს მარად სტატიკური და უცვლელი დარჩეს ამ მოძრავ სამყაროში; ეს გარემოება ეკლესიას მრავალი სრულიად განსხვავებული და ძალზე რთული პრობლემის წინაშე აყენებს. ეკლესია არ უნდა დაზიანდეს თავად და არც, მით უმეტეს, რამეთუ სამყაროსათვის უნდა მოქმედდეს ზიანი, ვიდრე მისი წმიდა დანიშნულება — ემსახუროს ადამიანთა სულიერ ამაღლებას, დოქტრინული სულით გამსჭვალვას, განწმენასა და განსებერებას, — აი, ის უდიდესი ამოცანა, რომლის აღსრულებაც ძალზე ძნელია, რადგან მისი განხორციელების გზაზე მრავალი წინააღმდეგობა და საშინაო ნაწარმოები მღვდელმსახურს. ამ საკითხთან დაკავშირებით პაპი პავლე VI მოსაზრებას გამოთქვამს:

„ეკლესია ის ადამიანი — ამბობს იგი — ვინც მტკიცედ არ დამკვიდრებულა რწმენაში და ფართოდ არ გაუდგამს ფეხები საეკლესიო კანონთა აღსრულებას—დაცვაში, ადვილად გაიზარებს იმ დასკვნას, რომ უკვე დრო დამდგარა არსებობის საერთო გაგებასთან შეგუებისა, ანუ არასაკლებად ვაგვიძინებს მისი, როგორც უკეთესისა და სავსებით მისაღებისა თანამედროვე ქრისტიანისათვის. მატერიალურ გარესამყაროსთან ასიმილაციის ეს მოვლენა ფილოსოფიაშიც იჩენს თავს; აი, თურმე, და ყოველსშემდეგ ყოფილა მოდა თვით აზროვნების სფეროშიც კი, რომელიც თითქოს ყოველთვის ავტონომიურად და ყოველთვის ძალდტანებისაგან თავისუფალი უნდა დარჩენილიყო, და რომელშიც ნებისმიერი აღიარება მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების ანდა გამოცდილ ბრძენ მოძღვართა დაურღვეველი ავტორიტეტის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. მსგავსი მოვლენა შეიძინევა პრაქტიკული ცხოვრების სინტეზის, სადაც დღისათვის სულ უფრო მზრდადი მერყეობითა და სიმწიფით ტარდება ეკლესიისათვის სასურველი ნორმები ზნეობრივი სიმართლისა და სწორი ქცევისა“.

და მაინც, მუხუხდავად იმ რეალური საშუარობებისა, რომელიც ეკლესიის მოღვაწეობისათვის სამყაროს ბუნებრივი ველოუცისა და მისი ათვისებული გაგების ნიადაგზე არსებობს, პაპს შემდეგი აღმოხდება: „არა უძრავია, არა ერთ ადგილზე გაყინება, არამედ — „აფიორნამენტო“... ეს ის გამოთქმაა, რომელსაც პოპულარობა ჩვენმა ყოველდღე პრაქტიკულმა წინამორბედმა — იოანე XXIII-მ (როსკელიმ) შესძინა; დაიბ, „აფიორნამენტო“ კვლავაც ძალაში რჩება იმისათვის, რომ უკეთესი განსაზღვროს ჩვენი პროგრამის ძირითადი აზრი; ჩვენ უკვე დავადარტურეთ, რომ ამგვარი ძირითადი აზრისა საეკლესიო კრების სახელმძღვანელო მიმართულება და ეხლა შეგახსენებთ მას, რათა კიდევ უფრო მეტი ძალა მივანიჭოთ განახლებისა და აღორძინების გზაზე მდგარ ეკლესიაში მის ცხოველწარმოებას, ფსიხულ ყურადღებას; აგრეთვე იმისათვისაც, რომ განვამტკიცოთ ეკლესიის სხვა სახის მზადყოფნა; ველოდებით „ყოველთვის გამოცდისა და უკეთესის შეგრძობის“

შესახებ, რასაც დიდი პავლე მოციქული გვიბრძანებს (1 თესალ. 5:21)“.

ამგვარად გაგებული განახლება ეკლესიისა და მისი მოღვაწეობისა უნდა მდგომარეობდეს, უპირველეს ყოვლისა, თითოეული სულის, ყოველი მორწმუნის განახლება—აღორძინებაში... სწორედ ამაში დამარხული საიდუმლო განახლებისა — ადამიანის ჭეშმარიტი მოქცევისა, მთელი მისი არსების შეცვლისა და სხვადა ქცევისა; სწორედ ამ სფეროში უნდა აღასრულებდეს ეკლესია თავისი დიდ საზრუნავსა და საქმიანობას საკუთარი სრულყოფისათვის თანამედროვე მსოფლიოში, თავისი მადლი მოღვაწეობის ჭეშმარიტი განახლებისათვის, — აცხადებს პაპი თავისი პირველ ენციკლიკაში და განავრცობს:

„ეკლესიის მიერ მიღებულ ნორმათა დაცვა მორწმუნეთაგან შეიძლება გაადვილდეს ამა თუ იმ წეს—ჩვეულებათა გამართლებით თუ შემსუბუქებით, აგრეთვე, უფრო დიდი თავისუფლების მინიჭებით თანამედროვე ქრისტიანისათვის, რომელსაც უფრო კარგად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა და რომელიც უფრო შეგნებული იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა შეასრულოს მან, როგორც ეკლესიის წევრმა, თავისი განსაზღვრული მოვალეობანი. თუმცა ზნეობრივი წეს—კანონები ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად მოთხოვნებს: ქრისტიანული ყოფა, რომლის ვალდებულებებსაც განმარტავს და განსაზღვრავს ეკლესია თავის ბრძნულ კანონთა და დადგინებთა ერთობლიობის მეშვეობით, ყოველთვის საჭიროებს მორწმუნეთა მხრიდან ყოველგვარ, გულმოდგინებას, სიმდაბლესა და მსხვერპლის გაღებას; იგი (ჭეშმარიტი ქრისტიანული ყოფა — ა. ქ.) ყოველთვის იქნება განსაზღვრული, როგორც „იწორ ბგენი“, რომლის შესახებაც თვით უფალი გვიბრძანებს (მათე, 7, 13 — 14) „შევედით იწროსაგან ბგისა, რამეთუ ვრცელ არს ბგეა და ფართო არს გზა; რომელსა მიჰყავს წარსაწყველად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ—იგი იწორ არს ბგეა და საჭირველ გზაა, რომელი მიიყვანებს ცხოვრებას, და მცირენი არიან, რომელნი ჰპოვენ მას“.

„ჩვენგან, თანამედროვე ქრისტიანთაგან იგი იმდენსავეს მოითხოვს და უფრო მეტსაც კი ჩვენს ზნეობრივ ძალთაგან; იგი ყოველთვის მორჩილებით მზადყოფნას გვათავაზებს; რაც დღესაც იხვევს აუცილებელია მორწმუნისათვის, როგორც უწინ. თუმცა დღეს ვაცხადებთ უფრო ძნელად აღსასრულებელია, და ამდენად უფრო საჭირო და დასაფასებელიც. ჩვენი ამგვარი მზადყოფნა მორჩილებისათვის, უმეტესწილად, დაფუძნებული იქნება სულიერ მოსაზრებებზე, ვიდრე განპირობებული ბუნებრივი რიგის იძულებით“; —აღნიშნავს პავლე VI თავისი პირველ ენციკლიკაში ეკლესიის არსისა“.

სწორედ ამიტომ პაპი ეკლესია ქრისტიანს მოუწოდებს დაუცხრომლად ეძიოს და განამტკიცოს საკუთარ არსებაში ისეთი სულიერი ძალები, რომელთაც დღეს განსაკუთრებით ესაჭიროებთ გაფრთხილებას და სწორი მამართობა, რადგანაც მათ ხშირად უქმნის სერიოზულ საშიშროებას თანამედროვე ფსიქოლოგია. კერძოდ კი ეკლესიის მეთაურს მხედველობაში აქვს საკუთარი სულის სიკვდილად შესახებ, რასაც ეგზოზო დაფიქრებით ქვადებს სახარება.

„რა დიდი სიძარვეა იმ საგნებისა, ურომლი-სოდგ ადამიანს თავისუფლად შეუძლია ცხოვრება! — გაიძახოდა გაოცებული სოკრატე, როცა ჭრელი საკერიო ბაზრის რიგთა შუა დაიარბოდა. თანამედროვე ადამიანის როული, და, შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ დაბახინებული ფსიქოლოგია ყოველთვის ვერ მისცემს თავს ამგვარი აღიარების უფლებას.

„სიმოკლე ამგვარი მოხსენიებისა სიგლახაკის სულიერი სიდიადისა და, საერთოდ, სიგლახაკის სულის აუცილებლობის შესახებ, რომლითაც აღსავსეა ქრისტეს სახარება, სულაც არ გვათავისუფლებს ჩვენ იმის შესხენების ვალდებულებისაგან, რომ ეს სული სიგლახაკის არ შეიძლება უწინააღმდეგებლად ჩვენთვის დამკვიდრებულ გავებას კონომიკური პროგრესისა, რომელიც უდიდეს ფაქტორად იქცა თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებისა და ზრდისათვის, განსაკუთრებით კი მისი შედეგებისა ჰუმანიტარულ სფეროებში“.

შემდეგ იგი გამოთქვამს რწმენას, რომ დადგება დრო, როცა ყოველი სულისათვის განცხადდება ის სახურები, რომელთა შორისაც უნდა წარმართოს მისი ცხოვრება; მაშინ კვამლსავით განიფანტებიან ყველა კინი და წერილი „სიმართლენი“ და გამოიკვეთება ერთადერთი სიმართლე — ნამდვილი და ყველასათვის აუცილებელი ჭეშმარიტება; და ამ ერთადერთი სიმართლის პოვნაში ადამიანს, ყოველ სულს კვლევისა უნდა დაეხმაროს, ის კვლევისა, რომელიც განსხვავებულია სოფლისაგან, მაგრამ არ არის მოშორებული, გამოყოფილი მისაგან.

ეს განსხვავება გამოყოფის ტოლფასი არ არის. ეს არ არის, აგრეთვე, არც განურჩევლობა — გულგრილობა, არც შიში და არც სიძულვილი. იმით, რომ უპირისპირებს საკუთარ თავს მას; პირიქით — იგი უერთდება მას. ეკლესია იმ მკურნალს ჰგავს, რომელმაც კარგად იცის გადაძების სენის ვერაგი ხასიათი და ისწრაფვის საკუთარი თავიც დაიცავს დასნეულებიდან და სხვებიც; ამავე დროს, იგი იმ უბედურთა განკურნებაც ზრუნავს, რომლებიც უპირატესობად კი არ ხდის იმ მოწოდებას, რომელიც მას ღვთის ძალითა და სახიერებით მიჰმალვობა; იგი არც თავის საკუთარ ნეტარებაში ხედავს საფუძველს იმისათვის, რომ ზურგი აქციოს თავის ყველა უარყოფელს, იმას, ვინც არ შეუღებება მას, არამედ თავის ხსნაში. თავის მხსნელ მსახურებაში ეკლესია იძენს მიზნს ანაღობისა და სიყვარულისა ყველასადმი, ვისთან დაახლოების შესაძლებლობაც კი ეძლევა მას საყოველთაო თანაზიარობის მიღწევის დროს.“ — აი, ამაში ხედავს პავლე VI ეკლესიის განახლების საფუძველს, რომელთაც იგი ქრისტეს სიტყვის ნათელში განიხილავდა. ასევე იქცეოდნენ, როგორც თქვენთვის ცნობილია, მისი წინამორბედნიც.

იმისათვის ხომ არ დაგვიტოვებს ჩვენმა დიდმა წინამორბედებმა, განსაკუთრებით კი პიუს მეთერთმეტემ და პიუს მეთორმეტემ — უდიდესი და უცნისი შემკვიდრებმა ღვათაბრივი სიყვარულითა და სიბრძნით აღსავსე სწავლა-მოდერებისა, რათა თავიანთ შემდგომ მაინც აღესრულებინათ სასუკარი მიზანი — ღვათაბრივი აზრის შეერთება ადამიანურთან, ოღონდ არა განყენებულ დებულებებში, არამედ თანამედროვე ადამიანის კონკრეტულ ენაზე? და განა სხვა რას უნდა წარმოადგინ-

დეს ეს სამოციქულო წამოწევა, თუ არა დიალოგს?

ჩვენმა ნეტარად ხსენებულმა უშუალო წინამორბედმაც იოანე XXIII-მ კიდევ უფრო დიდი აქცენტი თავის მოძღვრებაში იმაზე ხომ არ გადაიტანა, რომ მაქსიმალურად ეცადა დაეახლოებინა ეკლესიის საქმიანობა თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილებასა და გავებისათვის?“

ფართოდ არის ცნობილი ის ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის თაოსნობა ჩვენი — კაცთა ხსნის საქმეში, რამეთუ როგორც წმიდა წერილი გვეტყვის: „აკეთავან შეუძლებელ არს ესე, ხოლო ღმერთს მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“ (მათე 19, 26); ამიტომაც ხსნას ჩვენსას და მოვეყვანის ჩვენსას მხოლოდ მას ვვედრებით. ლოცვა — აი, რა არის დიალოგი ღმერთსა და ადამიანს შორის, — შეგვხსენებს პავლე VI და იქვე დასძენს:

„გარეგანი იძულება დიალოგის მისაღწევად არავის არასოდეს არ განუცდია. ეს დიალოგი (ღმერთსა და ადამიანს შორის) ახმანდა, ვითარცა მძლავრი მოწოდება სიყვარულისათვის, თუმცა იგი, ამავე დროს, მრისხანე პასუხისმგებლობასაც აკისრებდა იმთ, ვისდამაც იყო მიმართული (შდრ. მკ. 11, 21), მაგრამ თან ყველას უტოვებდა არჩევანის თავისუფლებას — მიუღო იგი, ანა უარყო ... ხსნის დიალოგი ხელმისაწვდომია ყველასათვის. იგი მიმართულია აბსოლუტურად ყველასადმი, აქ გამოიკალიხი არ არსებობს (შდრ. კოლ. 3, 9—11).“

ყველაზე დრამატულ სიტუაციებშიც კი პაპი უარს ამბობს კვლავ სცოდნის დიალოგის დამატება გარე სამყაროსთან (ათეისტურთანაც კი): „მკვლეხია უგრძობელი, გულგრილი როდია ათეიზმის დრამისადმი“, — აცხადებს იგი. ეკლესია ყველას მიმართავს, ვისაც კი შევიდეს სწეურთა; ყველას, ვისაც კი სწამს ღმერთი. იგი მიმართავს ყველა იმ ქრისტიანსაც, ვინც დამორბულია და განცალკევებული ირმისგან. პავლე VI გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რომის ეკლესიის პრიმატს, ანუ თვით უფლის მიერ პეტრე მოციქულის მუშეობით მისდა მინიჭებულ უპირატეს მდგომარეობას, არ შეუძლია ხელი შეუშალოს ქრისტიანთა გაერთიანების ღვათაბრივ საქმეს, და მიუშუტეს — დიალოგს. ამასთან დაკავშირებით თქმულ მის სიტყვებს სინანულის ელფერი დაჰკარავს; პავლე VI აცხადებს:

„... ძალზე გვაღონებს ჩვენ ფიქრი იმის შესახებ, რომ ბევრი ცალკეული მამა (სხვა ქრისტოწინულადამსარებლობათა წარმომადგენლები — ა. კ.) სწორედ ჩვენ მიგვიჩვენებს მთავარ წინაღობედ ქრისტიანთა ერთიანობის საქმეში, ჩვენ, ვინაც თავდადებული დამცველი ვართ ამგვარი შერიგებისა; და როცა ასე იქცევიან, ამ მშებს მხედველობაში აქვთ ის უთანასწორობა პატივისა და იურისდიქციისა, რომლითაც თვით უფალმა იესო ქრისტემ ღირს — ჰყო მოციქულთა თავი წმიდა პეტრე, და რომელიც შემკვიდრებით გადმოვიდა მისგან ჩვენზე. განა ზოგიერთნი იმას არ გაიძახიან, რომ თუკი პირველობა პეტრე მოციქულისა გაუქმებულ იქნება, მაშინ ცალკეულ ეკლესიათა შეერთება კათოლიკურ ეკლესიასთან გააღვივდება?“

ჩვენ ვისურვებდით ვედრებით მიგვემართა ამ მშებისათვის, რომელნიც ჩვენგან განცალკევებულად ჰკვიებენ, რათა მათ საღი გონებით განიხი-


ლონ სრული უსუსურობა და უმართებლობა მსგავსი პიპოთეზისა; და ამას ჩვენ მხოლოდ იმისათვის კი არ ვიქმოდით, რომ კათოლიკური ეკლესია პაპის გარეშე ვერ იქნებოდა ჭეშმარიტი, არამედ იმისთვის, რომ თუკი უძალდესი საჭეწო მსახურება პეტრე მოციქულისა, ესოდენ ქმედითი და გადაწყვეტი, განქარდება ქრისტეს ეკლესიიდან, მაშინ ქრისტიანთა ერთიანობაც დაიშლება; და ამ შემთხვევაში ყველა ეცდებოდა აღეღინა ეს ერთიანობა ისეთ საწესებზე, რომლებიც შეცვლიდნენ ქრისტიანთა ერთიანობის ერთადერთ ჭეშმარიტ საწესს, რომელიც თვით ქრისტეს მიერაა დაწესებული. ამ შემთხვევაში, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს წმიდა იერონიმე სტრიდონელი (420), „ეკლესიაში იმდენივე სქიზმა (განხეთქილება) წარმოიშობოდა, რამდენი მღვდელმსახურიც იქნებოდა მასში“ (იხ. მისი „დიალოგი ლუციფერიანელთა წინააღმდეგ“).

პავლე VI-ს სურს ქრისტიანთა საყოველთაო გაერთიანების მოსურნენი შემდეგ პრინციპს მისდევდნენ: თავდაპირველად გამოარკვეონ ის საფუძვლები, რაც აერთიანებს, ან შემდეგში გაერთიანებს ქრისტიანებს, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ იმ მიზეზთა განხილვას, რომლებიც განაცალკევებენ მათ, აშორებენ ერთმანეთისაგან და ზოგჯერ მტრულ დამოკიდებულებებსაც პაპლებს მათში ერთმანეთისადმი. მაგრამ პაპი კიდევ უფრო შორს მიდის: მისი აზრით საჭიროა დაწერილობით შევისწავლოთ ქრისტიანთა მრავალი უთანხმოება — შეხედულებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, თავიანთი ცემის ფორმები, რითაც გზას განეწმედთ მათს გაერთიანებას, იმ სასუკარი მიზანს, რომელიც ამდენი საუკუნეა არ ასვენებს ეკლესიას და რომელიც აქამდე ყოველთვის განმელებული იყო უნდობლობითა და ურწმობით, ამატრატანებითა და ურთიერთწინააღმდეგობით.

ენციკლიკის დასასრულს, პავლე მეექვსე დაიბრუნებს იმდენი, რომ კათოლიკური ეკლესია განუწყვეტლივ იმ დიდი მიზნისკენ წარმართავს თავის სწრაფვას, რომ ღოცვისა და სინანულის მეოხებით შესძლოს გახდეს ღირსი ამ სასუკარი შეერთება — შერიგებისა.

ზემოთ განხილვის საფუძველზე სავსებით სამართლიანად შეგვიძლია დავაცხვენთ, რომ პაპი მონტინი ცხადად და მტკიცედ დააღვა იმ გზას, რომელსაც საფუძველი მისმა უშუალო წინამორბედმა პაპმა რონკელიმ ჩაუყარა. ეს გზა, საბოლოო ჯამში უსათუოდ მიიყვანს მსოფლიოს ყველა ქრისტიანებს ღვთის მიერ ჩვენთვის აღიქმად დადებული ერთობისთან. და აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ უკანასკნელ წლებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი მცდელობაც ამ მიმართულებით, რომლის მეთაური, უწყმიდესი და უნეტარესი ილია II ძალებს არ ზოგავს, იმისათვის, რომ სულ უფრო მჭიდრო გახდეს ურთიერთთანამშრომლობა ქრისტეს აღმსარებელი ეკლესიებისა, სულ უფრო გაღრმავდეს ურთიერთობა მათ შორის და განმტკიცდეს ეკლესიათა კვანძური მოდგმულობის ის საფუძველი, რომელიც ბოლოს საყოველთაო ერთიანობაზე მიგვიყვანს.

ეპისკოპოსი ანდრეი კაპამაძე



ქალაგმბანი... სწავლანი

ეპისკოპოსი **ზ. ს. ბ. ბ.** (მოიშვილი)

სასუფეველი ღვთისა

ქრისტეს მიერ საფარულნი! უფალი ჩვენი, ქრისტე სახარებაში ბრძანებს: „ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მთ. 6, 35). შევეცადოთ ავხსნათ ამ სიტყვების არსი და მნიშვნელობა. მაცხოვრის ზემოაღნიშნული სიტყვებიდან ჩანს, რომ უპირველესი და უმთავრესი საზრუნავი ადამიანისა უნდა იყოს ღვთის სასუფეველისა და სიმართლის მოპოვება, ხოლო სხვა დანარჩენს, ქვეყნიური ცხოვრებისათვის აუცილებელს, ადვილად შეიძინეს კაცი. მაგრამ რა არის სასუფეველი ღვთისა? რატომღა იგი ადამიანისათვის ყველაზე საშური და აუცილებელი შესაძენი? როგორ აღემატება იგი ყოველგვარ ქვეყნიურ სიკეთეს?

სასუფეველი ღვთისა, მძნო, არის ჭეშმარიტება, სიმართლე და სიწმიდე, ანუ ის სულიერი და ამაღლებული ცხოვრება, რომელიც გვასწავლა და საქმიანად გვიჩვენა მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ. თვით საღმრთო წერილი ხსნის სასუფეველის მნიშვნელობას. წმ. მოციქული პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს: „არა არს სასუფეველი ღვთისა საჭმელ და სასმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“ (რომ. 14, 17). ამ სიტყვებით მოციქული გვეუბნება იმას, რომ სასუფეველი ღვთისა არ არის ნივთიერი, ხილული, ქვეყნიური ღირებულება, არამედ უხილავი, შინაგანი თვისებაა ადამიანის სულისა და გულის. სასუფეველი ღვთისა არის მსგავსება და ხატება ღვთისა, რითაც შეამკო ადამიანის ბუნება უფალმა ღმერთმა ადამიანის განიხისას. მართალია, დღეს ბუნება კაცისა შერყეულია, მსგავსება ღმერთთან დაკარგული, ხატება ღვთისა შერყენილი, მაგრამ ყოველ ადამიანში მაინც არსებობს მისი კეთილი თესლი, თესლი ღვთის სასუფეველისა. მართალია, დღესაც უმეტესობა ცოდვასაა დამონებული, მაგრამ მაინც ძნელია წარმოდგენა ისეთი ადამიანისა, რომელსაც არ შეეძლოს ბოროტისა და კეთილის გარჩევა, რომელიც მოკლებულია შინაგანი სიმართლის ნიჭს. ყოველად ცოდვილი და დაცემული ადამიანიც კი ხშირად გრძნობს სინდისის ქენჯნას და მწუხარებას საკუთარი თავისას. მაშასადამე, ადამიანის ბუნებაში დღესაც არის თესლი ღვთიერი მადლისა, — ღვთის სასუფეველისა. ამიტომ, რომ ყოველი კაცი პირველად თავის სულსა და გულს უნდა ეძებდეს ღვთის სასუფეველს. საკუთარი სინდისი, საკუთარი შინაგანი სიმართლე უნდა აგრძნობინებდეს ყოველ კაცს, რომ სიწმიდეს უზარობსა უწმიდურობაზე, სიმართლეს უსამართლობაზე, სიკეთეს ბოროტებაზე. აი აქედან იწყება შეძენა ღვთის სასუფეველისა, ანუ გაღვივება და აღორძინება იმ მადლისა და სიკეთისა, რომელიც დანერგა ჩვენში ღმერთმა.

თბა. განსოვდეთ მძნო, რომ ნაპერწკლით შეიძლება ცეცხლის აგიზგიზება. ასევე თუ ადამიანში ღვთის თუნდაც სუსტი გრძნობა სიმართლისა და სიწმიდისა, ასევე მცირედი ნაპერწკალი მაინც სიყვარულისა, შეიძლება მისი ცეცხლად აღგზნება, ისეთ ცეცხლად, როგორც ღვთისა წმიდა მამათა გულებში. მაგრამ როგორ უნდა გააძლიეროს ადამიანმა თავისთავში ეს სუსტი რელიგიური გრძნობა? ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ღოცვით, მარხვით, სინანულით.

„არა არს სასუფეველი ღვთისა სასმელ და საჭმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“. როგორც ვხედავთ, სასუფეველი ღვთისა პირველად მღვთმარების სიმართლესა. მაგრამ რა არის სიმართლე? — სიმართლე არის გამართლება მაცხოვრის სიხსლითა და ხორციით, იესო ქრისტეს მიერ მონიჭებული მადლით.

სასუფეველი ღვთისა ასევე მღვთმარების მშვიდობაში. როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, ყოველმა კაცმა უნდა მოიპოვოს მშვიდობა ჯერ ღმერთთან, შემდეგ კი საკუთარ თავთან და მოკვასთან. როგორ უნდა მიადწიოს ადამიანმა ღმერთთან მშვიდობას? ღმერთთან მშვიდობა, ანუ ღმერთთან მორიგება, როგორც საღმრთო წერილი გვასწავლის, არის სიყვარულით აღსრულება ღვთის მცნებებისა, ხოლო მცნებათა გადახვევა-გადასვლა მტრობაა ღვთისა. იესო ქრისტემ იტვირთა რა ქვეყნიერების ცოდვანი, შეარიგა ადამიანი მამა ღმერთს და ამით კაცს დაუბრუნა მშვიდობა ღმერთთან. მაგრამ რაღაა მშვიდობა საკუთარ თავთან? ეს ის მღვთმარებაა ადამიანისა, როცა კაცს საკუთარი სინდისი და გონება არაფერში არ ამტყუნებს, არ ადანაშაულებს, როცა ადამიანი არ ჰყვება ბოროტ გულისთქმასა და გატაცებას და არ არღვევს თავის შინაგან სიმშვიდეს და მოსვენებას. დიდი და ძნელი საქმეა, მძნო, მოპოვება შინაგანი, სულიერი მშვიდობისა. ეს უძვირფასესი გრძნობა ეუფლება მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც შეძლებს თავისი ვნებებისა და ბოროტი მიდრეკილებების დათრგუნვას. შეიძლება ვინმემ იკითხოს: თუ შინაგანი, სულიერი სიმშვიდე მხოლოდ საკუთარ ვნებათა დათრგუნვით მოიპოვება, რატომ გრძნობს მშვიდად თავს ზოგიერთი ცოდვილი ადამიანი?

ერთი შესედეით, ზოგჯერ მართლაც მშვიდად გამოიყურება ასეთი კაცი, თითქოს შინაგანი სიმშვიდეს სუფევს იმის სულში, მაგრამ ეს ყველაფერი არის მოჩვენებითი. ეს ხდება იმიტომ, რომ ასეთი ადამიანი არ იცნობს საკუთარ თავს, არც სრულყოფილების მიღწევის სურვილი ამოძრავებს, კმაყოფილდება მოჩვენებითი, ფუჭი სიმშვიდით. უმჯობესი იქნებოდა, რომ მის გულში ყოფილიყო ბრძოლა, სინდისის ქენჯნა, წინააღმდეგობა, რომ

მოსვენებთა და განცხრობით არ დაძინებოდა ცოდვებში, და სული დაღუპვისაგან გადაერჩინა. ასეთი ადამიანის შინაგანი მშვიდობა ემსგავსება სასიკვდილო ძილს, ვიდრე იმ სიმშვიდეს, რომელიც ადამიანის სულში ჭეშმარიტ სიხარულსა და ნეტარებას ახადგურებს.

და ბოლოს, სასუფეველი ღვთისა მდგომარეობს შინაგან სიხარულშიც. ადამიანი, რომლის გულშიც არის სასუფეველი ღვთისა, უნდა იყოს ადვილი შინაგანი ღვთიური სიხარულით. მართალია, სახარების ცხრა ნეტარებაში მაცხოვარი გვასწავლის: „ნეტარ იყვნენ მგლოვარენიო“, ე. ი. მორწმუნენი ყოველთვის უნდა წუხდნენ და დასტიროდნენ თავიანთ ცოდვებსო, მაგრამ ეს ტირილი და წუხილი როდი გამოიცხადებს სულიერ სიხარულს, პირიქით, სინანულს სწორედ, სულიერი სიხარული შობს. ადამიანში ჯერ სულიერი სიხარული ჩნდება. იგი დაანახებს კაცს თავის უშუალო მდგომარეობას და ადამიანი ვარდება ნამდვილ მწუხარებასა და სინანულში. სულიერი სიხარული უჩნდება გულში მხოლოდ იმას, ვინც მწუხარებითა და ცრემლით განზანს თავის სულს ცოდვათგან, მიიღებს გამართლებას ღვთისაგან და შეურდობს ღმერთსა და საკუთარ თავს.

ყოველივე ზემოთქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სასუფეველი ღვთისა ადამიანში არაა უცვლელი, იგი ცვალებადია და საჭიროებს გაფრთხილებასა და მოვლას—პატრონობას. გახსოვდეთ, ძმანო, რომ თუ თქვენს სულებში დაისადგურებს მცირედენი ღვთიური მადლი, თუ თქვენში დაეკვიდრება ღვთიური სიყვარული, მთელი თავით უნდა გაუფრთხილდეთ მას და იზრუნოთ მასზე, რომ არ შეიბღალოს იგი, არ გაუხეშდეს და არ

დაიკარგოს. უნდა იზრუნოთ მის ზრდასა და განვითარებაზე. იგი უკლებლივ საჭიროებს ისეთი სულიერი საკვების მიწოდებას, როგორცაა ლოცვა, კეთილი საქმე და სიყვარული. არამც და არამც არ შეიძლება განცდილითა და მოპოვებულით დაკმაყოფილება. როგორც ხორცი კაცისა ყოველდღიურ საზრდოს ითხოვს, ისე შინაგანი სასუფეველი ადამიანისა განუწყვეტლივ უნდა მდიდრდებოდეს სიკეთით, რწმენითა და სიყვარულით.

თუ სასუფეველი ღვთისა მხოლოდ შინაგანი, უხილავი სიკეთეა კაცისა, მისი მოპოვებით ქვეყნიურ სიკეთეს როგორღა შეიძენს იგი? საქმე ისაა რომ, როცა ადამიანში მკვიდრდება ღვთიური მადლი, მასთან ერთად მასში მკვიდრდება ყოველგვარი ხილული და უხილავი სიკეთეც; ღმერთი თვითონ არის სიკეთის სათავე. ადამიანისათვის აუცილებელ ქვეყნიურ სიკეთესაც ღვთიური მადლი წარმოშობს. სწორედ ამიტომ უმთავრესი ღვთის სასუფეველის მოპოვება, ვიდრე ქვეყნიურის გამოკვება.

ამისათვის გლოცავთ და გვედრებთ, ქრისტეს მიერ საყვარელნი ძმანო და დანო, ვისძინოთ უფალი ჩვენი იესო ქრისტესი, შევიძინოთ ღვთიური სასუფეველი; მოვიყოლოთ შინაგანი მშვიდობა და სიხარული. მაგრამ არასოდეს განსვენება და სიმშვიდე სულისა არ უნდა ვეძიოთ ქვეყნიურ დიდებასა და პატივში, შექმნებასა და ღირსებაში, არც მცენიერებასა და ხელოვნებაში, არც განცხრობასა და დროსტარებაში, არამედ თვით უფრო ღმერთში, რადგან იგი არის ყოველად ძლიერი და დიდებული, ყოველად პატიოსანი, ყოველად უხვი და მწყალობელი, ყოველად წმიდა და მშვენიერი, უკვდავი და მარადიული.

წინასწარმეტყველ იონას ხსენება

ქრისტეს მიერ საყვარელი ძმანო, ძმანო და დანო! დღეს, ღვთის განგებით, აღვასრულებთ წმიდა იონას წინასწარმეტყველის ხსენებას, რომელიც ქრისტეს შობამდე VIII საუკუნეში ცხოვრობდა. იგი იყო მემკვიდრე წმიდა ელისე წინასწარმეტყველისა და ღვთისაგან უხვად იყო დაჯილდოებული წინასწარი ჭკერების ნიჭით. იონამ იწინასწარმეტყველა ისრაელთა ერის მომავალი, ასევე; ქრისტე მაცხოვრის ტახტზეა—წამება, და ქვეყნიერების დასასრული. ყოველივე ეს მოცემულია მისსავე წიგნში, რომელიც საღვთო წერილის ნაწილია. ეს ყველაფერი ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება წმ. იონას წიგნი მითხრობილი საკვირველი ამბავი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ყველას, თუ რა აუცილებელია ღვთის კურთხეული ნებისადმი მორჩილება და კიდევ იმას, რომ ჭეშმარიტ სინანულს შეუძლია შეცვალოს ღვთის რისხვა.

წინასწარმეტყველი იონას ღვთის მიერ გაგზავნილი იქნა წარმართებთან ქალაქ ნინევიასი. მას უნდა ემცნო ნინეველთათვის, რომ უფალი განარისხა იმათმა უწყსო ცხოვრებამ, რომ საჭირო იყო ბიწიერების დატყვება. იონას ემძიმებოდა ნინევიელ წარმართებთან ღვთის სიტყვის ქადაგება, რადგან ისინი ურიებს მტრებად მიანხნათ. მან გადაუხვია ღვთის განგებულებას და ნინევიის ნაცვლად, სხვა ქვეყანაში გემით გამგზავრება სცადა. შუაგულ ზღვაში დიდი ქარიშხალი ატყდა. გემში მყოფი შეეშინდა და იწყეს მხურვალე ლოცვა. ყველა თავის ღმერთსა სთხოვდა შეველას. იონას ღრმად ჩასმინებულა. შეშინებულმა მგზავრებმა გადაწყვიტეს წილი ევართ და მით გამოეცნოთ მოსალოდნელი უბედურების მიზეზი. წილი ხვდა იონას. ვინა ხარ შენ? — ან რაიმე ბრალი ხომ არ მიგიძღვის შენს ღმერთთან? — კითხეს მესხედურებმა. იონას მიხვდა, რომ უფალი განარისხა მისმა ურჩობამ და უბედურებაც მის გამო ხდებოდა. მოუხირო

გემზე მყოფთ, თუ როგორ გადაუხვია მან ღვთის ნებას და როგორ სცადა სხვა მხარეს გაქცევა. „ხელა რა გიყოთ შენ?“ — კითხეს მგზავრებმა. „ზღვაში ჩამაგდეთ და ქარიც ჩადგება“, — მიუგო იონამ. შეწუხდნენ მგზავრები, იყოყმანეს ერთ ხანს, არ უნდოდათ ადამიანის დაღუპვა, მაგრამ რადგან ხსნა არსაიდან ჩანდა, გადაავადეს იონას ზღვაში. ქარიც ჩაღვა და დღევამდე იკვლო.

ღვთის განგებით, იონას ვეშაპამ გადაუღობა. სამი დღე უფლებლად დაჰყო მან ვეშაპის მუცელში. დიდი სინანული დაეუფლა. მიხვდა თავის დანაშაულს. ღმერთს, ცხადია, შეუძლო მისი დაღუპვა, მაგრამ არ გაიმტა და მადლობდა მას იონას. მესამე დღეს ღვთისავე განგებით, ვეშაპმა იგი ზღვის ნაპირზე გამოისროლა. ახლა კი უყოყმანოდ წავიდა ქალაქ ნინევიას და მის მაცხოვრებლებს გამოუცხადა, რომ ბიწიერი ცხოვრებისათვის ღმერთი მათ სჯიდა და ორმოცი დღის შემდეგ ამ ქალაქს ნანგრევებად აქცევდა. ხალხმა დაიჯერა იონას სიტყვი, იწყო წუხილი და გლოვა. დიდი და პატარა ევედრებოდა ღმერთს სასჯელის თავიდან აცილებასა და შეწყალებას. იონას კი ქალაქარეთ ერთ პატარა ქოხში დაბინავდა. იგი ღვთის მიერ უწყებულის აღსრულებას ელოდა. ნინევიის მკვიდრთა ვედრება ისმინა კაცთმოყვარე და მოწყალე ღმერთმა, შეიწყალა ისინი და ქალაქი უფლებლად დატოვა. დათქმული ორმოცი დღე გავიდა. მიხვდა იონას, რომ ღმერთმა წარმართი ნინევიელნი შეიწყალა და ახლა მის გამო იწყო მწუხარება: „ასეთ სიცოცხლეს მე სიკვდილი მიჩვენებია“, — ეუბნებოდა იგი უფალს. მაინც რა აწუხებდა იონას? იქნებ ის, რომ მისი ნათქვამი სიტყვა არ გამართლდა. ან იქნებ ის, რომ ურთიან მტრები—წარმართები ღმერთმა შეიწყალა? — ერთიც და მეორეც. ის, რომ ღმერთის მიერ გამოცხადებული არ შესრულდა, აკვირებდა, მაგრამ ღვთის სიტყვის უცლომელობა ბო-

ლომდე სჯეროდა: მაშ რა მოხდა? რატომ აბატია ღმერთმა ცოდვილ წარმართებს? ეს აზრი იონას მოსვენებას არ აძლევდა და წუხდა. მას ვერ წარმოედგინა ცოდვით დაბნელებული ხალხის პატიება თუ შეიძლებოდა.

მალე იონას ღმერთმა მისი შეცოდება შემდეგნაირად შთავაზონა. იმ ქოხთან, სადაც წმიდანი ცხოვრობდა, მომცრო ხე აღმოაცნა. მას იონა სიცხეში თავს აფარებდა. ეს იყო ერთადერთი ხე იმ კუთხეში. ღვთის ბრძანებით ხე გახმა. მხემ უწინდელზე მეტად დააცხუნა. მზისა და სიცხისაგან შეწუხებულმა იონამ იწყო ტირილი და გლოვა. უფალმა უბრძანა მას: „შენ გებრალეხ ხე, რომელიც არ დაგიგავს და არც მოგივლია: მე როგორ არ შევიბრალო ქალაქი, სადაც ათასობით ბავშვია, რომელთაც არ იციან მარჯვენა ხელი რომელია და რომელი მარცხენა?“ — იონა მიხედა, რომ უსახდროდ დიდია ღვთის კაცთმოყვარეობა და სინანული დაეუფლა.

ასე რომ, საყვარელო, ღმერთმა შეიწყალა ცოდვილი ქალაქი ნინევი. მაგრამ შეწყალება მოხდა მას შემდეგ, რაც ქალაქის მოსახლეობას სინანული დაეუფლა. დიდი იყო მათი ცოდვა. იმდენად დიდი, რომ იონას ვერ წარმოედგინა თუ შეიძლებოდა ასეთი ხალხის პატიება. მაგრამ ღმერთმა დაანახა მას და მისი სახით ჩვენ ვგვლას, რომ არ არსებობს ცოდვა, რომლის პატივაც არ შექმლოს უფალს. საჭიროა გულწრფელი აღიარება ცოდვისა და ღვთის მოწყალების იმედი.

ნინეველთა მავალითი მონანული კაცისათვის დიდი ნუგეშია. ზოგიერთი ადამიანის ცოდვა თითქოს მართლაც აღმტკება

ყოველგვარ ადამიანურ პატიებას. ასეთებს ვერც კი წარმოუდგენიათ განწმედა, თავდაპირველი სახის დაბრუნება, რაც სწორი არაა. ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერი ცოდვა ადამიანში ტოვებს ჭკუქსა და ლაქს, რომელიც ხშირად ისე ჩაქტდება მის გუნებას, რომ ერთი შეხედვით, შეუძლებელიც კი ზდება მისი მოცილება. მაგრამ არსებობს ყველაზე ძლიერი განმწმედი საშუალება ადამიანური ჭკუქისა, — სინანული, ცრემლი სინანულია. მას შეუძლია ადამიანში წარსული ცოდვების კვალიც კი აღარ დატოვოს. ეს ნიჭი ადამიანს ღვთისაგან მიეცა და მას დროზე სჭირდება გამოყენება.

სინანული არ ნიშნავს კაცის დასჯას — ეს სწორი არ იქნებოდა. სინანული ადამიანის გამოსწორებაა, სინანული ეს ხელახალი დაბადება ადამიანისა. ამიტომ უწოდებდნენ წმიდა მამანი მას მეორე ნათლისღებას.

ნინეველებმა შეინანეს და ამით თავიდან აიცილეს განსაცდელი. ვინ იცის, ღმერთი ცოდვებისა გამო რა განსაცდელს გვიმზადებს თითოეულ ჩვენგანს? და თუ ასეა, მაშინ ნინეველთა მსგავსად უნდა დავეშუროთ სინანულს და ვთხოვოთ უფალს სამართლიანი სასჯელის არიდება. მხოლოდ გულწრფელ სინანულს შეუძლია ღვთის წყრომის სიკეთით შეცვლა.

ამისათვის გლოვავთ და გვედრებთ საყვარელო, მივემსგავსოთ ნინეველთ სინანულში, და მოვიპოვოთ ღვთის წინაშე გამართლება, რათა გავჩდეთ ღირსნი საუკუნო ღიდებისა, მამისა და ძისა, და წმიდისა სულისა, რომელსა შვეწის ყოველი ღიდება და თავგანისცემა, უკუნითი უკუნისამდე, ა მ ი ნ.

მ შ რ ე მ ა ს უ რ ი

ს ი მ შ უ ღ ღ ი ს ა თ ვ ი ს

ნეტარ არიან მშუდნი ჭეშმარიტად, რამეთუ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მისცემს მათ ნეტარებასა და იტყვს: ნეტარ იყვენ მშუდნი, რამეთუ მათ დიმიკდრონ ქუეყანაა“. რაა უკუე უდიდეს არს ამის ნეტარებისა ანუ რომელსა სიხარულსა მიიწიოს კაცი უფროს მისსა, რომელმან დაიმიკდროს სიწმიდისა იგი ქუეყანაა. და კუალად თქუა უფალმან ესაია წინასწარმეტყუელისა მიერ: „მე ვისმე მივხელო არამედ მდაბალთა და მყუდროთა და რომელნი ძრწოდინ სიტყუათაგან ჩემთა“. და რამე უფროს არს აღთქუმისა და პატივისა, რომელსა იგი ღმერთმან წყალობით მიჰხედოს.

აწ უკვე მოსწრაფე იყვენით, მძანო ჩემო, რამათა არა თანა წარგვდეს ესევეთარი ნეტარებაა და სიხარული მიუწოდომელი და მოიკეთ სიმშუდე და მყუდროებაა. რამეთუ კაცი მშუდი და მდაბალი შექუელ არს ყოვლითა საქმითა კეთილითა, რამეთუ კაცი მშუდნი შეურაცხებასა მოთმინე არიან და ვინებასა უხარინ და, თუ ვინმე შეაწუხის, ულოცავს, და მრისხანესა დაამშუდებენ მყუდროებით და სიყუარულით და სიყუარულსა მისსა ზედა შეუორგულებულად ჰგოდ. მსახურებასა უცონილ არს და სიმდაბლესა ზედა უხარინ, და ამპარტავნებამან არა პოვის აღვლი მის თანა. უკუეთუ ვისგანმე იდიდებინ, არა აღზუავნის და თუ იქის, არა განდიდნის, რამეთუ კაცთ მოთმინებაა განწორებულ არს მისგან და ბოროტი არა მიეხის და განკითხვაა მოყუსისაა არა შეიწყნარის. სძულს მას შეურაცხებაა მძისაა და ცუდის შეტყუდებაა სძავს და ჰყუარონ ყოველსა კეთილსა საქმესა და სათნოებასა ღმრთისასა კეთილად შედგომილ არს.

უ შ შ ო თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა თ ვ ს

ნეტარ არს კაცისა მის, რომელი მსწრაფლ არაად შფოთების და არცა შეიწნარებს მგურავლებსა გულის წყრომისასა, რამეთუ არს იგი მშუდობისა მემიებელ. ყოველმან, რომელმან განდევნა შფოთისა სიყუარული, არს იგი ყოვლადვე დაწნარებულ და მღოვრ სულითა და მოხარულ გულისა და მხიარულ პირითა, რომელსა ესმეს სიტყუაა რისხვისაა და არა მწრაფლ აღშფოთნეს და არა მწრაფლ აღძრას გულის წყრომად. არს იგი მოქმედ კეთილისა და სიმართლისა, შეუგრძალავს მას ენაა თუსი და არა მრავალსა ქარსა მიმოდამეების და ყოველთა მიერ საყუარელ არს იგი.

რომლისა თანა არა არს შფოთი, არა სიტყუს მგებელ არს მოყუსისა და არა უხარინ უსამართლოსა ზედა და იმარხავს სულგრძელებასა, და არს იგი საპკდრებელ სულისა წმიდისა. რომელსა არა უყუარს სული, შფოთებისა არს იგი დედა სიყუარულისა და მშობელ სიმდაბლისა და მოყუას მითმინებისა და შემკობილ ყოვლითა საქმითა კეთილითა. რომელმან სძლო აღშფოთებასა, ქებულ არს იგი ყოველთა მიერ და ქრისტეს მიერ საყუარელ და ანგელოზთაგან ღიდებულ, და არს იგი სამგზის სანატრელ და ცოცხალ სულითა და კორციითა და გონებითა მარადის და უკუნისამდე.




საკურთხეველი. აფსიდა „წმიდა მამები“. დეტალი — წმიდა ბასილი



ლაზარეს აღდგინება

ასი წელი გაბრიელ ეპისკოპოსის
გარდაცვალებიდან



„ლამპარო საქართველოს ეკლესიისათვის, დიდებულ ქართველთათვის, მოძღვარო, ოქროპირო გაბრიელ!...“

გმაღლობს შენი ერთი საქართველოსი, რომელიცა განაშენენ შენ სახელითა შენითა. შენ იყავ სიქადული ქართველთა, პირველი ქართველი ამა საუკუნისა, რომელმანცა დააახე ქვეყანას ძალი საქართველოს შვილის გონებისა, რომლის სიბრძნის მოყვარებას და ქადაგებას თანასწორ გვიქებდენ ჩვენ ფრანგნი, გერმანიელები, ინგლისელები, ესე იგი, მთელი განათლებული ქვეყანა¹.

გმაღლობს შენ ენაცა მშობლიური, ენა, რომელიცა მდიდარპყავ შენ ქადაგებითა შენითა, ენა რომლისათვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწის, გიორგი მთაწმიდელისა და ამბროსი მქადაგებლისა უარ-ჰყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუსადეგარი მეცნიერებისათვის...“

ამ სიტყვებით ეთხოვებოდა მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის ნეშტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი², დიდი მწვემს-მთავრის დაკრძალვის დღეს, 1896 წლის 10 მარტს. განუზომლად დიდია ყოვლადუსამღვდელო გაბრიელის

კვალი XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ აზროვნებაში. დიდი მწვემსმთავარი ბრძანდებოდა შესანიშნავი მეცნიერი³, პედაგოგი⁴, დაუცხრომელი მებრძოლი ქართველი ერის განათლებისათვის, დაუღალავი მისიონერი⁵, გულისხმიერი მოძღვარი და დამრიგებელი თავისი სამწყვსოსი. „მის „თითოეულ სიტყვას, — წერდა ცნობილი ქართველი მწერალი ნიკო ლომოური⁶, — პარმონიულად ეთანხმებოდა ყოველი წამი მისი საზოგადო და კერძო ცხოვრებისა... იყო მაღალი, წმინდა ზნეობის პატრონი, იყო მოწყალე, შემბრალბედი, შიშტკვებელი, მფარველი მამა ყოველი დაურდომილისა...“

ამგვარი დიდებული თვისებებით შექმული პიროვნება იყო ხატსახე და მიმსგავსება მასთან. ზნეობრივი სრულყოფის ნათელ გზას წარმოადგენდა ყოველი ქართველი ადამიანისათვის. ამან განაპირობა დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული აზრი: „დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწერთნელად“⁸.

1. ყოვლადუსამღვდელო გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგებანი ინგლისურ ენაზე ითარგმნა და გამოცემულ იქნა ლონდონში ცნობილი მეცნიერის, ლეთისმეტყველების დოქტორის, სოლომონ მალანის (+1894/), მიერ — Sermons of Gabriel Bishop of Omerethi translated by S. Malan from the Georgian. London. 1867. ამ წიგნის შესვლით გახდა შესაძლებელი ევროპაში გაცნობოდნენ გაბრიელ ეპისკოპოსის სამქადაგებლო ნიჭსა და სამჭევრმეტყველო ხელოვნებას.

2. გურია — სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (+1898/), დადიანი, გურია — სამეგრელოს გაერთიანებული ეპარქიის /1888 წ./ პირველი მწვემსმთავარი.

3. გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა, ჯერ კიდევ არქიმანდრიტის სასულიერო ხარისხში მყოფმა, 1858 წელს ს. — პეტერბურგში გამოცხადდა სამეცნიერო ნაშრომი „Основания опытной психологии“. წიგნი დაიბეჭდა რუსულ ენაზე. ნაშრომმა იმთავითვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება. ფილოსოფიის რუსმა მკვლევარმა ი. კოლუბოვსკიმ მას უწოდა „თავისი დროის შესანიშნავი ნაშრომი“ /Иберверг — Г. иище. История новой философии. С. — Петербург. 1890. გვ. 589/.

4. ს. — პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1849 წლიდან, ლეთისმეტყველების მაგისტრი გერასიმე ქიქოძე დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორისა და ლეთისმეტ-

ყველების მეცნიერებათა დარგში რექტორის თანაშემწედ. 1851 წლიდან იგი ასწავლიდა ფიზიკა — მათემატიკას, იყო სასულიერო სემინარიის პროფესორი, ხოლო 1854 წლიდან /ამავე წელს ლეთისმეტყველების მაგისტრი გერასიმე ქიქოძე ეკურთხა დიაკვნად, შემდეგ მღვდლად/ თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღვთო სჯულის მასწავლებელი გახდა.

5. გაბრიელ ეპისკოპოსის ზრუნვითა და დახმარებით მოხდა საქართველოში გაიხსნა 100-მდე სახალხო /სამრევლო/ სკოლა. ასევე დიდი იყო ქუთაისის სასულიერო სემინარიის დაარსებაში ყოვლადუსამღვდელო გაბრიელის ღვაწლი. საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი 1891 წელს არჩეულ იქნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრად.

6. გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლით ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო 12000 კაცმა, რომლებიც გამოამაღიანდნენ აუხახეთსა და სამურხაჟანოში ოსმალოთა ბატონობის ხანაში.

7. ნაწვეტი ამოღებულია ნიკო ლომოურის /+1915/ წერილიდან „გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების ვაშლი“.

8. ეს სიტყვა ილია ჭავჭავაძემ /+1907/ წარმოთქვა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს, გელათის საკათედრო ტაძარში.



ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე

დიდია გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და, საერთოდ, საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. იგი იყო გამოჩენილი წინამძღოლი და მანათობელი ერისა. მისი დაუღალავი შრომა და ღვაწლი მუდამ მაღლად ეფინებოდა საქართველოს.

კრძალვითა და სასოებით წარმოსთქვამს მის მაღალ სახელს დღევანდელი შთამომავალიც...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ს ი თ ქ ვ ა
თქმული გაენათის მონასტერში
გაბრიელ ეპისკოპოსის
დასაფლავების დღეს



ილია ჭავჭავაძე

არ ვიცი, ამდენს მშვენივრად თქმულ სიტყვებს შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ გვეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვიან, რადგანაც არა აქვს—რა დირის თქმისა, და ზოგი იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან უღონოდ ვგრძნობთ თავსა — მისს თვალგაუწვდენელს კიდევებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდან და დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველმხრიდან დიდებული სანახავია. ამისთანა იგი, რომელსაც დღეს დავტყობთ.

ღიად, ბატონებო, დღეს საშუალოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ-ბუნებოვანს კაცს, რომელსაც დღემრი თოულენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. „ნეტავი იმასაო, — ამბობს ერთი ძველად—ძველი ბრძენი, — ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“. აი ჩვენს წინაშე მდებარე იგი მაღლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც—კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მაღლი ჩაფუნოს, ვითარცა შხის შუკი.

თვითუული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ერთად—კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ—სათნობისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მაღლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიო კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განიკითხვითა.

მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო, თუ სამღვდლო, — რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის—ყოფით, მომეტებულის და — ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად—მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად—მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი ადამტებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა—ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი—კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ—ახილულია და გონება—გადვილებული. ნება—უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სუ-

ლი შეასვენოს ხოლმე გულთაძერისაგან და მსოფლიო დევლისაგან.

ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელს ხილსა წნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის—სოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის—რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს, ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება — მეცნიერებისათვის, პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერება და მეცნიერებას ასარწმუნოებად, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისის სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ—გაკენდით უსმენდა ხოლმე, ევედრებით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვანად ვემსახურო კელესისა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც კვლესია ღვთისა ჰქვიანო. ეს მისთვის ღვთის სიტყვა არ იყო, საღვთო წერილიდამ ამოკითხული და გაზეპირებული. ეს იყო მისი სიბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და განსარწმუნოებული მეცნიერება; ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თვისი მსახურებად არ მიანდა, ღვაწლად—ღვაწლად, მაღლი — მაღლად, საქმე — საქმედ. არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტნოს ამ რწმენისათვის, პირიქით, თავისი ხანგრძლივი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწინა და შეაღია. კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, — ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვივრებს.

რომ მარტო იგი ქება—დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღადაა ერთს თავისის დაუვიწყარ ქადაგებაში, და სხვა არა—რა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. „მე თითონ არ მინახავსო, — ამბობს იგი, — ხოლო გაბიგონია სარწმუნო კაცთაგან, რომ ერთს ძველად—ძველს ეკლესიაში კვლელზედ არის დახატული ყოვლად—წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალთა მენახაო!“ — მნატრულობს ამ საუცხოო ხატით აღტაცებული მღვდელმთავარი: — „მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემიო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად—წმიდისა, რომ ერთს—კერძო მისის

იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა დვთაუბრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეყურას მატყელი და ტარი და სახესა ზედა დვთაუბრივსა გამოყვანილი იყოს ის დვთაუბრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო!

ასე ათავებს სიტყვას ზეგარდმო—შთაგონებით მდალადებელი მღვდელმთავარი. განა—და შეიძლება ამაზე მეტად გააპტიოსნება, ზე—აღწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბევრსა გვკონია ვითომც წილად—ხლომილია მარტო მდაბიოსიო.

საკმაო ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა, მღვდელმთავრის ბავთაგან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვანება და სიბრძნე მისი, რომლის ბაკენი დღეს ჩვენთვის საშუალოდ დასდუმდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ბევრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯის გააპტიოსნებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა—ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბავითაც თითონ ღმერთი მეტყველებს.

დიად, ბატონებო, მისის ბავით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი რომ, დადუმდნენ იგი ბაკენი და ვინ იცის, როდის—ღა გვადირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წავგართევა. რომ მისმა კაცთათვის თავდადებულ მსახურებაში, მისმა საქმეებმა უქმად არ ჩაიარა, რომ წვრთნა მისი, მისი ზნე—მაღალი მოძღვრება არ დარჩა ხმად მდალადებლად უდაბნოში, —ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოკხვევია ძვირფასს კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბაკეთა, რომლითაც იგი გვლოცავდა და გვწუროთენიდა, იმ მაღლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა და რომელიც მუდამ გაწვილი იყო დავრდომილთა შექმეებისათვის და დაცემულის აღდგენისათვის.

დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინის—ცემითა და მაღლის ფენითა. რით იყო ასე ძლიერ სახელოვანი ჩვენი მღვდელმთავარი, რომ

გამოიწვია ასეთი დიდი გლოვა ერისა? ნუთუ მარტო სიბრძნითა? არა, სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმდლებული დვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო, — ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იღვა ჩვენის ენის შვედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს იქნებთან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის სსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად. ყოველივე ეს დიდხანს კიდევ ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდ—ბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

მე რომ მისნი მაღლით სავსე საქმენი და სიტყვანი მაგონდებთან, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე შარავანდდით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და მგონია, რომ თავს წამოსდგომია ახლად შობილს ყრმას ფრთებგაშლილი მთავარანგელოზი, სიყვარულით დასცქერის და ლოცვა-კურთხევით ეუბნება ამ ბრძენთაგან თქმულს:

„პატარავ, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო—კი ყოველს სიხარულის ღიმილი მოსდის; ჰქმენ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ—კი ღიმილი მოგლიოდეს“... და აჰა, ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვება საუკუნოდ, ყველანი მის გარშემო სტირიან. დიდება სახელსა მისსა! თუ დიდება სანატრელია, აჰა, ისწავეთ გზანი დიდების შოვნისანი! ამისი მართალი გზა და ცხადი მაგალითი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებულ და მაღლიან კაცისა. ტყუილად—კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდეს—გვარადაც დიდიაო, და აჰა იგი დიდი კაცი, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ, დღეს კუბოშა ჩვენ—წინ მდებარე.

/1896 წ./





ჯვარცმბა



„სულიწმიდის მოფენა“

გაბრიელ მკისკოვსის ანდერძი

განსვენებულმა მღვდელმთავარმა გაბრიელმა დატოვა მოკლე გამოსათხოვარი სიტყვა, რომელიც მისი სურვილისამებრ წაითხულ იქმნა წესის აგების დაწყებამდე. აი, ეს სიტყვა:

... სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა. წყალობითა ღვთისათა, მივადწიე რა მიდრეკილთა დღეთა ცხოვრებისა, გარნა მყოფი სრულსა მესხიერებასა შინა, განვიზარაზე დაწერა საკუთარი ხელითა ამა ანდერძისა.

1-ად ვსთხოვ შენდობასა, მოტყეებასა ყოველთ, ვინც მიცნობდა, რაიცა მათ ვსცოდე, ვაწყენინე, ანუ ვინიცობაა უსამართლოება ვუკავი. ჩემის მხრით, მიუტყეებ და შევენდობ ყოველთა, ვინც რაიმე მაწყენინა, დამზაგრა, ანუ უსამართლოება მიყო.

2-ედ ვმადლობ და ვაკურთხებ ყოველთა, რომელნი იყვნენ სამწყსოთა შინა ჩემთა, გამოვიტხოვ მათთვის ღვთისაგან წყალობასა, მშვიდობასა. გულთ და სულით ვმადლობ მათ, რომელნი მე მწყალობდნენ, მეწოდნენ, ვუყვარდი. ვმადლობ და ვაკურთხებ მათ, რომელნი იყვნენ ჩემი თანამსახურნი წინაშე ტრაპეზისა, თანაშემწენი მართვასა შინა სამწყსოსითა. აგრეთვე მინაურთ მსახურთა, რომელთაგან მრავლითა თავდადებითა და ერთგულებითა მიაღვივებდნენ უძღურებათა ჩემთა.

3-ედ ვევედრები ყოველთა, რომელნი გაიგონებენ ჩემსა გარდაცვალებასა, ლოცვა ჰყონ ჩემისა ცოდვილისა სულისათვის. ხოლო სამღვდელოებას ვესაჯ, წირვასაც შეასრულებს ჩემი სულის განსასვენებლად, ვინაიდგან თითქმის ყოველნი ჩემ ხელთაგან არიან მიძღვნი საღმრთოსა სულის წმინდის მადლისა.

მე-4-ედ ხორციელთა ნათესავთა ჩემთა ვუანდერძებ: ყოველთვის სწავლობდნენ, შრომობდნენ, პატიოსნათ ემსახურებოდნენ ღმერთსა, ხელმწიფესა, მოყვასთა, ცხოვრობდნენ თანხმობით, ეწოდნენ ურთიერთარს, არ ივიწყებდნენ, რომ მათი წინაპარნი უხსიერისა დროისაგან იყვნენ მსახურნი ტრაპეზისანი, ატარებდნენ პატიოსნათ და შრომით ცხოვრებასა. რაოდენც შესაძლო იყო, მე ვეწვეოდი მათ, ახლა ვსთხოვ ყოველთვის ილიცონ ჩემი სულისათვის. ეს პირველი ნაწილი ანდერძისა ვსთხოვ. ვისაც ჯერ არს, იქმნეს წაითხული ნაწირებებს, ანდერძის აგების წინ.

... წმიდა ხატებიდან ორი, მაცხოვრის და ღვთისმშობლისა მოკვდილი ხატები ჩამოიკიდოს ჩემს სასაფლავთან გაუქრობელი კანდელით, რომელსაც მე ვხმარობდი ღვთისმსახურების დროს, ვსწირავ ქუთაისის საკრებულო ტაძრის საღაროს. მეორე პანაგია, რომელიც უფრო უკეთესი იქნება, მიერთვას პირველ მღვდელმთავარს, რომელიც დაესწრება ჩემი წესის აგებაზე და გარდა ამისა, ფულითაც იქმნეს დასანუქრებელი. მესამე პანაგია მიერთვას მეორე მღვდელმთავარს, თუ მეორეც დაესწროს, და მასთან შრომისათვის ფულებიც მიეცეს. თუ მეორეც ვეისკოპოსი არ დაესწროს, მაშინ ეს პანაგია გადაეცეს იმავე ქუთაისის სობორის. თუ ჩემს შემდეგ დარჩეს ხეირიანი ახალი ანაფორები და კაბები, ესეები მიერთვას წესის აგებაზე დამსწრე არქიმანდრიტებს, დეკანოზებს და არხიდაიკენებს და აგრეთვე იგინი დაჯილდოებული იქმნენ ფულითაც, ხოლო კრებულის მცირე წევრებს მიეცეს ფული. დანარჩენი უფრო ნაკლები ტანთსაცმელი, საცვლები, სტოლის საფრები, ქვეშავეები დაურიგ-

დეს არქიერის გორაზე მცხოვრებს და სხვა ღარიბებს; მათვე დაურიგდეს სტაქნები, ბლუდები, ჩაისი კოხები /გარდა ვერცხლისა/; ასევე მოიქცენ სამხარეულოს ავჯკულობის შესახებ, ე. ი. მიეცეს ღარიბებს. ვერცხლის ყველა ნივთები, რომელიც ჩემი სიკვდილის შემდეგ დარჩება, გაიყიდოს და ფულები დაურიგდეს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, ანუ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა.

ჩემს პატარა წიგნსაცავს ჩემი ანდერძის აღმასრულებელნი ასე უნდა მიეპყრან: ყველაზე უწინარეს მოიწვიონ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უფროსი ზედახვედელი, მისი თანაშემწე და ამავე სასწავლებლის სამმართველოს ერთი წევრი და მათ მიეცეს ნება აღირჩიონ ჩემი წიგნთსაცავისაგან ყველა ის წიგნები, რომელნიც სასარგებლო და გასაკები იქნება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთათვის და სახელდობრ, საბავშვო ჟურნალები, ნახატებიანი ჟურნალი „ნიკა“ და ყველა ქართული წიგნები და მასთან ხუთი ცალი ჩემი ქადაგებისა. ყველა ესეები წაიღონ სასწავლებელში მოწაფეთა წიგნთსაცავისათვის. სამი ტომი ნახატებიანი დაბადებისა ტყავის ყდებში გაკეთებული გადაეცეს იმას, ვინც იქნეს მაშინ, ე. ი. ჩემი სიკვდილის დღეს, ჩემ ნათესავთაგანი სასულიერო აკადემიაში მოსწავლე, ანუ სემინარიაში, ბერი ანუ მღვდელი; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წიგნები იმავე ადგილზე დარჩეს, ჩემი მონაღვლეების საკუთრებათ. ხოლო ჩემი დახატული სურათი დარჩეს იქვე, სადაც ახლა არის. ალბომი ფოტოგრაფიული სურათებით მიეცეს ჩემს მძისწულს მიხეილ ათანასეს ძეს ქიქოძეს ანუ მის შვილს ჩემ მოსაგონათ, კედლის სხვა სურათები იქვე დარჩენ. ყველა სხვა წიგნები ჩემი წიგნთსაცავისა შემოწირავს თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა წიგნთსაცავისათვის.

თუცა ჩემი სიცოცხლის დროსაც მე, ღვთის მადლით, ყოველთვის ვეწვიდი ყველა წოდების შეუძლოთ და ღარიბთ, სხვადასხვა სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთ, მაგრამ ვგრძობდი რა, რომ ასეთ შეწყვენას აქვს მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა, მე ვცდილობდი, შემედგინა თანხა, რომ ამ თანხის სარგებელი სამუდამოდ ეხმარათ ღარიბთა სასარგებლოთ. ამ თანხიდან ვსწირავ ქვემოთ მოხსენებულ სასწავლებლებს და ქველისმოქმედ საზოგადოებას:

1. ქუთაისის სააზნაურო საადგილ—მამულო ბანაკში დაცულს 12, 200 მანეთს გირავნობითი ფურცლებით ვუტოვებ და ვუანდერძებ სამუდამოდ ბაზვის შკოლას.
2. იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ქვერეთა და თბილთა საზრუნველს ორი ათას მან. 2000 მ.
3. ქუთაისის სამოქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას ქალაქის ღარიბთათვის ათას ხუთას მ. 1500 მან.
4. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის სამი ათას მ. 3000 მან.
5. თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ სამი ათას მ. 3000 მ.
6. იმერეთის ეპარქიალურ ჩემს სახელზე დაარსებულ საქალაქო სასწავლებელს ხუთი ათას მ. 5000 მ.
7. ქუთაისის უფასო საქალაქო სასწავლებლის ორი ათას მ. 2000 მ.

შენიშვნა: ყველა ზემოთ აღნიშნული ფულები სამუდამოდ უნდა

ინახებოდნენ ხელუხლებლად სარგებლიანი ბილეთებით, ხოლო მათი სარგებელი იხმარონ თანახმად ანდერძისა.

8. გელათის მონასტერს ვუტოვებ ათას მანეთს. ამ თანხის სარგებლით ყოველწლივით — ჩემი სიკვდილის დღეს — ყველა ძმებმა მიწირონ მონასტრის ყველა ეკლესიებში და ეს სარგებელი მიეცეს ყველა ძმებს.

9. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ვუანდერძებ უფლებას ჩემ თხზულებათა გამოცემისას იმ პირობით, რომ გამოცემის მოგება ეძლეოდეს ამავე სასწავლებლის დარიბ მოწაფეთ. ჩემ თხზულებათა პირველათ გამოსაცემად რუსულ და ქართულ ენაზე ჩემი სურათით, მე ვუანდერძებ იმავე სასწავლებელს ორი ათას ხუთას მ. 2500 მან.

ვთხოვ ჩემი ანდერძის აღმასრულებელთ დაურიგონ ჩემ სიკვდილის შემდეგ ჩემ მოსამსახურეებს სამასი მანეთი სანუქრათ, ხვედრ ჯამაგირებს გარდა. ამას გარდა ჩემი სიკვდილის შემდეგაც დარჩებიან, როგორც ჩემ სახლში, ისე კერძოთ სხვადასხვა სასწავლებლებში მოსწავლენი, რომელთაც მე ვაძლევდი შემწეობას: ვთხოვ ანდერძის აღმასრულებლებს, თუ შესაძლებელი იქნება და თანხაც დარჩეს, ყველა ზემოთ აღნიშნულ გასავალს შემდეგ, ამ მოსწავლეთ მიეცესთ ერთდროებითი შემწეობა. ჩემი ანდერძის აღმასრულებლათ ვნიშნავ ჩემ მოძღვარს, რომელიც მაშინ იქნება, და ჩემს ძმისწულებს მიხეილს და მოსეს ათანასეს ძეთა, ლეონტი სიმონის ძეს, სობოროს დეკანოზს და კანცელარიის მდივანს ერასტი სიმონის ძეს თუთბერიძეს.

1894 წელში ნოემბრის 19-სა დღესა ყოვლად საბუდელომ თავის პირველ ანდერძს შემდეგი დაუმატა:

1. თუ რაიმე მიზეზებისა გამო ბახვის სოფლის შკოლა დაიხურება, ზემოაღნიშნული თანხა გადაეცეს ბახვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიას საკუთრებად. ასევე უნდა მოექცნენ იმ ექვსას მანეთს, რომელიც ჩემგან შეწირული აქვს ბახვის შემნახველ — გამასესხებელ კასას, თუ ეს უკანასკნელი გაუქმდეს.

2. ყოველივე, რაც ჩემგან ნაანდერძევი აქვს თბილისის სასულიერო სემინარიას, დღეს მე ვუანდერძებ ახლახან დაარსებულ ქუთაისის სასულიერო სემინარიას.

ანდერძი, დატოვებული ყოვლადსამღვდლო გაბრიელისაგან, გვიჩვენებს თუ რაოდენ ღრმად უყვარდა მას თავისი სამწყვსო, რაოდენად სწამდა დიადი ზეგავლენა განათლებისა და სხივმოშინარე სწავლისა. საინტერესოა, რომ ეპისკოპოსი, ბერი, განდევნილი თითქმის მთელ თავის შეძლებას სასწავლებლებს უტოვებს, მხოლოდ სასწავლებლებს. დიას, ასეთი ძლიერი იყო უმეტერებისადმი მისი სიძულვილი. ასე ძლიერი იყო სიყვარული სწავლისა და განათლებისადმი. მან მთელი თავისი სიცოცხლით, მოღვაწეობით და ბოლოს ანდერძით, დაამტკიცა, რომ სწავლობის მხარე და სათნოება მადლა ვერ აიწვეს, თუ მას წინ არ მიუძღვის გონება სულიერად განვითარებული.

ქურხალი „კვბლი“
1896 №7-8





მეხსეთის წარსულიდან

დაახლოებით 1270 წელს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე სარგის ჯაყელი ბერად აღიკვეცა. სამეფოში ერთ-ერთი პირველი კაცი, ერთდროულად ათაბაგი, მეჭურჭლეთუხუცესი და სპასხალარი, მფლობელი ვრცელი ქვეყნისა „ტახისკარიდან კარნუ-ქალაქამდე“ მონასტერში საბას სახელით შევიდა. მან ერისთავის წითელი, ოქროსარშიებიანი შესამოსი თავის ვაჟს, მან-დატურთუხუცეს ბექას, გადასცა. ეს ახალი ხელისუფალი დვთისმოყვარე იყო, „მაშენებელი ქვეყანათა, ეკლესიათა, მონასტერთა“, დიდად აფასებდა თავის მამას — საბა სარგისყოფილს, და გადაწვევითა მის პატივსაცემად წმიდა საბას სახელზე საფარაში აუშენებინა დიდებული ეკლესია.

ბექა მანდატურთუხუცესს საფარის მონასტრის, წმიდა საბას მშენებელი ეკლესია მოუხატვინებია ვიდრე; თვითონაც შიკვა დახატული მამამისთან, საბა ათაბაგთან ერთად. საბას ბერის შესამოსი აცვია, ბექას კი წითელი, მთავრისა.

საფარის მონასტრის მნახველი ვერასოდეს იფიქრებს, რომ ის ბრწყინვალე მრავალჩუქურთმიანი ტაძარი მონღოლობის დროსაა აშენებული. იგი მიგვანიშნებს, რომ ჭირთა შიგანაც არ შეძრკალა ქართველი კაცის სული.

მრავალი წარწერა შემოუნახავს საფარას. იგი გვაძენობს, რომ ხურთთმოდვართა—ფარეზისძეებს „საძირკველითვე ყოველითა ფერით“ აუშენებიათ და სრულუქმნიათ ტაძარი. ქვეშე სხვა შემოწირვლათა და მაშენებელთა სახელებიცაა აღბეჭდილი — გაბაცადისა, დავასაშვილისა, სვიმონ ბერისა... ხალხს კი ისინი აღარ ახსოვს, დავიწყნია. დიდი დრო გავიდა XIII საუკუნის შემდეგ. დღეს თუ იკითხავთ საფარის ახლომახლო სოფლებში საფარის მაშენებლის სახელს, ვერ გიპასუხებენ, არ იციან; არც ბექა და სარგისი აღარ ახსოვთ... მაგრამ შეიძლება გიამბონ ამბავი საფარის მაშენებელი ხარისა. სახელიც ახსოვთ იმ ხარისა, რომელიც ქვეს ტაძრის ასაშენებლად ეზიდებოდა. — ინდუშა ხარი ერქვა თურმე. მის თავდადებას და ამავს ახლაც, 700 წლის შემდეგ, სიყვარულით და მოწიწებით, გულიდან ამოსული სიტბოთი ჰყვებიან. ლეგენდა ასეთია /მთქმელი ანდრია-წმიდელი თამარ ინასარიძე/:

„სოფელ ანდრიაწმიდას საფარასთან ახლოს აქვს ყანები. ამ ყანების ბოლოში არის ერთი ვაკე ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო საფარის მონასტერი. დაიწყეს შენება; ერთი დღე იმუშავეს. საღამოს დატოვეს სამუშაო ხელსაწყოები და წავიდნენ სახლში. მეორე დღეს ეს ხელსაწყოები ადგილზე არ დახვდათ. ასე განმეორდა რამდენჯერმე. დაინტერესდნენ, დაუწყეს ძებნა და ბოლოს ნახეს. ხალხი ამბობს, ეს იარაღები წაიღეს ანგელოზებმა იმ ადგილას, სადაც დღეს არის საფარა. ანგელოზების არჩულ ახალ ადგილზე დაუწყიათ საფარის მშენებლობა. სა-

მშენებლო ქვას ეზიდებოდნენ ანდრიაწმიდის ახლო მთიდან — ელიასკვერდიდან. იყო ერთი ხარი... არც მურმე, არც არავინ არ მიჰყვებოდა, დაუდებდნენ ტვირთს და წაიღებდა. მრავალ წელს იმუშავეს, ერთხელაც დაიღალა და დაეცა. გზაზე მოკვდა. როცა ხარი არც საფარაში და არც ელიასკვერდზე არ მივიდა, ორივე ადგილიდან წავიდნენ მის მოსაძებნად და ნახეს, რომ მკვდარია, ქვა კი მარხილზე დევს. ეს ქვა დღესაც გლია გზაზე და მას „ინდუშას ქვას“ ეძახიან. ამ ხარს ინდუშა ერქვა.“

ასეთია ლეგენდა. მთქმელმა ამ ამბავს შობა ცნობილი ლექსი იმის შესახებ, თუ ადამიანის შენახვა როგორ „იღო თავზედ“ ხარმა. ამით გახარებულმა ანგელოზებმა კაცის მარჩენალ ხარს რქებზე სასთლები დაუნთეს. ხარი იმითმე უყვართ, რომ კაცის ერთგულია, კაცის მარჩენალია.

ანდრიაწმიდა პატარა სოფელია, თხზობაცამდე კომლი ცხოვრობს, მაგრამ აქ რამდენიმე ეკლესია და მრავალი წმიდა ადგილია. ბევრი ნაკლესიარია ანდრიაწმიდის ირველივ ნასოფლარებში. არის წმიდა ანდრიასა და წმიდა თევდორეს ეკლესია (დღესასწაულობენ დიდმარხვის I კვირის შაბათს), სოფლის ახლოს, ელიასმთის წვერზე წმიდა ილიას ნაკლესიარია (დღესასწაულობენ 2 აგვისტოს), სოფელთან ახლოა საფარა (მორწმუნე ანდრიაწმიდელები აქ 28 აგვისტოს „მარიობას“ დღესასწაულობენ, 18 დეკემბერს კი საბაობას), აქვეა ნასოფლარები „ულვა“ და „ოხუმი“ (აქ ამდღებებს დღესასწაულობენ), ნასოფლარი „ბორჯებები“ მახლობლადაა. ჰყვებიან ლეგენდას, თითქოსდა; ულველები და ოხუმელები ბათუმში გადასახლდნენ და ასე დააარსეს ეს ქალაქი, ხოლო ბორჯემელებმა—ბორჯოში. მრავალ საინტერესო ლეგენდას მოისმენთ აქ. მაგალითად, როგორ გააქვავა წმიდა თევდორემ თათრები. საინტერესოა „ნამდვილი ამბავი“ წმიდა ილიას შესახებ, რომელსაც თურმე ჰყვებოდა აწ გარდაცვლილი ერთი ანდრიაწმიდელი:

„თივას ვითბავდით, ხორბლის დამწიფებას ერთი კვირად აკვდა. ამისობაში ელიასმხრიდან /ელიასმხარე ჰქვია მაღალ მთას/ წამოვიდა შავი ღრუბელი, შემდეგ წამოვიდა სეტყვა. ჩვენი ბუჩქებს შევეფარეთ, ერთმა ჩვენმა ამხანაგმა კაცმა მოიხიდა ქუდი, გაიხიდა ფეხზე და ურბენდა თავის ყანას გარშემო და ეხვეწებოდა ელიას—„წმიდა ელია, ნუ დამიტოვებ ცოლშვილს მშინებს, ამდენი შვილები როგორ გამოვკვებო“, ჩვენ კი ბუჩქებში ვიჯექით და ვიცინოდით. სეტყვამ რომ გადიოდო, ვნახეთ, რომ ამ კაცის ყანაში ერთი მარცვალი არ იყო ჩავარდნილი, ჩვენი კი გაოხრებულიყო. ახლა ამ კაცმა იცინა ჩვენზე“. ამ ამბავს ჰყვებოდა ინასარიძე. ბუნებრივია ანდრიაწმიდელი მორწმუნეები დიდ პატივს სცემენ წმიდა ანდრია მოციქულს, რომლის სახელიც ჰქვია მათ სოფელს. ისინი წმიდა ანდრიას ეკლესიაში

დღესასწაულს — „ანდრობას“ ლიტონობითა და ღამის თევით ატარებენ, მრავალ სასწაულს ჰყვებიან, რომელიც წმიდა ანდრიას მიეწერება. ეს არ მოგვეჩვენება გასაოცრად, თუ გავიხსენებთ, რომ წმიდა ანდრია მოციქული მართლაც იყო ამ მხარეებში, მესხეთში და, ალბათ, ამ სოფელშიც.

ქართული ქრისტიანობა აქედან დაწვებულა, ამ მხარეებიდან, პირველი ქრისტიანები აჭარლები და მესხები ყოფილან. ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს შობის წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასულა მეფე ადერკი. მან, მემატრიანის ცნობით, „დაიპყრა ყოველი ქვეყანა: ქართლი და გერისი, ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემის ურიასტანისა“.

ძველი ისტორიკოსი შემთხვევით არ უკავშირებს ერთმანეთს მაცხოვრის შობასა და ადერკის მეფობას. ადერკის დროს საქართველოდან იერუსალიმში ჩავიდნენ და ჯვარცმას დაესწრნენ მცხეთელები; იქვე შეიძინეს უფლის კვართი და ჩამოასვენეს საქართველოში. ადერკის მეფობაშივე საქართველოში შემოვიდნენ წმიდა მოციქულები. ადერკის დროსვე მოხდა ქრისტიანების პირველი დევნა საქართველოში.

წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული მესხეთში დიდაჭარიდან გადმოსულა, სადაც მას ღვთისმშობლის სახელზე ეკლესია დაუფუძნებია. საქართველოში პირველი ეკლესია აჭარაში დაფუძნებულია, პირველი მღვდლები და დიაკვნებიც აქვე უკურთხებიან წმიდა ანდრიას — „დაადგინნა მღვდელნი და დიაკონნი, და დაუდგა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა. „აჭარი-სა და მესხეთის სასაზღვრო მთაზე წმიდა ანდრიას აღუმართავ დიდი რკინის ჯვარი. ჩაუვლია ოძრხის /აბასთუმნის. ხევი და მისულა სამცხის სოფელ ზადენ—გორაში, სადაც კერპებს სწირავდნენ მსხვერპლს. აქედან ის მისულა აწყურში, რომელსაც ადრე სოსანიგეთი ეწოდებოდა.

საქართველოში პირველი საეპისკოპოსო აწყურში დაუარსებია, იქვე უკურთხებიან პირველი ეპისკოპოსი. აწყურის საეპისკოპოსოში I საუკუნეში ერთი ეპისკოპოსი და რამდენიმე მღვდელ-დიაკონი ყოფილა. ამ საეპისკოპოსოს მრევლისათვის წმიდა ანდრიას უსწავლებია — „... ყოველი წესი სჯულისა და სარწმუნოებისა. და დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი...“.

აქ მასთან ერთად ყოფილან სხვა მოციქულებიც: სიმონ კანანელი და მატათა. აწყურში მათ დაასვენეს ღვთისმშობლის ხელთუქმნილი ხატი. ანდრია პირველწოდებულმა მოუთხრო აწყურთან ახლოს „საქრისის ველზე“ შემოკრებილ ქართველობას, თუ რატომ მიეჩინა მათ ქვეყანას ასეთი მადლი.

უფლის ამაღლების შემდეგ — უამბობს იგი ქართველობას — ჩვენ, მოციქულებმა წილი ვივდეთ, თუ ვის რომელ ქვეყანაში გვექადაგა, „... მასინ ყოველდღე წმიდასა ღვთისმშობელსა წილად ხვდა მოქცეველ ქვეყანა საქართველომსა და ჩვენებით ეჩვენა მას ბე მისი, უფალი ჩვენი, და რქუა: ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულვებელ ვყო ერთი იგი სახეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის, ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა, და თანა—წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოსახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. წმიდა ანდრია შემოკრებილ ქართველებს გადასცა ხატი და უთხრა — „ხატი ესე თვით ყოველად წმიდისა ღვთისმშობლისა პირსა ზედა დადებით გამოსახულ არს“. და მიუთხრა ყოველივე... ვითარ—იგი ყოველად წმიდასა ღვთისმშობელსა წილ—ხვდა ქვეყანა ესე... და მის მიერ წარმოგზავნილ არს ხატი იგი სასილ და მცველად წილ—ხდომილთათვის“.

აჭრის, ტაოს, კლარჯეთის, სამცხის გარდა წმიდა მოციქულებმა: ანდრია, სიმონ კანანელმა და მატათამ იმოდგაწეს დასავლეთ საქართველოშიც — სამეგრელოსა, სვანეთსა და აფხა-

ზეთში. იქვე აღესრულნენ კიდევ მატათა და სიმონ კანანელი. ორი მოციქულია დაკრძალული საქართველოში, სიმონ კანანელის განსასვენებელი საყოველთაოდ ცნობილია, მოციქული მატათა კი დაკრძალული ყოფილა ზღვისპირეთში ბათუმიდან სამხრეთით 10—15 კილომეტრზე, პუნქტში, რომელსაც „აფსარი“ ეწოდებოდა.

სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის გაქრისტიანება შეუძნეველი არ დარჩენია წარმართ მეფე ადერკის. მან მასწავლა მკაცრი ზომები მიიღო ქრისტიანთა წინააღმდეგ, მოსახლეობა კვლავ „მოქცეულა“ წარმართობისაკენ — „ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მგერელთაგან სჯულისა დატყვება, განუწერა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მოაქცივნა მგერელნი. და დამალნეს ხატნი და ჯვარნი და შეირისხნა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელმან შვილობით განუტყვეა ანდრია მოციქული“.

მეფე ადერკის ანდრია მოციქულის მოკვლა სდომნია, ხოლო მოსახლეობას არა მთლიანად განუვლია ქრისტიანობა, არამედ „დაუმალავთ“ ქრისტიანობის ნიშნები—ხატები და ჯვრები.

გავიდა დრო. ქრისტიანობა ქართული სახელმწიფოს მიერ აკრძალულ სარწმუნოებად იქცა, მაგრამ მოსახლეობაში ქრისტიანთა რიცხვი თურმე იზრდებოდა, ამაზე მიუთითებენ ლათინური წყაროები. ზოგიერთი ამ წყაროს თანახმად, ქრისტიანობას ჩვენში ავრცელებდნენ რომის იმპერიიდან კოლხეთსა და ბოსფორში გადმოსახლებული ქრისტიანები. კერძოდ, საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლად ამ წყაროებს მიაჩნიათ რომის პაპი კლიმენტისი, და შავი ზღვისპირეთში იმპერატორ პალენიუსის დროს /253—268. გადმოსახლებული ქრისტიანები. ქართველთა გაქრისტიანების ეპოქად II—III საუკუნეები მიიჩნიათ ლათინურ წყაროებს. ამას თითქოსდა, ეხმიანება იოანე საბანისძის „აბო ტვილელის წამება“, სადაც VIII საუკუნის ავტორი ამაყად აცხადებს, ქართველები უკვე 500 წლის ქრისტიანები ვართ.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი საქართველო ქართული ქრისტიანობის უპირველესი კერათაგანია, მესხეთი მაინც განსაკუთრებული მადლით არის აღბეჭდილი. თუ წმიდა ნინოს შემოსვლამდე ქრისტიანობა ქართველთა ერთ—ერთი რელიგიათაგანი იყო წარმართობასთან ერთად, წმიდა ნინომ ქრისტიანობა ჩვენს ერთადერთ ეროვნულ სარწმუნოებად აქცია. მესხეთის მიწა იყო პირველი მასპინძელი ჩვენი მოციქული სასწილნი დირსი დიდისა, წმიდა ნინოსი. გზა, რომელიც წმიდა ნინომ გაიარა ჯავახეთიდან მცხეთამდე, ცნობისწაღილს აღუძრავს ჩვენს მორწმუნეებს. წმიდა ნინო პირველად ჯავახეთში შემოვიდა, ფარავნის ტბასთან. მემატათიანე გადმოგვეცემს—მესხეთის ბუნების სიმკაცრემ ისე შეაკრთო ნაზი ქალწული, სიცოცხლე ადარ უნდოდა — „და წარმოვიდა მუნით წმიდა ნინო... და თვესა მეოთხესა, რომელ არს იენისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა გადამდინარესა, რომელსაც ჰქვიან ფარავნა, ხოლო მიხვდა რა მუნით და იხილნა მთანი ჩრდილოსანი; რამეთუ დღეთა მათ საზფხულისათა იყენეს სავსენი თოვლითა და პაერთა სასტიკითა და შედრწუნდა წმიდა ნინო და თქვა: „უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან“.

ფარავნის ტბასთან წმიდა ნინომ ორი დღე დაჰყო, გაესაუბრა მცხეთელს მწვემსებს, რომლებიც თავყვნს სცემდნენ არმაზს და ზადენს.

მისი საბოლოო მიზანი იყო მისულიყო მცხეთაში, სადაც ცხოვრობდა ქართველთა მეფე და იგი ქრისტეს რჯულზე მოაქცია. ეს დავალება წმიდა ნინომ თვით უფლისაგან მიიღო. ამიტომ კოთხულობს, სად მღებარეობს მცხეთა და როგორ მივიდეს იქ. მატათის თანახმად, წმიდა ნინო გაჰყვა ფარავნის ტბიდან გამავალ მდინარეს. მაღლია ქალაქ ურბნისს, აქედან კი მცხეთაში ჩავიდა.

მემატიანე აღწერს წმიდა ნინოს გზას — „და შემოდგომად ამისა წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო ღინება მისი დასავლით — კერძო და მიუღვა გზათა... ვიდრედა მიიღწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლით იწყო ღინება... მიიწია ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი.“

მატიანის თანახმად, წმიდა ნინო უარავნისა და მტკვრის ხეობას გაჰყოლია ურბნისამდე. ამჟამადაც ჯავახეთიდან სამცხემდე და შემდგომ ხაშურამდე დღევანდელი გზა ამ ხეობებს გასდევს. ეს ერთადერთი საგზაო ადგილია, სხვაგან გზის გაყვანა მოუხერხებელია. შუა საუკუნეების საქარავნო გზაც ამ ხეობებზე გადიოდა. ხეობა ძალზედ ვიწროა და ტყითაა დაფარული. წმიდა ნინომაც, თურმე „... ნახნა ჭირნი ღიდნი გზათაგან და შიში ღიდი მხეცთაგან, ვიდრედა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლით იწყო ღინება.“ ახალციხე—აწყურთან მტკვარი გაივსებებს და ჩრდილო—აღმოსავლეთით მიედინება. აქედან წმიდა ნინო ურბნისში ჩასულა, შემდეგ მცხეთაში.

წმიდა ნინოს გზა ქართული ეკლესიის სიწმიდა, სიმინ კანანელისა და მატათა მოციქულის საფლავებთან და ანდრია მოციქულის მიერ გავლილ გზასთან ერთად.

ფარავნის ტბასთან წმიდა ნინომ „... დაიდვა ლოდი სასთუნალ, დაწვა და დაიძინა გარდასადინელსა მას ტბისასა. და ვითარ ეძინა, მოვიდა კაცი ერთი ჩვენებითა... და მოსცა მან წიგნი დაბეჭდული წმიდანსა ნინოს და რქუა: „მორთო ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა“. ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ვედრებად მისა: „უფალო მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი...“ წიგნში, რომელიც წმიდა ნინომ მიიღო მეფისათვის გადსაცემად, სხვათა შორის, ესეც ეწერა — „არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ.“ — ეს ქრისტიანობის მიერ მოცემული სრულებით ახალი იდეაა, უცნობი წარმართული მსოფლიოსათვის. იდეა ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა, რომელიც წმიდა ნინომ შემოიტანა, ქრისტიანობის სხვა მცნებებთან ერთად აიტაცა ქართულმა აზროვნებამ, გაითავისა, განავითარა და დიდ შოთას ათქმევინა — „ლექვი ლოძისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“. ქალებმა ძალზე დიდი საქმე იტვირთეს ქართველი ერისა და ეკლესიის ისტორიაში. მათ შორის, ჩვენი მემატიანე გამოკვეთილად გადმოგვცემს ორი დედოფლის ამბავს, რომელთაგან ერთმა სიკვდილის შიშითაც არ უარყო წმიდა ნინოს რჯული, მეორემ კი უარყო, რითაც არა მარტო თავისი სული დაიღუპა, არამედ მთელი თავისი კუთხე — მესხეთი.

XVI საუკუნის შემდეგ, დაპყრობილ ქართლ—კახეთსა და მესხეთში, ზოგჯერ, იძულების გამო, გავლენიანი ოჯახის მეთაური მამაკაცი „თათრდებოდა“—მაჰმადიანდებოდა, მაგრამ ოჯახის დედა—ქალი მტკიცე ქრისტიანი იყო; როგორც წესი, შვილები ქრისტიანები იყვნენ, ქვეყანა კი ქრისტიანული რჩეობდა. მაგალითად, ქართლის მაჰმადიანი „მეფე“ როსტომის მეუღლე მარიამი ბურჯად ედგა ქრისტიანობას. ასე იყო სხვა ოჯახებშიც.

მესხეთის ათაბაგებიც იძულებულნი გახდნენ მაჰმადიანობა მიეღოთ, რისთვისაც ფაშობა ებოძათ. მათი ოჯახებიც ქრისტიანული იყო, ვიდრე როსტომ ფაშამდე. როსტომ ფაშას მეუღლის „გათათრება“ თვით ოსმალეთის ხონთქარმა მოითხოვა.

საქართველოს ორი დედოფალი: კახეთისა—ქეთევანი და მესხეთის დედოფალი—დედისიმედი, ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ. თუ როდესმე გამოჩნდება მწერალი, რომელიც დაწერს ამ ორი ქალის პარალელურ ბიოგრაფიებს, მკითხველი დედისიმედის ფონზე ნათლად დაინახავს წმიდა ქეთევანის უდიდეს დედას. ერთმა თავისი უხასიათობითა და უნებისყოფობით ხელი შეუწყო მესხეთის „გათათრებასა“ და გადაგვარებას, მეორემ კი პირიქით, თავისი მაგალითით კახეთი და ქართლი შეამჭიდროვა და განამტკიცა.

უცნაურად მოიქცა დედოფალი დედისიმედი... როცა მას სარწმუნოების დაგმობა და „გათათრება“ აიძულეს, გადმოცემის თანახმად, განაცხადა: მე რომ გავათრადე; მესხეთის ყველა ქალ—რძალის დასაციინი გავხდები. ჯერ ყველა გაათათრეთ და მერე მეც გავათრადებო. მართლაც, ერთი ხელის დაკვრით, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მესხეთის ზედა ფენა გაათათრეს; ამის შემდეგ კი დედისიმედიც მაჰმადის რჯულზე მიიქცა. „...გამოიგზავნა კაცი ხონთქარმან და დაბატოეს სჯული მაჰმადისა ცოლსა როსტომ ფაშისასა, ხოლო ქალსა მას რა ესმა, შეძრწუნდა ფრიად და ხარი დაეცა და განიგულა სიკვდილი თავისა თვისისა და არა დატყუება სჯულისა... ჰყვანდათ შეპყრობილი და სულს იქით ღონე აღარა ჰქონდა. და რა მისჭირდა ქალსა მას, მაშინ უთხრა: „უკეთუ ყოველსავე საათაბაგოში შინა მყოფსა ქალსა და კაცსა ყველაკას გაათათრებ, მეცა გავათრადებო, და უკეთუ არა, თავს მოვიკლავო და არა ვიქო. მაშინ დაათათრეს ყოველივე და იგიცა გაათათრდა: და ყოველთავე მუნ მყოფთა დაუტყუეს სჯული ქრისტიანობისა და იქმნეს მოპამედიან“.

მართალია, მესხეთის გამაჰმადიანებას სხვა, უფრო სწორი—ზულმა მიზეზებმაც შეუწყეს ხელი; კერძოდ, მიწაზე საკუთრების წესის შეცვლამ, უმიწო გლეხობას კი ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის გამხრევება და გვერდში ამოდგომა ესაჭიროებოდა, ასეთი კაცი კი აღარ ჩანდა. „...ქართველი ფეოდალები ან გამოიქცნენ ან გამაჰმადიანდნენ. ამგვარად ოსმალურ საათაბაგოში ქართველ გლეხს ბატონი გამოეცალა. ამ დროიდან დაიწყო სამხრეთ საქართველოს „გათათრება“... მე—16 საუკუნის დასაწყისში დაწვებული ეს პროცესი მე—19 საუკუნის დასაწყისშიც დასრულებული არ ყოფილა. ოსმალთბის დამყარება სამცხე—საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო... გადაგვარების გზას დაადგა ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოვებული ნაწილი; სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა.

ქეთევანმა კი არ უარყო ქრისტიანობა და თავი თავისი მსხვერპლად შესწირა ქრისტეს სჯულსა და თავის მრავალტანჯულ ქვეყანას. მემატიანე გადმოგვცემს — „გაუბეს ხელ—ფეხი და გააშიშვლეს წმიდა ქეთევან დედოფალი და გახურებული გახურებით დაგლიჯეს ძუბუები და გახურებული ლუგისნებები და დაუგარეს ქვეშ და ხელ გაატარეს. დააწინეს და შიშველს შემოაყარეს ღურსნები გახურებული, კვალად გახურებული შამფურები გაავლეს მეტეცლსა და ძუძუ—მკერდში. გახურებული ქვაბი დაარქვეს თავზე, კვალად გახურებულ ქვაბში ჩასვეს და თავსაც დახურეს, შემოუწვეს გახურებული ბარები უშბლზე და ახეთქა თავისა კეფა...“

წმიდა ქეთევანის სიკვდილი იყო გაცნობიერებული სიკვდილი. მან წინასწარ იცოდა, თავისი რწმენის დაცვისათვის რა საშინელი ტანჯვით მოკლავდნენ. პატიმრობაში დიდი დრო ჰქონდა ფიქრისა და არჩევანისათვის და ტანჯვით სიკვდილი არჩია თავისი მრწამსის, მეობის უარყოფას.

ორივე დედოფლის მაგალითი გადამდები იყო. მათ ერი შეპყრებდა.

დედისიმედს ნაკლებად ჰქონია ქრისტიანული მორალი, კერძოდ, თავის დადება და სიკვდილი მოეფასა სიცოცხლისა და გადარჩენისათვის, რაც ამ სიტყვებითაა გადმოცემული წმიდა სახარებაში—„...უმჯობესია მოკვდეს ერთი დადამიანი ხალხისათვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს“ / იოანე. 11, 50/, ხოლო რუსთაველმა ასე გამოხატა იგი, „მე იგი ვარ... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მდერად“. თვით უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა პირველი მაგალითი ხალხისათვის თავდა-



წმინდა მარიამი

დებისა, მან თავისი ნებით ინება ჯვარცმა და სიკვდილი კაცობრიობის გადარჩენისა და საუკუნო სიცოცხლისათვის. იესო მავალით იყო წმიდა ქეთევანისათვისაც. „გათათრება“ ხალხის გადაგვარებას და სხვა ხალხებში გაქრობას ნიშნავდა.

ამ დროს ძალზე უჭირდა მესხეთს. ვინც მაჰმადიანობას არ მიიღებდა, არა მარტო საგანგებო — „ურწმუნოთა“ გადასახადიც უნდა ეხადა სხვა გადასახადებთან ერთად, ანდა, განეცადა სასტიკი დევნა. მთელ ქრისტიანულ სოფლებს ჟღერდნენ ამის შესახებ სოფელ მუსხში ჰევებიან ლეგენდას, რომელსაც „ახილია“ ჰქვია.

„ახილია თურმე იმ სოფელს ერქვა, რომელსაც დღეს მუსხი ჰქვია. ადრე სოფელი მუსხი გზიდან მოშორებით მთაზე მდებარეობდა. მაშინ მხოლოდ მთებში, მიუვალ ხრიოკებში შეეძლო მართლმადიდებელთა სოფელს არსებობა. „ახილიაში“ სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ჩასახლებულან მუსხელები. ისინი სოფლის სახელის წარმოშობას ასე ხსნიან:

შეზობელ მაჰმადიანებს დაუწყვეტიათ ამ სოფლის ყველა მცხოვრები ქრისტიანი. შემთხვევით გადარჩენილა ახალგაზრდა ქალ—ვაჟი. მათ სოფლის გარეთ ეკლესიაში ჯვარი დაუწერიათ და სახლში გვიან დაბრუნებულან. ცეცხლი დაუთიათ. დილით მაჰმადიანებს დაუხაზავთ, რომ ერთი ბუხრიდან კვამლი ადიოდა; გაოცებულან, უთქვამთ, ამ სოფელში ყველა დახვრციოდა და კიდევ დარჩენილანი. შესულან სახლში და ახალჯვარდაწერილი ცოლ—მარი მოუკლავთ. ამის გამო თქვეს თურმე „ახი, დილა, დილაო“. სოფელსაც „ახილია“ დაარქვეს.“ — ასეთია ლეგენდა.

მესხეთის ტრაველია იმაშიც მდგომარეობდა, რომ ძველი ხალხი ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ეროვნებას და სარწმუნოებას. სარწმუნოებაშეცვლილი, გამაჰმადიანებული ქართველები სულ სხვა ხალხად თვლიდნენ თავს და მტრობდნენ თავიანთ ყოფილ ნათესავებს, თავიანთ სისხლსა და ხორცს — ქრისტიანებს. ის მაჰმადიანები, რომლებმაც „ახილიას“ ქრისტიანები დახოცეს, ქართველები იყვნენ, მაგრამ მათ არ იცოდნენ ამის შესახებ. გამაჰმადიანების შემდეგ მესხეთის ეთნიკური სახე არ შეცვლილა, მოსახლეობა კვლავ ქართული დარჩა.

დიდი ივანე ჯავახიშვილი დინტერესდა, თუ რა იყო მიზეზი მესხეთის გამაჰმადიანებისა, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეთა მიერ ქრისტიანობის შენარჩუნებისა. გამოიკვლია და დაასკვნა, რომ მესხეთის გამაჰმადიანებას, საქართველოსაგან ჩამოშორებას და მისი უდიდესი ნაწილის გათურქებას უჭველია, სხვათა შორის, ათაბაგთა მიერ მისი საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად წარმოებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ და, რასაკვირველია, თვით გამოყოფამ შეუწყო ხელი. საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფის შემდეგ, მესხეთის ათაბაგები სჯიდნენ და ასახლებდნენ იმ ეპისკოპოსებსა და სამღვდელთაგანს, რომელნიც ერთიანი საქართველოსა და მცხეთის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებისათვის იდევნდნენ. ივ. ჯავახიშვილი წერს: „...კათალიკოს—პატრიარქი—და იყო საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობის გამოშატველი. დედა ეკლესიისაგან ჩამოშორება მაშინ იმ ხელიერ სარწმუნოებრივ კავშირსა წყვეტდა, რომელიც მხოლოდ აერთებდა დანარჩენ საქართველოსთან ამა თუ იმ პოლიტიკურად უკვე განკერძოებულ ნაწილს... კათალიკოსები სრულიად, განუყოფელი საქართველოს შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ.“

და შილი დი დაქუცმაცებული საქართველოს პირობებში ეკლესიის მთლიანობის დაცვას უფრო მეტი პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა. ათაბაგებმა იცოდნენ ეს, იცოდნენ, რომ ისინი ვერ შესძლებდნენ საქართველოსაგან მესხეთის გამოყოფას, თუ ეკლესიურად არ ჩამოაშორებდნენ მისგან; ამიტომაც არ მოერიდნენ პატრიარქთა და მის მომხრე ეპისკოპოსთა ცილისწამებას. ამან „... ხალხის თვალში ეკლესიასა და ქრის-

ტიანობას ავტორიტეტი შეუსუსა; მეორე მხრით, მესხეთის სამღვდელთაგანს, დედაეკლესიას მოწვევტილსა და განმარტებულს, მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისუნარიანობა დაუკარგა; ხოლო იქ, სადაც ქრისტიანობამ მაჰმადიანობას დაუთმო ასპარეზი, ქართველობის ეროვნული გადაგვარება და გათურქებაც დაიწყო“. აი, თურმე, რა ყოფილა მიზეზი მესხეთის გადაგვარებისა — შინაური შუღლი.

XV საუკუნის შემდეგ მართლმადიდებლობას მესხეთში ბედი არ სწყალობდა. თუ დაპყრობამდე ცილისწამებით იყო სახელგატეხილი, დაპყრობის შემდეგ თურქეთის სახელმწიფომ აქ საერთოდ აკრძალა მართლმადიდებელი ქრისტიანობა.

თურქეთში თითქმის ყველა სარწმუნოება—რელიგიას ითმენდნენ მართლმადიდებლობის გარდა. განსაკუთრებით აფთხობდათ მართლმადიდებლობა საქართველოში, რადგანაც ის მაინც მართლმადიდებლური რუსეთის ერთმორწმუნედ. მართალია, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ თურქებს მართლმადიდებელთა ბერძნული საპატრიარქო არ გაუქმებიათ, მაგრამ სრულებით დამიორჩილეს ის, გამოსცეს განკარგვლება, რომლის ძალითაც თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი უნდა დაქვემდებარებოდა ბერძნების ამ საპატრიარქოს. მესხეთში მცხოვრები მართლმადიდებლები ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქს უნდა დაქვემდებარებოდნენ. როგორც შ. ლომსაძე წერს, თურქებმა კონსტანტინოპოლში სომხური საპატრიარქოც დააარსეს და მართლმადიდებელთა პატრიარქს დაალოცინეს, რითაც მსოფლიოს დაანახეს, თითქოსდა ისინი ქრისტიანებს არ დევნიდნენ. გრიგორიანულ სარწმუნოებას თურქეთი და სპარსეთი პატივისცემით ეკიდებოდნენ, რადგანაც ნეიტრალურ სარწმუნოებად მაინცდათ — ის არც მართლმადიდებლური იყო, არც კათოლიკური. მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სახელმწიფოებს კი თურქეთი განუწყვეტილად ეომებოდა XVI—XIX საუკუნეებში. თურქეთში ასე გადაიჭრა ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხი — ქრისტიანი, რომელიც ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის ბერძნულ საპატრიარქოს — ითვლებოდა „ბერძნულად“—„ურუმად“; ქრისტიანი, რომელიც ექვემდებარებოდა გრიგორიანულ საპატრიარქოს — ითვლებოდა „სომხად“, ქრისტიანი რომელიც ემორჩილებოდა რომის პაპს — ითვლებოდა „ფრანგად“.

კათოლიკობას ქართველთა შორის ფეხი მონღოლების დროს მოუკლნია. მ. თამარაშვილს თავის ცნობილ წიგნში მოჰყავს ამონაწერი ა. ხახანაშვილის წერილიდან, სადაც კერძოდ, აღნიშნულია — XIII საუკუნიდან იწყება ქართველი კათოლიკეების ეკლესიის დაფუძნება...“ ამ დროს მათი რიცხვი ძალზე მცირე იყო, მდგომარეობა შეიცვალა XVI საუკუნის შემდეგ, როცა აქ მართლმადიდებელთა დევნა დაიწყო. გათათრებისაგან გადარჩენის მიზნით, მართლმადიდებლები იღებდნენ კათოლიკობას. ასეთი მდგომარეობა იყო არა მარტო მესხეთში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანად, განსაკუთრებით XVII—XVIII საუკუნეებში. ამ დროს, სპარს—ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართლ—კახეთსა და მესხეთში დევნილი მართლმადიდებლები მასიურად იღებდნენ გრიგორიანობას ან კათოლიკობას. —მ. თამარაშვილს მოჰყავს სიტყვა ცნობილი ქართველი დიპლომატის ნიკოლოზ ირბახისა, რომელიც მან 1634 წელს სასამართლოზე წარმოთქვა: —ყოველდღე ჩვენის თვლით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს, მამკვირსა კი უნდა გაფრანგება, რადღა უნდა დაეშალოს?“, აქვე ცნობილ შენიშვნაში მოყვანილი აქვს მისიონერ ამბროზის მოხსენება, გაგზავნილი რომში 1640 წელს, სადაც მისიონერი სთავაზობს რომს, კათოლიკეებმა შეიძინონ საქართველოში მამულები, სოფლები და ყმები. მან იცის, რომ ამ სოფლებსა და მამულებში მცხოვრები მოსახლეობა ამ გზით გაკათოლიკდება; რადგანაც,

წერს ის, აქ მდიდარმა გრიგორიანებმა და ოუდვევლებმა შეიძინეს მამულები და სოფლები, რომელთა მცხოვრებლებმაც თავიანთი ბატონების ხელქვეითი მყოფებმა, მიიღეს და აღიარეს გრიგორიანობა, ანდა ოუდვევლობა. ქართველებით, — წერს ის „... რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ, ამაზედ უარესიც ვნახეთ, ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა მდიდარმა ურიებმა გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე“.

ეს პროცესი ქართლ-კახეთში არ გადრამატირებულა, რადგანაც ასე თუ ისე, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და აქ საქართველოს საპატრიარქოს სიძლიერე—გავლენა არ შეერყეულა; მესხეთში კი თურქეთის ბატონობის ხანაში ქართველობა დაიშალა. მესხები ან გამაჰმადიანდნენ, ან გაგრიგორიანდნენ, ან გაკათოლიკდნენ, ხოლო ის მცირერიცხოვანი მართლმადიდებლები, რომლებიც ქართლის საზღვრიდან მოშორებით ცხოვრობდნენ, ბერძნულად განიხილებოდნენ. შ. ლომსაძე წერს, რომ ანტიოქიელი პატრიარქის, მაკარის მტკიცებით, საქართველოს სამხრეთი საზღვარი მის დროს /XVII ს./ იყო მდინარე ვეფრატის ამაღს მოწიშის თურქი ინტორიკოსი ჩელები და კონსტანტინე პორფიროგენეტი. XVIII ს. შუა წლებში ტიპოთე გაბაშვილმა გუმიშხანში (საიდანაც XIX საუკუნეში ბერძნები ჩამოსახლდნენ საქართველოში), დაადასტურა არა მარტო ქართული ეკლესიის არსებობა, არამედ მოსახლეობაში შერჩენილი ხსოვნაც, რომ ადრე იგი საქართველოდ ითვლებოდა. ასევე ლახეთის დიდი ქვეყანა მართლმადიდებელი იყო. თურქეთის სახელმწიფოსათვის ყველა მართლმადიდებელი, რა ერგებებისაც არ უნდა ყოფილიყო ის, „ბერძენი“ იყო. ასე იქცნენ მართლმადიდებელი ლახები და მესხები — ბერძენებად, /აღსანიშნავია, რომ გამაჰმადიანებული ლახების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშეგნება არ დაუკარგავს/; მხოლოდ საქართველოს /ქართლის/ საზღვართან ახლოს, ახალციხესა და მის შემოგარენში — სამცხესა და ჯავახეთში, მცხოვრებ მართლმადიდებლებს უწოდებდნენ — ქართველებს, მესხეთის სამხრეთი ნაწილის მართლმადიდებლებს „ბერძენები“ უწოდეს.

ამის შემდეგ მესხეთში მაჰმადიანი ქართველები იწოდებოდნენ „თათრებად“, კათოლიკე ქართველები — „ურანებებად“, გრიგორიანი ქართველები — „სომხებად“, მართლმადიდებელი ქართველების ერთი ნაწილი „ბერძენებად“, მეორე ნაწილი კი — „ქართველებად“. თურქეთის ბატონობის დროსაც სარწმუნოებრივი აღმარებლობის შესაბამისად დაშლილ ქართველებს — საბუდნიეროდ გააჩნდათ ერთი საერთო რამ, რაც მათ აერთიანებდა და აგონებდა ნამდვილ ვინაობას — ეს იყო ქართული დედაენა. ყველა მათგანს საოჯახო, საშინაო, შრომობიურ ენად ჰქონდა ქართული ენა. ყველას ახსოვდა საქართველო და ქართველობა. მათ შორის ხანდახან იბადებოდნენ ხოლმე ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტები. XVIII საუკუნის ბოლოს ისეთი სურათი იხატებოდა, რომ თითქოს მთელი მესხეთის მოსახლეობა ქართველობისკენ იხრებოდა, ისე ჩანდა, თითქოს გადაგვარება ნიღაბი იყო, თუ შესაბამისი მომენტი დადგებოდა, ყველაფერი კვლავ ძველებურად აღსდგებოდა.

XIX საუკუნემ ვითარება შეცვალა. ამ დროს სხვადასხვა მი-

ზეხების გამო მასიურად გაძლიერდა მუსლიმანური /და საერთოდ, სარწმუნოებრივი/ ფანატიზმი. ფანატიკოსებმა ქართული ენა ქრისტიანობის ენად გამოაცხადეს და შეიძულეს ის. დ. ბაკრაძე და სხვა მოგზაურები აღნიშნავენ, რომ მშობლებმა და ბებია-ბაბუებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა, შეილებმა კი აღარ, ან ძალზე ცუდად. მესხეთის ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხალხის მიერ მშობლიური ენის დავიწყება, თურმე, შესაძლებელი ყოფილა 20—30 წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ ამ ენას მისი მომხმარებელი არაფრად ჩაავლეს, ან შეიძულეს.

სიმტკიცისა და ქართული ენის სიყვარულის დიდი მაგალითი გვიჩვენებს ქართველმა კათოლიკებმა. ჭკუშარიტად ლევინი ქართული ენა მათ შეაფარეს და თავიანთი მტკიცე, შურსყველი, უტეხი ხასიათის წყალობით წმინდად მოაქეთ დღემდე.

სოფელი უღე მესხეთის შეურყვევლი სოფელია. ის, სხვა, სულ რამდენიმე სოფელთან ერთად, ქრისტიანობის შენარჩუნების გამო, თავისთავად არის ძველი სულიერი სიძლიერისა, მოთმინებისა და გამძლეობისა. ამ სოფლებში მრავლად არიან მორწმუნენი, განსაკუთრებით მოხუცებულნი, რომელნიც მტკიცედ და უდღეისო სიყვარულით ინახავენ მრავალჭირამოვლილ სარწმუნოებას, მესხეთის დღევანდელი ქრისტიანობა მიაგავს დიდი ტაძრის ნანგრევებში აქა-იქ მიმოფანტულ უშვენიერეს ჩუქურთმიან ქვებს, რომელნიც თავის მხრივ დასრულებული შედევრები არიან, მაგრამ ისინი მაინც ნაწილი არიან მთელი—სა, რომლის აღდგენა ოცნებას თუ შეუძლია. აქაურ თითოერთობა მოხუცს, ადვსილთ დეთის მადლით, ეკლესიურობითა და სულიერობით, სრულყოფილად შემოუნახავთ არათუ ქრისტიანული სარწმუნოება, არამედ სრული საეკლესიო ტიპიკონი. ზეპირად იციან უამრავი გალობა, ლოცვა, საეკლესიო წესი. ისინი წარმოადგენენ ცოცხალ ეკლესიას, არა ახლად შექმნილს, არამედ ძველქართულს, შემონახულს დღემდე. ერთი ასეთი მოხუცია უღელი ელენე ბაბუნაშვილი — მერაბიშვილისა, მტკიცე, უტეხი ქრისტიანი, მრავალჭირანახული, კარგად ახსოვს თურქების ბოლო თავდასხმა მესხეთზე, მაშინ ხუთი წლის ვიყავიო, ჰყვება /დაბადებულია 1913 წ./, მახსოვს ზამთარში, დამით, მთელი სოფელი ავიყარეთ და ახალციხეში გაჭირვებით ჩავედით, ლტოლვილები. დედაჩემმა ხელში ქათამი მძიმეა თბილია, ხელები აღარ გაგვიინებაო. კარგად იცის ძველი გალობები, ლოცვები, თქმულებები, გადმოცემები. მისგან 1985 წელს ჩავიწერე ანბანთქება, როგორც თვითონ უწოდებს, „ღვთისმშობლის ლოცვა“. ეს არის გამჭირვალე ლექსი, ადვსილი ჰოეზითი. ანბანთქება ძალზე პოპულარული იყო საქართველოში XVII—XVIII საუკუნეებში. ჩანს, ლოცვებიც კი ანბანზე იყო გაწყობილი. მოქმედი ანბანის ასოებს უწოდებდა არა ან, ბან და ა. შ., არამედ ანო, ბანო, განო... (წოდებითი ფორმით). მისთვის ასე უსწავლებიათ „ტანტრაზე“ — ანბანის სასწავლ დაფაზე, რომელიც საკუთრად ჰქონია ყოველ მოსწავლეს. მას ეს ლოცვა კარგად აღარ ახსოვს, ზოგიერთ ადგილს კი რამდენჯერმე იმეორებს. ეს მესხური ანბანთქება ასეთია —

„ლოცვა — ავსილხარ, ყოვლად წმინდაო, ღვთისმშობელ

ანო — ავსილხარ, ყოვლად წმინდაო, ყოველისა მადლით უფლისა,
ბანო — ბანაზხარ, ადვავებული, ხადგომად სულის წმინდისა,
განო — გაბრიელის ხარებთა მოგვევლინა ძალი ხეთისა,
ღონო — დედა ხარ იესო ქრისტესი, ქალი ზეციურ მამისა.
ენო — ემანუელ შენგნით იშვა, მიზეზად ჩვენი დახსნისა,

ვინო — ვარდი ხარ მეტად ლამაზი, მოსაწონარი უფლისა,
ზენო — ზიხარ მუდამ შენს ძესთან, მეოხვე ცოდვილებსა,
თანო — თვალი შენი ჩვენზედ იყოს, შიში არ გვქონდეს მტერისა.
ინო — იგი ბუბუ დაილოცოს, რომ აწოვე ქრისტეს პირსა,
კანო — კურთხეული ხარ მარიამ, დედა ხარ მოწალებისა,

ლასო — ლამპარი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა,
 მანო — მარიამ, მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა.
 ნარო — ნეტარელი ხარ მარიამ, ხილვა გვაღირსე ზეცისა,
 ონო — ორნი გზანი მიგვანჩნია, გვიწინამძღვრებს სამოთხესა,
 პარო — პილწსა უშმაკსა ნუ მიგვცემ, შეგვახვეწე მაცხოვარსა,
 ვანო — ვაჟი დაილოცოს, რომ აწოვე ქრისტეს პირსა.
 რაე — რა ღირს ვართ, რომ ჩვენ შენ გაქოთ, თუ შენ არ მოგვცემ
 ენასა,
 ხანო — ხანთელი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა,
 ტარო — ტიტველი ვარ მე ცოდვილი, კაბა ჩამაცვი ნათლისა,
 უნო — უშენოდ არ შემიძლია ხილვა წმინდა სამებისა.
 ფარო — ფარფოთლიანი ვარდი ხარ, სუნი გაქვს უკვდავებისა,
 ქანო — ქვეყნის მცველად გაჩენილო, სამყარო ჩვენი ზეცისა,

დანო — დრუბელი ხარ უწვიმარო, წვიმა გაქვს შვიდმასისა,
 ვარო — ყოვლის ფერადად შემეყოლო, ტაძარო სოლომონისა,
 შინო — შიშველი ვარ მე ცოდვილი, კაბა ჩამაცვი ნათლისა,
 ჩინო — ჩვენთვის შენს ძეს შეგვახვეწე, ნუ გვკითხავს ჩვენ
 ცოდვილებსა,
 ცანო — ცამ — ქვეყანამ განიხარა, იესო ქრისტე შობილა,
 ძინო — ძე ღვთისა ქვეყნად მობრძანდა...
 წილო — წყალობის კარი გაგვიღე, ღირსი გაგვხადე ზეცისა,
 ჭარო — ...
 ხანო — ...
 ჯანო — ...
 პაე — ...
 პიო — პიო, რა ტკბილი დედა ხარ, ხილვა გვაღირსე ზეცისა,
 ამინ,,

ასეთია ეს ანბანთქება. შეიძლება ეს ლოცვა ანბანის დასამახ-
 სოვრებლად, მოსწავლეებისათვის იყო განკუთვნილი. 72 წლის
 მოხუც მოქმედს ის უნაკლოდ ადარ ახსოვდა. საინტერესოა,
 ასევე მისგან ჩაწერილი ძალზე კარგი მელოდიის მქონე გალო-
 ბის „მარიამ შენ ხარ“ ზოგიერთი სტროფი — „მარიამ შენ ხარ“
 ხეთის ტკბილი დედა, ჩვენ გაქვთ გულით, დიდება შენდა,
 გლოცავთ, გლოცავთ, გლოცავთ მარიამ /2-ჯერ/, ივერი უსმენს
 ამ ჩვენს გალობას...“ და ა. შ. ამ გალობაში წმ. ნინო იხსენიება.
 დღესდღეობით, მესხეთის ქრისტიანებს ემსახურება ახალ-
 ციხის წმინდა მარინეს ეკლესიის სამღვდლოება. ახალციხის
 იმ უბანს, სადაც ეს ეკლესიაა, რაბათი ჰქვია. რაბათში იმყოფე-
 ბოდა ჯერ მესხეთის ათაბაგების, მერე ფაშების რეზიდენცია.

ამჟამად მესხეთში წმიდა მარინეს ეკლესიაა ერთადერთი
 შემკვიდრე ტაოკლარჯეთის უბრწყინვალესი ქრისტიანული
 კულტურისა, ათასობით და ათიათასობით წმიდა მამისა, რო-
 მელნიც ერისა და სულის უკვდავებისათვის იღვწოდნენ.
 წმიდა მარინეს ეკლესია 1980 წელს გაიხსნა ჩვენი დიდი
 მეუფის, საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქ ილია II-ის
 ლოცვა — კურთხევითა და ხელისუფლების დახმარებით. როცა
 ჩვენი ეკლესია გაიხსნა, ახალციხის რაიონში უკვე მოქმედებდა
 იუდეველთა სინაგოგა, გრიგორიანთა და სომეხ — კათოლიკე-
 თა ეკლესიები.
 ტაძრის შენობა ძველი არ არის, როგორც მისი მუნწი წარ-
 წერა გვაძგნობს, შენობა 1868 წელს დაუწყოთ და 1893 წელს
 დაუმთავრებიათ. XX საუკუნის დამდეგს გამოცემული ერთი



საფარა. მიძინების ტაძარი. X ს.

წიგნიდან ჩანს, ამ დროს ტაძარში ქართულენოვანი წირვა — ლოცვის გაუმჯობესება და ბერძნულის დაწესება სდომნიათ, რასაც ახალციხის ქართველთა საზოგადოება აღუშფოთებია. ეგზარქოსის ჩამოსვლის შემდგომ, მდგომარეობა გამოსწორებულია. ტაძარი მისი ცხონებული თავმჯდომარის, პარმენ ჯაფარიძის გადმოცემით, 1923 წლამდე მოქმედებდა; მაგრამ მისი ფაქტიური ახალი ცხოვრება 1982 წლიდან დაიწყო — შეკეთების შემდეგ. 1982—83 წლებში მთლიანად შეიცვალა სახურავი, შეიკეთეს სა, დამონტაჟდა ელექტრობა, გათბობა. ჩვენ ვლოცავთ და საშვილი შევილოდ ვაკურთხებთ ყველა იმ შორწმუნეს, ვინც ეწეოდა ამ საქმეს. ამჟამად, თუმცა, მრავალი საქმეა გასაკეთებელი, მაგრამ საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. XIX საუკუნეში ახალი ეკლესია ძველის ადგილზე აუშენებიათ. აქვე ახიოდ მეტრში ფაშების მთავარი მკეთია. რამდენად მოსათმენი იყო მათთვის, მკეთთან ახლოს, მართლმადიდებელთა ეკლესიის არსებობა? ჩანს, ვერც ითმენდნენ. ამაზე ნათლად მიუთითებს ადამიანის ძელების გასაცარი სიმრავლე, რომელიც კეთილმოწყობის დროს აღმოჩნდა ეზოს ყოველ კუთხეში. მართალია, საერთოდ, ეკლესიების ეზოები დროთა განმავლობაში სასაფლაოებად იქცეოდნენ ხოლმე, მაგრამ წმ. მარინეს ეზოში ერთმანეთზე უწესრიგოდ დაყრილი ძელების უზომო რაოდენობა გვა-

ფიქრებინებს, რომ აქ იმ ქრისტიან მართლმადიდებელთა საძმო საფლავი იყო, რომელთაც მასიურად ხოცავდნენ. დახოცილებს ალბათ, თავიანთ ეკლესიაში ერთად მოასვენებდნენ ურუმებით, ან სხვა საშუალებით და ერთად ასაფლავებდნენ. აღსანიშნავია, რომ ძელები თითქმის მიწის ზედაპირზეა, ბარის ერთ პირზე.

XIX საუკუნის მშენებლებს ძველი წარწერიანი ქვები საშენებლო მასალად გამოუყენებიათ საძირკვლის მაღლა. საინტერესოა მასში ჩაყოლებული ერთი საფლავის ქვის ეპიტაფია, რომელიც შაირით ყოფილა დაწერილი — /სამუშაოთა დროს ამ წარწერის ნახევარი გამოჩნდა, მეორე ნახევარი კედელშია მოქცეული/ — „თავადთა შორის მეც ვიყავ აბაშიძობით თქმულით, ხუთ წელს ვიცხოვრე ნიკოლოზ ოსმალშიდ დაკარგულიო...“, ახალციხე მაშინ ოსმალეთის ტერიტორიაზე იყო, ჩანს თავადი ნიკოლოზ აბაშიძე საქართველოდან გაქცეულა და ოსმალეთში „დაკარგულა“, სადაც ხუთი წელი უცხოვროა. აქ წარწერიანი ქვების არცთუ დიდი რაოდენობაა.

ყოველი საღმრთო ლიტურგიის დროს ჩვენ ვლოცავთ და ვაკურთხებთ მესხეთის მიწას, შევთხოვთ უფალ დემეტრს აქ ქართველი ერის გამრავლებას, რომ მესხეთი კვლავ იქცეს ქართული კულტურის ბრწყინვალე კერად, რომ მისი ნათელი დრომ ვერ გაანელოს.


ლიტერატურა

1. პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. 3, 1981, გვ. 11;
2. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955, გვ. 35;
3. იქვე გვ. 39;
4. იქვე გვ. 41;
5. იქვე გვ. 42;
6. პ. ინგოროვა. გ. მერნული, გვ. 2110;
7. ქართლის ცხოვრება I. გვ. 42
8. ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, ტ. I, გვ. 172;
9. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია ვუბანეიშვილის რედაქტორობით. ტ. I. გვ. 57. 1946 წ.
10. ქართლის ცხოვრება I. გვ. 85;
11. იქვე გვ. 87;
12. იქვე გვ. 86;

13. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 427;
14. საქართველოს ისტორია გ. მელიქიშვილის რედაქტორობით, 1980, გვ. 159;
15. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 402;
16. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IX, გვ. 174. 1967 წ.
17. იქვე, გვ. 174;
18. იქვე, გვ. 174;
19. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 79;
20. მ. თამარაშვილი, პასუხი..., გვ. 237;
21. იქვე, გვ. 237;
22. იბ. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები;
23. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 257;
24. ჟურნალი მნათობი, 1985, № 11. წათე ბაწაშის წერილი „აონტოს ბერძნული სახელმწიფოს შექმნის მცდელობისათვის, გ. —141;

ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია

/ჯაფარიძე/.



გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი


შ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ვ ი ზ ი ტ ი

დადგა 1986 წლის ზაფხული. მშობლიურ ეკლესიაზე, ქრისტეს მორწმუნე ხალხზე ფიქრითა და ჯაფით დადლილი ნიკოლოზ VI, პატრიარქი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა დასასვენებლად უნდა გამგზავრებულიყო. არჩევანი უყოყმანოდ გაკეთდა. საღმრთო მშობელად დაესვენა, თუ არა საქართველოში, იმ ხალხში, რომელმაც გულწრფელად შეიყვარა იგი და 1981 წლიდან მოყოლებული თითქმის ყოველ ზაფხულს სიხარულით ეგებებოდა, როგორც სასურველ სტუმარს. ეს ხომ მეოთხე ვიზიტი იყო საქართველოს ეკლესიაში. გრძნობდა ამ დიდ სიყვარულს მისი უნეტარესობა და ამიტომაც უსაზღვრო სიყვარულითვე პასუხობდა. ახლობელთა გაოცებასაც კი იწვევდა მისი ესოდენი ლტოლვა საქართველოსაკენ. პატრიარქი, რომელსაც უყვარდა მოგზაურობა, რომელსაც მოვლილი ჰქონდა მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხე ქრისტეს სიყვარულით ქადაგებაში, ბოლო წლებში მხოლოდ საქართველოსაკენ მოეშურებოდა. თითქოს თავისი სულის ნაწილი იპოვაო აქ.

ორი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა მის უნეტარესობას მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, სითბოს და სიყვარულს არ აკლებდა.

„გარდა საქართველოში დასვენების დიდი სურვილისა, ჩემი წლებიანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში განსაზღვრა ჩერნობილის ტრაგედიაშიც, — განაცხადა მისმა უნეტარესობამ. — მართალია, უხვი და სხვადასხვაგვარი ინფორმაცია აღწევდა ჩვენამდე ეკვიპტეში, მაგრამ, მოსმენილს ხანახი სჯობიაო, ნათქვამია, და მეც ჩემი თვალთ მინდოდა მენახა ყოველივე. გავიგე, რომ საქართველოსათვის ამ ფაქტს არაერთიანი ზიანი არ მიუყენებია, მაგრამ ოდესიდან ჯერ აქეთ გამოვემგზავრე. აქედან წასვლისას კი განზრახული მაქვს მოვიარო უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის ზოგიერთი ეპარქია.

ჩემი და საოცრად მძიმე სურათს მიხატავდა, ცდილობდა დაეშალა, გადაეფიქრებინა ჩემთვის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერაფერს გახდა. გული მკარნახობდა, რომ აქ უნდა ვყოფილიყავი ასეთ დროს. და გარდა ამისა,



მე ხომ ვბერდები, ყოველწლიურად ღონე მაკლდება. ხომ შეიძლება მომავალში ვედარ ჩამოვიდე. ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ დავადგი ფეხი ქართულ მიწას. კიდევ ერთხელ შევხვდი მორწმუნე ქართველ ხალხს და მის უწმიდესობას, ჩემს საყვარელ ძმას, ილია II-ს“.

მისი უნეტარესობის განსაკუთრებული სიყვარული გამოჰქადაგდა იმ ფაქტითაც, რომ იმ ხუთი დღიდან, რომელიც მან თბილისში გაატარა, ოთხი დღე განუწყვეტლივ წირვა-ლოცვაში დებულობდა მონაწილეობას. მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს არ უნდოდა სტუმრის ესოდენი გადაღლა, მაგრამ უნეტარესი ნიკოლოზი არ იშლიდა. სურვილი ჰქონდა, სულ უწმიდეს ილია II-ის გვერდით ყოფილიყო, რაც შეიძლება მეტი ხანი დაეყო სიონში.

თითქოს გულმა უგრძობო — მე ალბათ, მეტად ვედარ შეგხვდებით, მაგრამ ლოცვებით მუდამ თქვენთან ვიქნები“ — მიმართა სიონის მრევლს გამოშვიდობებისას და ყოველ მის მოქმედებაში ჩანდა, რომ სამუდამოდ ემშვიდობებოდა მათ. საკუთარი ხელით აცხო ზეთი ყოველ მორწმუნეს ლოცვისას და არაფრით არ დათანხმდა, მღვდელმთავრებს შეეცვალათ იგი.

რა დასანანია, რომ საქართველოდან გამგზავრებული პატრიარქი ვედარ ჩავიდა თავის საყვარელ ეკლესიაში, ვედარ დალოცა უკანასკნელად თავისი ხალხი, ვერ ნახა თავისი ახლობელი და საყვარელი ადამიანები, რომელთაც თურმე ტირილით გამოუცილებიათ იგი აქეთ. ვედარ

მიტროპოლიტ ღ ა ვ ი თ ი ს გამოსათხროვარი სიტყვა წარმოთქმული მოსკოვში ნიკოლოზ VI-ის კუბოსთან

დიდად პატივცემული საზოგადოებავ, მაღალღირსო წარმომადგენელნო ალექსანდრიის საპატრიარქოს წმიდა სინოდისა ქრისტეს მიერ საყვარელო ძმანო და დანო!

ცხოვრებაში არსებობს წუთები, როცა გიჭირს საუბარი, რადგან მწუხარება გულს გიკუმშავს და გიხშობს სუნთქვას, როცა ცრემლიც გიშრება, როცა მხოლოდ უსიტყვოდ გინდა აღავლინო ლოცვა მაღალი ღმერთისადმი.

მაგრამ უნდა ვაჯობოთ საკუთარ თავს, დავთრგუნოთ მწუხარება, რომელსაც მთელი მართლმადიდებლური სამყარო მოუცავს და წარმოუთქვამთ სიტყვა ნამდვილი ქრისტიანისა, ჩვენთვის დიდად საყვარელი და დაუვიწყარი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის უნეტარესი პაპისა და პატრიარქის ნიკოლოზ VI-ის გარდაცვალების გამო.

დიდი დანაკლისი განიცადა მთელმა მართლმადიდებლურმა სამყარომ. უფალმა მიიღო სული მონისა და ერთგული მსახურისა თვისისა. სული, რომელიც აღსავსე იყო კაცთმოყვარეობითა და მშვიდობისადმი სწრაფვით, ყველა იმ ძვირფასი თვისებებით, რომელიც გვიანდერმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მუხლს იდრეკს ქრისტეს მიერ მისთვის საყვარელი ძმის კუბოსთან. მწუხარებით დასტირის მას კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა, ილია II. მისი უწმიდესობა და უნეტარესობა მთელი გულით თანაგიგრძნობთ თქვენ, ამ დიდ მწუხარებაში.

ასევე მინდა გადმოგცეთ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელთა და ეკლესიის მრევლის დიდი თანაგრძნობა, რომელთაც ამ ბოლო სამი წლის მანძილზე წილად ხვდათ პატივი, ქრისტესმიერი სიყვარულითა და სიხარულით ორჯერ მიეღოთ მაღალი სტუმარი — მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI. სულ რაღაც ერთი თვის წინაც იგი ათი დღის განმავლობაში სტუმრობდა ღვთივეურთხეულ საქართველოს მიწაზე. ჩვენ სიხარული და ბედნიერება მოგვანიჭა მისმა ჩამოსვლამ.

სამუდამო სახსოვრად დავგრძნობ ჩვენი ერთობლივი შეხვედრები მორწმუნეებთან, ლიტურგიები, აღვლენილი ღვთისადმი, კაცთა შორის სიყვარულისა და მშვიდობისათვის. მის ქადაგებას ქართველ მორწმუნეებთან ერთად თბილისისა თუ სოხუმში იმხენდნენ ძველი ელადის მიწიდან შორეული საუკუნეების წინ

დამოდვრა უკანასკნელად თავისი სამღვდელთობა.

26 (9. 7) ივნისს მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI მოსკოვში გარდაიცვალა. მისი წმიდა ნეშტი მოსკოვიდან კაიროში გადაასვენეს და დიდი გლოვითა და წუხილით წმიდა გიორგის ეკლესიაში დაკრძალეს.

მის ნეშტს თან წაჰყვა ცრემლი და გულისტკივილი ჩვენი, რადგან არ შეიძლებოდა, თუნდაც ერთხელ მასთან შეხვედრილ ადამიანს არ გასჩენოდა მისდამი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა.

ქართველი მორწმუნე ხალხი განსაკუთრებული სიყვარულით შეინახავს გულში მის ნათელ სახეს.

ჩამოსული ქრისტიანი ბერძენებიც, ელადისა, რომლის შვილი იყო უნეტარესი ნიკოლოზ VI.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, გაიგო რა ეს სამწუხარო ამბავი, კვლავ გაიხსენა თავისი ვიზიტი ალექსანდრიაში და ის დიდი სიყვარული და მზრუნველობა, რომელიც განსვენებულმა მიაგო საქართველოს ეკლესიის მამამთავარს. მან აღნიშნა, რომ ორი პატრიარქის ურთიერთსიყვარულმა და ვიზიტებმა ადადგინეს ის ჩაწვეტილი ურთიერთობები, რომელსაც საფუძველი ქართველმა წმიდა მამებმა VI საუკუნეში ჩაუყარეს.

ალექსანდრიის მიწაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ევაგრე პონტოელი, რომლის შესახებაც მემატიანე ნიკიფორე კალისტე ქსანტოპული წერს: „ეფრემ ასურის შემდეგ ყველაზე სახელოვანი ფილოსოფოსები იყვნენ დიდიმის ალექსანდრიელი და ევაგრე პონტოელი“. მოგვიანებით, თქვენს მიწაზე, VI საუკუნეში, ღვთის სადიდებელ ლოცვებს ადავლენდა პეტრე იბერი, რომელსაც იქ ეკლესიაც აუგია. არსებობს ბევრი სხვა ისტორიული ფაქტიც და დოკუმენტი, რომელნიც ალექსანდრიისა და საქართველოს ეკლესიების მძურ ურთიერთობაზე მოგვითხრობენ.

მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI თვითონ გვიჩვენებდა ღვთისმსახურების დიდებულ მაგალითს და ყველანაირად იღვწოდა, რათა ეკლესიებსა და ქვეყნებს შორის საბოლოოდ დამკვიდრებულიყო ძმური სიყვარული და მშვიდობიანობა.

მისეს მერვე სჯულის წიგნში ნათქვამია:

„და არა უნდა უფალსა ღმერთსა სმენად ბალამისი, არამედ გარდააქცია წყევამ იგი კურთხევად თქვენდა, რამეთუ შეგიყუარა თქვენ უფალმან ღმერთმან თქვენმან რაათურთით. კითხვამ არა მისცე მას, არცადა მშულობასა იტყოდი მათა მიმართ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა, ნუ გძაგნ შენ იღუმელი იგი, რამეთუ ძმა შენი არს, ნუ გძაგნ შენ მეგობრული იგი, რამეთუ მწირ იყავ შენ ქუეყანასა მათსა. /II სჯულის, 23.5-7.

და ჩვენ ისეთივე ერთგულნი ვართ ღვთის ანდერძისა, როგორც იყო უნეტარესი ნიკოლოზ VI.

ჩვენ გავაგრძელებთ თქვენს გზას, ჩვენო ძმაო და მეგობარო, გზას, რომელსაც ქედმოუხრელად მიჰყვებოდით თქვენ, ქრისტეს მიძიე ჯვრის ტვირთით.

შვეთხოვთ სიცოცხლისა და სიკვდილის გამორივე უფალს, განუსვენოს სულსა თქვენსა თავის ციურ სასუფეველში.

წმიდათა თანა განუსვენე

21 მარტს (3. 4.), 96 წლის ასაკში გარდაიცვალა სამთავროს დედათა მონასტრის უხუცესი მონაზონი ეფემია (ერისკაცობაში — ელი-საბედ ელექსის ასული ზიხანიშვილი), რომელმაც ქალწულობაში იღვავა აღნიშნულ სავანეში თითქმის ოთხმოცი წელი. სრულიად საჭრ-

თველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 22 მარტს (4. 4) სამთავროს დედათა მონასტერში წირვა შესრულა წილქნელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ, რის შემდგომაც შესრულა წესი მონაზონისა ზედა და წარმოთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

ეპისკოპოს ზოსიმეს სიტყვა

ქრისტეს მიერ საყვარელო დედათა ეფემია! დღეს შენ დაგიდგა ნანატრი დღე ღვთის განგებითა. რამდენი ხალხი მოსულა შენთან, რამდენს მოუსურვებია შენი გაცილება. სამი წელი მოუთმენლად ელოდი მას... რამდენჯერ შესთხოვე უფალს ამ ქვეყნიდან გასვლა. შენ ერთს გინდოდა ეს, ჩვენ, შენს სულიერ შვილთ კი, არა. მაინც რა გაჩქარებდა, რატომ არ ისურვე ჩვენთან დარჩენა, ალბათ, შენი სულიერი დედეები მოგენატრა? როგორი სითბოთი იხსენებდი მათ? როგორი დიდი სიყვარულით მოუწოდებდი შენს დედა ანუსიას და აი, ავიხსენებ კიდევ — შენ უკვე იმართანა ხარ. ალბათ, როგორ უხარიათ შენი ნახვა. კინ იცის, როგორ დაგტრიალებენ თავს, როგორც ახლობელს და ძვირფასს? სხვანაირად ვერც წარმოგიდგენია თქვენი შეხედრა, — ისინი შენ შემოგვეტევიან, შენ კი მათ. ალბათ, მოუთმენლად ელიან ქვეყნიური ამბების მოსმენას და შენც, ჩვეული მინდობებით ყოველივეს უყვები. მხელია ჩვენთვის შენთან განშორება. შენ ხომ ჩვენ შორის უხუცესი ხარ, შენ, როგორც კეთილი მასპინძელი და დედა, მონასტერში თბილად გვეტეპებოდი ყველას. შენგან ვსწავლობდით ეველანი მონასტრის წარსულ თავგადასავალს. შენი დახმარებით შევიყვარეთ და დავეუფლეთ სამონაზონო ცხოვრებას; გვაძლევდი მაგალითს ანგელოზებრივი ცხოვრებისას ქვეყნად. ბევრს დაულოცე გზა ქალკისიური და ახიარე ზეცას. ამიტომაც ძვირფასი იყავი ჩვენთვის, როგორც სულიერი მასწავლებელი და დედა. ამიტომ არის, მხელი შენთან განშორება.

ცხრა ათეული წელი ადიდებული უფალს ქვეყნად. ეკლესიაში სრულიად ბავშვი მოხვედი, ღრმა მოხუცებულობით კი დაასრულე მოღვაწეობა. შენი ხნისა მონასტერში, როგორც თავად ამბობდი, ქვაც კი აღარ დარჩა. ახად ისურვე გადასვლა ზეცას,

რომ ქვეყნიური ღვაწლით მოღლილ-მოქანცულს უფალთან სიახლოვით გაგებარა. უფალს ემსახურებოდი ქვეყნად და მასვე მოემსახურები ზეცას. მაშ რა შეიცვალა, თუ იგივე მსახურება უნდა შესრულო მანდა? შენთვის დიდი არაფერი, ჩვენთვის კი, შენი წასვლით იცვლება ბევრი რამ. ჩვენ ვეღარ მივიღებთ შენგან ლოცვა-კურთხევასა და კეთილ დარიგებებს. კვლავაც მოგვინდება ეკლესიის წარსულის ამბების შენეული თხრობა, მაგრამ ვეღარ მოვისმენთ მას; ხშირად მოგვენატრება შენი სამართლიანი საყვედური და გულისწყრომა. ჭკუშაბიტი გზისაკენ რომ გვიბიძგებდა, მაგრამ მოკლებულნი ვიქნებოთ ამასაც.

მიუხედავად ამისა, დედაო, ძტკიცედ გვწამს, რომ შეუძლებელია ჩვენი განშორება. ჩვენ სულიერად ერთნი ვართ. ვერც სიშორე და ვერც სხვა რამ ერთმანეთის სიყვარულს ვერ დაგვიკარგავს. შენ ისევ და ისევ ჩვენთან ხარ. გეჯერა, რომ საღაც ოთხმოცი წელი დაჰყავი, ვერ შესძლებ იმ ადგილის ადვილად მითოვებას. შენთვის აქ ყველაფერი ნაცნობი და ძვირფასია. მჯერა ხშირად მოაკითხავ შენს სენაკს და კვლავინდებურად დაატყობ შენს ფაქის ხელს; ვიცი, ჩვენც არ დაგვივიწყებ და გვაგრძობინებ დედობრივ სითბოსა და ყურადღებას. მხოლოდ ასეთი პირობით თუ შევეგუებით შენთან განშორებას, მხოლოდ ასეთი დედა ეფემია გვინდა ვიგულოთ ზეცას.

ესლა კი, საყვარელო დედაო, განშორების წინ გვინდა ვითხროთ მხოლოდ ერთი სიტყვა: გვაბატე. გვაბატე; დედაო, რაც შენს წინაშე დაგვიშავებია. გვაბატე, რაც შენთვის გული გავიტკენია. გვაბატე და სიკეთე სთხოვე ჩვენთვის უფალს. გვაბატე და შენს წმინდა ლოცვებში ნუ დაგვივიწყებ.

ნეტარ ხარ შენ, დედაო წმიდაო, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ. ა მ ი ნ!



მონაზონ ეფემიას დაკრძალვა



ს ტ უ მ რ ე ბ ი ...

○

9/22/ მისი, ამ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სტუმარი იყო ცნობილი რუსი ბიზანტინოლოგი სერგეი სერგეის ძე ავერინცევი. იგი ერთი თვე იყო საქართველოში და ამ ხნის მანძილზე არ გაუცდენია თითქმის არცერთი დღე ლოცვისა. იდგა სიონის ტაძრის ერთ კუთხეში მშვიდი, მოკრძალებული, მთელი გულით მლოცველი, ღრმად სულიერი და საოცრად უბრალო.

მოწიწებით და სიყვარულით იყო სავსე მისი შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან /პირველად იგი 1985 წლის გაზაფხულზე ეწვია საპატრიარქოს/. იჯდა მხრებში მოხრილი, თავდახრილი და კრძალებით ისმენდა საქართველოს სულიერი მამის სიტყვებს.

უწმიდესმა ჩვეული სიტხითი და სიყვარულით მოიკითხა იგი, მაღლობა გადაუხადა საშობაო მოსალოცისა და ლექსისათვის, გამოჰკითხა ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ... ესაუბრა დღევანდელ პირობებში მორწმუნის მოვალეობაზე, სხვადასხვა პრობლემებზე, კერძოდ: პატრიარქალურ-ტექნიკურ პროგრესთან შედარებით ადამიანის სულიერ ჩამორჩენაზე, აღმოსავლური რელიგიების, სექტებისა და ბაბტიზმის გავრცელებაზე საზოგადოების ფართო წრეებში, ეკლესიასთან კავშირის აუცილებლობაზე... შეახსენა ღირსი სერაფიმეს სიტყვები, — რომ ნამდვილი მორწმუნე არა მარტო თავის თავს, არამედ მის გარშემო მყოფ ათასობით ადამიანს გადაარჩენს. ასეთი რწმენის მაღლით აღვსება უსურვა. თქვენ ეს შეგიძლიათ, — დასძინა უწმიდესმა ილია II-მ—ინ-

○

9/22/ ავერინცევის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავის რეზიდენციაში მიიღო ოქსფორდისა და კემბრიჯის კულეჯების პედაგოგ-სტუდენტთა ჯგუფი ღირსი დრ. ჟოფრი როუკელინა /ოქსფორდი/ და ღირსი რობერტ ატკელის /კემბრიჯის/ ხელმძღვანელობით.

მისალმების შემდეგ მისმა უწმიდესობამ პასუხი გასცა სტუმართა შეკითხვებზე, ისაუბრა საქართველოს ეკლესიისა და, საერთოდ, დღევანდელი პირობების პრობლემურ საკითხებზე. მკითხველს ვთავაზობთ საუბრის შინაარსს, რომელიც დაახლოებით ასეთი იყო:

... მოხარულნი ვართ თქვენი საქართველოში ჩამობრძანებით. ეს თქვენ საშუალებას მოგცემთ უკეთ გაეცნოთ ჩვენი ქვეყნისა და მისი ეკლესიის ცხოვრებას. ჩვენს ეკლესიას აქვს კარგი, საქმიანი ურთიერთობა ანგლიკანურ ეკლესიასთან, რომელიც გამოიხატება არა მარტო მიწერ-მიწერით, არამედ ურთიერთიზიტირებითაც. აი, მაგალითად, აქ

ტელეგენციაში მომზადებულია საფუძველი რწმენისათვის; თქვენი დონის მეცნიერის ურყევი რწმენა, სიტყვა და საქმე ბევრს დაძლევიანებს შინაგან სისუსტეს და გაუბედობას, გახდის ეკლესიურს და აქცევს იმ კეთილ მარცვლად, კარგ ნიადაგში რომ მოხვდა და გამოიღო ნაყოფი 40-ეული, 60-ეული, 100-ეული.

უწმიდესმა ილია II-მ ს. ავერინცევს საჩუქრად გადასცა ჭედური ხატი წმიდა გიორგის, მთავარანგელოზთა, წმიდა მამისა და შობის ხატებით გარემოცული მწიგნობრის გამოსახულებით; დალოცა, უსურვა, რომ არ მოჰკლებოდეს მას ამ ზეციურ ძალთა მფარველობა. ბოლოს ურჩია, ძველი ქართული ლიტურატურის პრობლემებით დაინტერესებაც.

სერგეი ავერინცევმა მოკრძალებით მიიღო ეს წინადადება, დიდი მაღლობა გადაუხადა მღვდისათვის, სთქვა, რომ რწმენისა და ურთიერთობის გარეშე ადამიანის სიცოცხლეს არა აქვს გამართლება.

თავის მხრივ, სტუმარმა უწმიდესს აჩუქა მისი თანავტორობით გამოცემული წიგნი — „ბიზანტიის კულტურა“ ასეთი წარწერით: „უწმიდეს მეუფეს, თბილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს

მოწიწებით, აღფრთოვანებით, ერთგულებით ამ ტომის ერთ-ერთი თანავტორისაგან. საკუთარი თავის დამდაბლებითა და მისი უწმიდესობისადმი ლოცვით.“

და მსწრე მიტროპოლიტი კოსტანტინე ნამყოფია ინგლისში და ცოცხალი იცნობს თქვენი ეკლესიის ცხოვრებას.

ქართული ეკლესია ერთერთი უძველესი ეკლესიაა მსოფლიოში. იგი ამჟამად დიდ საქმეს აკეთებს მშვიდობის დაცვის საქმეში. ის არის წვერი ისეთი საერთაშორისო რელიგიური საშუქილობო ორგანიზაციებისა, როგორებიცაა: ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციაა. დღესათვის მსოფლიოში იმდენად დაძაბული სიტუაციაა, რომ ეკლესიები არ შეიძლება მხოლოდ მეთვალყურის როლში გამოდიოდნენ. მათ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ გადაჩვენ სიცოცხლე დედამიწაზე. ვფიქრობ, ამ მიმართებით ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. თქვენ ალბათ, იცით საბჭოთა მთავრობის ვადანჯვეტილება, გააგრძელოს ბირთვულ აფეთქებებზე მორატორიუმის ვადა. ჩვენ მივესალმებით ამას, რადგანაც გვესმის, თუ რა საშიშროებას უქადის მსოფლიოს ბირთვული იარაღი. წერნობილში მომხდარმა კატა-

სტროფამ, ცხადლივ დავგანახა ეს საშიშროება. ხუთი წლის განმავლობაში მე ვიყავი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთერთი პრეზიდენტი. ამ სამი წლის წინ ერთერთი სხდომაზე, რომლის მოღვაწეობაც მე გახლდით, იხილებოდა საკითხი წყნარი ოკეანის რეგიონის შესახებ. მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ იქ, სადაც ცდის ბირთვულ იარაღს საფრანგეთი, რადიაცია იმდენად მაღალია, რომ არის შეთხვევები, როდესაც ფეხშიშვე ქალები ბაღებზე უფრომოდო მელანებს. ეს ხომ საშიშრელებაა. ასეთი მაგალითები ხშირია მსგავს შემთხვევებში. აი, ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის. უნდა შეწყვედეს გამაღებელი შეიარაღება. ძალის პოზიციით ამ საკითხს ვერ გადაწყვეტთ. ამ ორივე თვის წინ მივიღე მოსწავლეთა ჯგუფი შეერთებული შტატებიდან, რომელთაგან ერთ-ერთმა გამოთქვა ასრი, რომ თუ ვვცლა ამერიკელ ახალგაზრდას ეყოლება თუნდაც ერთი მეგობარი საბჭოთა კავშირში და პირველ, თმი აღარ იქნება. უნდა გამოინახოს სამეგობრო გზები. ეს კი უფრო ადვილია ახალგაზრდობისათვის, რადგანაც მათ უფრო წმინდა გულები აქვთ.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გამოთქვამდ დრმა რწმენას, რომ საქართველოში გატარებული ეს ღიებები საშუალებას მოგცემთ, უკეთ შეიცნოთ ჩვენი ქვეყანა და ხალხი.

ღირსი დ. ფოფრეი როუველი: თქვენო უწმიდესობავ, დიდ მადლობას მოგახსენებთ მიღებისათვის. მე ბევრი ქრისტიანული ეკლესია მომილოცია, მაგრამ საქართველოში პირველად ვარ. უდიდესი გამოყოფილებით მიწა ადვინში, აქ ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ფერისცვალება დღეს ჩვენ დაეინახეთ ხალხის ერთგულება თავისი ეკლესიისადმი. მადლობას ვწირავ უფალს, ამ ბედნიერებისათვის. მე ოქსფორდში, მდღელის მოვალეობასთან ერთად, ვეწვევი პედაგოგიურ მოღვაწეობას, ვასწავლი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას. ჩვენ საგნებით ვიზიარებთ თქვენს შეხედულებებს მშვიდობის შესახებ და ვფიქრობთ, ახალგაზრდებს ამ მიმართებით, როგორც თქვენ ბრძანეთ, მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

ღირსი რობერტ ატველი: „მეც დიდ მადლობას მოგახსენებთ მიღებისა და გულთბილი მასპინძლობისათვის. მეც, მდგომარეობისთან ერთად, ვეწვევი პედაგოგიურ მოღვაწეობას კემბრიჯში. ვასწავლი პატროლოგიას. მაქვს ერთი შეკითხვა: „რასი მდგომარეობის თქვენი, როგორც ეკლესიის მეთაურის უპირველესი ამოცანა?“

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღბათ, ყველა ეკლესიის მეთაურის უპირველესად გადასაწყვეტი ამოცანა ისაა, რომ იზრუნოს თავისი მრევლის სულიერი აღმავლობისათვის. ჩვენ ვცხოვრობთ ძალზე საინტერესო ეპოქაში, როდესაც მეცნიერება გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ. მეცნიერულ წინსვლასთან ერთად, იგრძნობა, რომ კაცობრიობა უბრუნდება სულიერ საკითხებს. განსაკუთრებით, ახალგაზრდებში შეინიშნება ეს. ამიტომ ვფიქრობ: როგორც ჩემი, ასევე ყველა სასულიერო პირის მოავარი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ სულიერი საკითხებით დაინტერესებულ ყველა ადამიანს გასცეს პასუხი, უზენაეს მათ ცხოვრებისაკენ მიმავალი, ქრისტე მაცხოვრის გზა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენთან? ხომ არ იგრძნობთ ინდეფერენტობა? ეს სენი მეტად საშიშია. ჩვენთან მკვეთრად განსაზღვრულია მორწმუნე და არამორწმუნე. თქვენთან?

ღირსი დ. ფოფრეი როუველი — რაღაც განსაკუთრებული ვლდებულებები ეკლესიებში ხასიარულად არ არსებობს. მორწმუნესა და არა მორწმუნეს შორის არაა ისეთი მკვეთრი განსხვავება, როგორც თეთრსა და შავს შორის.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II — აი ეს ძალზედ საშიშია

ღირსი დ. ფოფრეი როუველი — გეთანხმებით.
ღირსი იოსებ ტუშარი — არის საშიშროება, ადამიანი მოკვდეს არა შიშლით, არამედ აპატიით. მართალია, ზოგიერთებში იგრძნობა სულიერი გამოცოცხლება, მაგრამ მეორე მხრივ, საშუაბარაო იხ, რომ მათთვის ეკლესიაში სიარული უბრალო ვართობის საშუალებად იქცა, ისევე როგორც კინო და თეატრი. მათ, ვინც ამას აშკარად ამჩვენს, ძალზედ უჭირთ.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II — რას აკეთებთ ეკლესია იმისთვის, რომ დადებითად გადაჭრას ეს საკითხი?

ღირსი რობერტ ატველი — ეს ყველაზე მწილად გადასაჭრელი პრობლემაა. ადამიანები, უფრო მეტად, მაშინ მიმართავენ ეკლესიას, როცა უჭირთ, ან ულხინთ. ახალგაზრდებს შორის ცოტანი არიან

ისეთები, რომელთაც იციან ბიბლია. ჩემი მდგომარეობის მოღვაწეობის შემთხვევაში, მქონდა ასეთი შემთხვევა: ვამზადდები ახალგაზრდებს კომფორტაციისთვის /მოსახლად/. ისინი თუმცა ქრისტიანულ ოჯახებში იყვნენ გაზრდილი, კითხვაზე, თუ რა მოხდა ერების პარასკევს? — პასუხი მხოლოდ ერთმა ვასცა.

ღირსი დ. ფოფრეი როუველი — აქ თავის როლს თამაშობს სიმდიდრე და სიღატაკე. დარბებს სურთ, რომ თავდაპირველად ეკლესია მატერიალურად დაეხმაროს მათ, ხოლო შემდეგ სულიერად.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II სიმართლის მარცვალი აქ, რა თქმა უნდა, არის. მაგრამ ვფიქრობ, ამ დახმარებაში ეკლესიას გვერდში უნდა ამოუდგნენ თავისი წევრები, მრევლი. მაგალითად ჩვენ გვყავს ისეთი ქრისტიანები, რომელთაც შედგენილი აქვთ კალენდარი, რომელშიც სწერია, თუ რომელ დღეს რა უნდა გააკეთონ, ვის დაეხმარონ და ა.შ. გაიხსენეთ ლაზარესა და მდიდრის იგავი. მე ვფიქრობ, ასეთი ღიაზე ვეველა ჩვენთაგანს ჰყავს, მაგრამ არ გინდა დაეინახოთ ისინი. გვსურს, მათ გვთხოვონ, თითონ გამოვიწვიონ ხელი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ყველას არ შეუძლია, ამიტომ ისეთი თვალი და ყური უნდა ვიქონიოთ, რომ შევინიშნოთ ისინი.

ღირსი დ. ფოფრეი როუველი — ჩვენი სიტუაცია უფრო სახიფათოა, კომპლექსურია. საქართველოს მსგავსად ჩვენი ეკლესიაც ეროვნულია. ამიტომ ჩვენთან უმეტესობა მას ისე იღებს, როგორც თავისთავად არსებულს. მართალია, თუ რომელიმე ეკლესიას დახურავენ, ისინი სასწრაფოდ გამოხატავენ პროტესტს, მაგრამ ეკლესიაში მაინც არ დადიან. არსებობს უმუშევრობის პრობლემაც. ამ ცოტა ხნის წინ მოვაწვეე დარბობა დახმარების კომიტეტი. დახმარება გაეწვიათ აფრიკულ ახალგაზრდებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ადგილებში სულიერი აღმავლობა უსათუოდ იგრძნობა.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II — მე იმედით ვუყურებ ახალგაზრდებს. მათი დამახასიათებელი თვისებაა დემოკრის მიება, ხანდახან კი, არა ღვთისა, არამედ სიმართლისა, ჭეშმარიტებისა. ეს ბევრს ნიშნავს. ამ ბოლო ხანებში ვხედავ, რომ მიუხედავად ტელე—რადიო და სხვა გაართობებისა, ისინი იწყებენ ფიქრს იმის შესახებ, თუ რანი არიან, საიდან მივიდნენ, ან საით წავლენ. მ წლის განმავლობაში ვასწავლობი რუსეთში. იქ ყველა პროფესორი კოზლოვი, რომელსაც ხანდახან უყვარდა პატარ-პატარა ამბების ქადაგებების სახით მოყოლა. მასხენდება ერთი:

იყო ორი მეგობარი, ორივე ასტრონომი. ერთხელ, ერთი ეუბნება მეორეს: „მე მრავალი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი ზეცას, ვსწავლობდი მას და ვერც ერთხელ ვერ დაინახე დემოკრის. რაშია საქმე, იქნებ, ის არ არსებობს?“ მეორემ უპასუხა: „შენ იქ არ ეძებ დემოკრის, სადაც საჭიროა, ჩაიხედე შენს გულში და იქ იპოვი მას“. ეს პატარა სულ საშუაითანი ქადაგება იმდენად ნამებულა გულში, რომ დღესაც მასსოვს. დღევანდელი ადამიანი იხედება თავის გულში. საჭიროა მისი მხოლოდ ჭეშმარიტების, ქრისტეს გზისაკენ წარმართვა. ხანდახან ადამიანები სხვა რელიგიები თავ არიან გატაცებულნი, მაგრამ იქ არ რწმენის და ისევე ქრისტიანობას უბრუნდებიან. ვფიქრობ, მათ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ღირსი რობერტ ატველი — კარგი იქნებოდა, გველოდა მეგობარი, ან მეგობრები საქართველოში და გვეცნობდა მათთან კავშირი. სახუველია, რომ მათ იცოდნენ ინგლისური ენა.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II — კარგი აზრი და წამოწყებაა, მაგრამ ვფიქრობ, ენის უცოდინარობა პრობლემად არ უნდა ჩაითვალოს. ინგლისური ენა ჩვენთან ბევრმა იცის.

ერთ ერთი სტუმარი — მაქვს შეკითხვა, რომელიც ეხება ეკლესია—მონასტრების მოვლასა და საეკლესიო ხატწერას. ამ მხრივ, რა მდგომარეობაა თქვენთან.

კათალიკოს-პატრიარქი ილია II — საქართველოში 17 ათასზე მეტი კულტურის ძეგლია რეგისტრირებული. ვასაგებია, რომ ჩვენს ეკლესიას არ ძალუბ ყველა მათგანის რესტავრაცია—გამწვენიერებისათვის ზრუნვა; არსებობს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის კომპეტენციაშიც შედის მათზე ზრუნვა.

რაც შეეხება ხატწერას, გარკვეულ ნაბიჯებს ამ მიმართებით ვღვაძობ. კერძოდ, აღბათ, ნახეთ სიონის ახალი მხატვრობა, რომელსაც შეიმღებთ ითქვას, ძალზე ცოტა აქვს საერთო ტრადიციულ მხატვრობასთან. ეს საგნებით განსხვავებული მიღგობაა ამ დარგში. ავტორი ცნობილი მხატვარი ლევან ცუციერიძეა. ახლად მოიხატა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია. მხატვარია ალექსანდრე ბანძელიძე.

ღირსი დრ. ვოგრაი როუველი—რისთვის გნებავთ, რომ ვილოცოთ ინგლისში?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II—ჩვენს შორის კეთილი ურთიერთობისათვის, შვილობისათვის. მე ხშირად ვლოცულობ შვილობისათვის, არა მარტო ფართო გაგებით, არამედ, უფრო ხშირად იმ შვილობისათვის, რომელიც უნდა სუფუდვდეს ადამიანის გულში. თუ ჩვენ გვექნება ეს შინაგანი შვილობა, მაშინ ის გავრცელდება მთელ მსოფლიოზე და კაცობრიობა გადარჩება. შემთხვევითი არაა, რომ აღდგომილი მაცხოვრის პირველი სიტყვები მოციქულებისადმი იყო „შვილობა თქვენთანა“. ეს შინაგანი შვილობა აუცილებელი იყო მოციქულთათვის, რათა გაეგოთ მათ უღიდესი საიდუმლოებები. ასევე აუცილებელია ეს ჩვენთვის.

⊙

29(11.9) აგვისტოს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიიღო ცნობილი ირლანდიელი პოეტის პაულ დურკანის, კემბრიჯიდან.

როგორც თარჯიმანმა აღნიშნა, პაულს სურვილი აქვს ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, საქართველოს ცხოვრების გაცნობისა, მას მოსკოვში ჩამოსვლისთანავე უთხოვია შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II გულითადად მიესალმა სტუმარს, მიმდინა და დია, თქვა—მან, ჩვენი სიყვარული და პატივისცემა თავის სუფლებისმოყვარე ირლანდიელი ხალხისადმი, რომ მიუხედავად მოუცლევლობისა, (შუადღამე იგი შწირველი იყო სიონის საკათედრო ტაძარში სიონე ხათლისმცემლის თავის კუთის დღესთან დაკავშირებით; ხოლო საღამოს ღოცვა უნდა ჩატარებოდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში), გამოეხატა დრო თქვენთან სასაუბროდ. მან ბრძანა, რომ იცნობს ირლანდიის ხელოვნებას, კულტურას, მწერლობას, უყვარს და აფასებს მას. — თქვენ, როგორც პოეტს — მიმართა მან სტუმარს, — დიდი მისია გავისრიათ. ნამდვილ შემოქმედთ ყოველთვის აღელვებდათ სულიერი პრობლემები, ცდილობდნენ ეწამლათ საზოგადო სატეკივისათვის; დღეს ამ მშოთავარე დროს, განსაკუთრებით საჭიროა მწერლის ნათესავი გონება, მახვილი თვალი და სათნო გული, რათა იგი იყოს ჭეშმარიტი მქადაგებელი და გამაგრებელი სიყვარულისა და სიკეთისა.

ძველ დროს იყო ასეთი გამოთქმა: ჯერ გაიცანი და მერე შეიყვარე. ანდა, ჯერ შეიყვარე და მერე გაიცანი. ალბათ, ორივე აზრი სწორია.

აი თქვენ გებლევათ საშუალება ნახოთ ჩვენი სამშობლო, ქვეყანა, რომელმაც მრავალი განსაცდელი გამოიარა, სულ ახლო წარსულში გადაიხდა ორი მსოფლიო ომი. თითქმის ყველა ოჯახში შეაბრჯა სიკვდილმა და მწუხარებამ... ამიტომაც ჩვენი ერი და ეკლესია ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუწყონ ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აცილებას და შეგნებულად უჭერენ მხარს სხვადასხვა სახელმწიფოთა მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას, ცალკეულ პიროვნებათა სამშვიდობო

⊙

13/26/ სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა თავის რეზიდენციაში მიიღო ბუდისტების ჯგუფი ბუტანის რესპუბლიკიდან.

გულთბილი მისაღების შემდეგ მისმა უწმიდესობამ სტუმრებს წარუდგინა შეხვედრაზე დამსწრე ქართული ეკლესიის წევრები: ქუთაისი გაენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე, ბუთანის მამათა მონასტრის წინამძღვარი, ილუმენი იონე /სველაშვილი/, საგარეო საქმეთა განყოფილების მდივანი ბორის გაგუა, საპატრიარქოს რეგერენტი ვლადიმერ საბიაშვილი. ასევე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს უფროსი ინსპექტორი საქართველოს სსრესპუბლიკაში, ოთარ ჯაში.

დილოგი, რომელიც მის უწმიდესობასა და სტუმრებს შორის გაიმართა, დაახლოებით ასეთი იყო:

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ჩვენ ვეყოფებით ორ დიდ რელიგიას და თავისთავად უკვე ეს გვაახლოებს. ჩვენს ხალხს ძალიან აინტერესებს ბუდისტების ცხოვრება; ვსწავლობთ და მივიღებთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს შორის ბევრი რამაა ისეთი, რაც გვაერთიანებს. პირველყოვლისა, ჩვენი რელიგიების მოვალეობა. და დანიშნულება. ორივე ემსახურება ხალხს. ადამიანის განვითარება უნდა ხდებ

წინადადებას.

ფრიად მისასალმებელი იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის ინოვაციკის მორატორიუმის შესახებ სხვა ბირთვული სახელმწიფოებაც გამოემსაურებიან.

კარგად მოგვხსენებთ, რომ ამ იარაღის მარტო გამოცდებიც კი დამლუბვლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფსიქიკაზე, არღვევს ბუნების კანონზომიერებებს.

დღეს კაცობრიობა ნამდვილად უსკრულის წინაშე დგას. შეძლებს იგი თავი დააღწიოს სიკვდილის წველიდან? შეუძლია ღმერთს, რომ ქრისტიანული სამყაროს უღიდეს დღესასწაულს, მაცხოვრის შობის 2000 წლისთავს მსოფლიო განიარაღებული შეხვედრად, შვილობითა და კეთილდღეობით.

თქვენ კი, ბატონო პაულ, გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს მწერლურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. და, თქვენი საქმიანობა ყოფილთვის ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიების დაახლოებისათვის ხელის შეწყობით.

ბატონი პაულ დურკანი — დიდი მადლობა მიღებისათვის. რაიც დღეს დღესასწაული ყოფილა, მიიღეთ ჩემი მოლოცვა. მე გაცემბული დღერი თქვენს ეკლესიებში მორწმუნეთა სიმრავლითა და სიბურთობით. ჩვენ კათოლიკები ვართ, თქვენ მართლმადიდებლები, და, რა თქმა უნდა, გარკვეული თავისებურებებიც გვახასიათებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ თქვენი ეკლესია ძალიან მაგონებს ჩვენსას. ჩვენთან დასავლეთში არის ასეთი შეხედულება, რომ საბჭოთა კავშირში მორწმუნენი შეხედულებები არიან, არ შეუძლიათ თავისუფლად სიარული ეკლესიებში, აღსარებისა და ზიარების მიღება და ა.შ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ხშირად რომ ჩამოხვიდეთ აქ, ასე აღარ იფიქრებთ. ჩვენთან მორწმუნენი თავისუფლად დაიანთ ეკლესიაში, ეზიარებიან, ისმენენ ქადაგებებს და ა.შ.

ბატონი პაულ დურკანი — სამხრეთ ამერიკაში ეკლესია რადიკალირად განუღვა სულიერ საკითხებს და მიწიერი შემოიფარგლა, რითაც გამოიწვია ვატიკანის გულისწყრომა. თქვენ როგორ უყურებთ ამას?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ამ მოძრაობას „განთავისუფლების დღისმეტყველება“ ჰქვია. სულიერი პრობლემები, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ქვეყნის გასაჯირი ეკლესიისათვის ზურგშესატყვევი არაა. ვფიქრობ, უნდა მოიძიებოს ოქროს შუალედი. ამიტომ ჭონია, რომ ვატიკანის გულისწყრომა მთლად სამართლიანი არაა. როცა უფალი იესო ქრისტე ქადაგებდა და თან ათასობით ხალხი ეხვია ვარს, იგი მათს დაპურებაზეც ზრუნავდა.

ბატონი პაულ დურკანი — ირლანდიაშიც საოცრად უყვართ დღისმშობელი ყრბით. ამიტომ თქვენს კაბინეტში შინაურულად ვგრძობთ თავს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ძალიან სასიამოვნოა.

ბოდეს ორნაირად: სულიერად და მატერიალურად. ქრისტიანობა და ბუდიზმიც კაცობრიობის სულიერ განვითარებას ემსახურებიან. მეორე დიდი საკითხი, რომელიც ჩვენს რელიგიებს აწუხებს, და რომელიც, აგრეთვე, გვაერთიანებს, არის მშვიდობა. ეკლესიებს აღარ აქვთ უფლება იყვნენ პასიური და გამოდიოდნენ მათგანის როლში. მათ ხმა უნდა აღიმადლონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშვიდობის დაცვის საქმეში. კაცობრიობამ შექმნა ისეთი იარაღი, რომელიც მოსაბოთ ეშუქება არა რომელიმე ცალკეულ რეგიონს, არამედ მთელს დედამიწას. როგორც მცენიერები ამბობენ, დაგროვილი იარაღს მსოფლიოს მოსაბოთა შეუძლია 17-ჯერ, კაცობრიობას კი რათ სჭირდება 17-ჯერ მოსაბოთა, ერთხელაც ხომ საკმარისია. აი, მიმდინა და საშიშია ეს იარაღი. ეს კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა ამაღლდეს ადამიანის სულიერი ინტელექტი, არ უნდა მოხდეს კატასტროფა.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გამოვთქვამ იმდეს, რომ თქვენი ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის უფრო მეტად დაახლოებას.

ერ-უ რთი სტუმარი: ჩვენს ქვეყანაში არსებობს ბერების იერარქია. უმაღლესი იერარქიული წოდება არის დიკენბო. აქ დამსწრე ბერობაგან მხოლოდ ერთია ამ წოდებით და მას აქვს დიპლომატიური სტატუსი. ჩვენს ქვეყანაში არის 18 რეგიონი და იგი ერთ-ერთი ასეთი

რეგიონის ხელმძღვანელია. შემდეგი წვერი ჩვენი დელეგაციისა არის პრინციპალი, ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბუდისტური სკოლისა, ხადაც სწავლობენ 15—25 წლის ახალგაზრდები. მესამე ბერი არის საბჭოთა კავშირის ბუდისტების წარმომადგენელი ჩვენს ქვეყანაში. მე ვახლავთ ბუტანის რესპუბლიკის რელიგიურ საქმეთა ადმინისტრაციის მდივანი.

სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა, ბუტანის რესპუბლიკის ბუდისტთა ერთ-ერთმა უმაღლესმა სასულიერო პირმა. მან თქვა:

— ჩვენ პირველად ვართ საბჭოთა კავშირში, მაგრამ უკვე ბევრი რამის ნახვა მოვასწარით, ვიყავით მოსკოვში, ციმბირში, მონღოლეთში. შემდეგ გვეგონა საშობლოში ვბრუნდებოდით, მაგრამ მოგვეცა შესაძლებლობა საქართველოშიც ჩამოვსულიყავით და გვენახა კიდევ ერთი ქვეყანა. დიდად მოხარული ვართ ამის გამო. გინახულეთ თქვენ, შეგზვდით და გავეცანით ქართველ ადამიანებს. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია; აქამდე ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქმოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა. ზაგორსკში ყოფნისას ერთმა ბერმა პოპულარულად აგვიხსნა ქრისტეს ცხოვრება და მისი სწავლება. ჩვენ დავიინახეთ, რომ განვხვავდებით მხოლოდ იმით, რომ სხვადასხვა პირობაში სხვადასხვა საშუალებებით ადგავდნენ ლოცვებს. დანარჩენში ძალზედ ახლოს ვართ. ბუდიზმის მთავარი მიზანი არის ლოცვები ბუდასადმი. ამ ლოცვებში გამოიხატება ლოცვა მშვიდობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის. ამ მხრივ, ჩვენ ძალზედ ახლოს ვდგავართ ერთმანეთთან. ქრისტიანობაც თავის პირველ მიზნად ხომ მშვიდობის ქადაგებას ისახავს. ჩვენ დღესაც ვცდილობთ, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ბუდისტური რელიგიისა და ტრადიციების თანახმად აღვზარდეთ. კერძოდ, შემდეგი გზით: ვიყვანთ მოწაფეებს, ვასწავლით ბუდისტურ რელიგიას და მის ტრადიციებს. შემდეგ ორი სამი წლით ვუშვებთ და ვაძლევთ ფიქრის დროს. თუ ის უბრუნდება მონასტერს, უკვე, ამის შემდეგ, დაწვრილებით ვასწავლით ბუდიზმს. კერძოდ, რომ ყოველი ცოცხალი არსებისაგან, თვით ცხოველებისა და მცენარეებისაგანაც კი ჩვენ ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია. სწავლება 10 წელს გრძელდება და შემდეგ ვწვევთ მონასტერში მისი მიღების საკითხს.

ჩვენი ქვეყანა ძალზედ პატარა ქვეყანაა აზიაში. დასაბამიდანვე ბუდიზმს არავითარი ცვლილება არ განუცდია და იგი ისეთივეა, როგორც იყო შორეულ საუკუნეებში, თვით ბუდას დროს. ვცდილობთ, ბუტანს შევუნარჩუნოთ პირველი სახე. ვფიქრობ, ამაში ჩვენ ბევრს მივაღწევთ.

გუშინდელ დღემდე სიტყვა „თბილისი“ ჩვენთვის არაფერს ნიშნავდა, რადგან არაფერი ვიცოდით მის შესახებ. ჩვენთვის მოულოდნელი იყო აქ სტუმრობა, ამიტომ გვაპატიეთ, რომ არაფერი გვაქვს ისეთი, სამხსოვროდ რომ დაგიტოვოთ, მაგრამ გარწმუნებთ, ბუტანში ვილოცებთ თქვენთვის, თბილისისა და საქართველოსათვის და შევსთხოვთ უფალს კიდევ ერთხელ ჩამოგვიყვანოს, რათა ისევ შეგვხვდეთ თქვენ და რაღაცით მაინც გადავიხადოთ მადლობა, შესანიშნავი სტუმართმოყვარეობისათვის.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ვვლავ დიდ საჩუქარი ჩემთვის არის ის, რომ თქვენ მობრძანდით ჩვენთან. მე დიდ ყურადღებას ვაქცევ მხატვრობას, მათ შორის, ბუდისტურ მხატვრობას. მოსკოვში ამ რამდენიმე ხნის წინ საკომისიო მალაზიაში შევიძინე

ბუდას გამოსახულება. ის საკმაოდ ძველია, მაგრამ არ ვიცი, რომელი ქვეყნიდანაა. იქნებ ინდოეთიდან...

მისმა უწმინდესობამ სთხოვა სტუმრებს ნამუშევრის შესაჩვენება.

დელეგაციის მეთაური — ტიბეტური და ბუტანური მხატვრობა ძალიან ახლოსა ერთმანეთთან. ამიტომ ძალზედ ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ მათგანს ეკუთვნის ეს ხატი. უფრო ტიბეტურს უნდა ვკუთვნოდეს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — რამდენი მონასტერია ბუტანში?

დელეგაციის მეთაური — ცალკე მონასტერი არ არის ჩვენთან. ტაძარი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მონასტრად, ათასია. არის პატარა საშლოცველობიც, ისინიც; აგრეთვე, შეიძლება ჩაითვალოს მონასტრებად, ასეთი 10 ათასია. ბუტანში ბევრია ტაძარი და საშლოცველო. თუ ადამიანი არის მდიდარი, მას შეუძლია ააშენოს ტაძარი.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — რა წესდება აქვთ თქვენს მონასტრებში?

წოდებით ბრინციპალი, ბუდისტურისკოლისხელმძღვანელი — ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პირობა მონასტერში ბერად შედგომისა არის ის, რომ ბერობის მიმდებამა განიძარცვოს საერთო ტანსაცმელი და ატაროს მხოლოდ ბურული. მეორე — შეწყვიტოს მკვლელობა ნებისმიერი არსებისა. მესამე — გაწყვიტოს ყოველგვარი კავშირი ქალთან, იმ დონემდე, რომ არა მარტო არ დალიოს წყალი იმ ჭიქიდან, რომლიდანაც მოსვა ქალმა, არამედ საერთოდ არ მიეკაროს ახლოს ისეთ ნივთს, რომელსაც ქალი შეეხო. ეს არის ბერად შედგომის სამი მთავარი პრინციპი. ჩვენს ქვეყანაში, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ბერობის ორი კატეგორიაა, ერთია ცოლიან ბერთა კატეგორია, რომლებიც ჩვენგან განსხვავებით უფრო ღია წითელი ფერის სამოსს ატარებენ; ხოლო მეორე კატეგორია უცოლო ბერთა მშობას წარმოადგენენ, მათი სამოსის ფერი მუქი წითელია, როგორც ჩვენ გვაცვია. აქედან თუ ბერის სამოსში ყვითელი ფერი ურევია, ეს ამ სამოსის მატარებლის მაღალ ბერულ რანგზე მეტყველებს. რაც უფრო მეტია ყვითელი ფერი, მით უფრო მაღალი რანგის ბერთან გვაქვს საქმე.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — მინდა გაჩუქოთ ჩემი ფოტოსურათი, რომელზედაც მე გამოსახული ვარ იმ ტანისამოსით, რომლითაც ვასრულებ ღვთისმსახურებას.

დელეგაციის მეთაური — სურათის გარეშეც მუდამ დარჩებით ჩემს მესხიერებაში, მაგრამ სურათი კარგია. როდესაც ბუტანში დაგებრუნდებით და თანამემამულეებს გავუზიარებ ჩემს შთაბეჭდილებებს, ვაჩვენებ თქვენს სურათსაც და ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ მე ნამდვილად ვიყავი აქ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ვვლავ გისურვებთ მშვიდობას და გამოვთქვამ იმედს, რომ ჩვენი ურთიერთობა დღგრძელდება იქნება.

დელეგაციის მეთაური — გამაძლობთ, რომ გამოიხატოთ დრო და მივიღეთ. გისურვებთ თქვენ და თქვენს ხალხს ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას და ბედნიერებას.



სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილი II-მ თავის რეზიდენციაში მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფი „ამერიკის შეერთებული შტატები - სსრ კავშირი - შვედობის ხიდების“ ომისაწინააღმდეგე ორგანიზაციის დელეგაცია ბატონ კლიტონ გარდნერის ხელმძღვანელობით.

მიღებას საქართველოს ეკლესიის მხრიდან ესწრებოდნენ: ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ვახტანგი, ქუთაის-გაენათის ეპისკოპოსი კალისტრატე, ბეთანიის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი იოანე /შველაშვილი/, საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების მდივანი ბორის გაგუა და კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი ვლადიმერ საბიაშვილი.

გულბოძის მისაღობისა და მოკითხვის შემდეგ მისმა უწმიდესობამ თქვა: „უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ გამოვთქვა დიდი სიხარული და კმაყოფილება თქვენი საქართველოში ჩამობრძანების გამო. ვფიქრობთ, რომ ასეთი ვიზიტები მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ჩვენს ქვეყნებს შორის. რადგან მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ჩვენ სხვადასხვა ლენოშენიანებს ვეკუთვნით, მაგრამ რწმუნა ქრისტიანი ერთი გვაქვს. დღეს, როდესაც კაცობრიობა უფსერულის პირას დგას, ჩვენს ეკლესიებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. მახსოვს ბატონ ბილი გრემის /ცნობილი ბაპტისტი მქადაგებელი/ სიტყვა, რომელიც მან მოსკოვში წარმოთქვა. მან თქვა: „იმ დროს, როცა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს უჭირდა და, საერთოდ, უჭირდა მთელ მსოფლიოს, ჩვენმა ქვეყნებმა გამოიხატეს საერთო ენა და ერთობლივი ძალით დამარცხეს მტერი. ბირთვული იარაღის სახით დღეს არანაკლები საფრთხე ემუქრება, როგორც ჩვენს ქვეყნებს, ასევე მსოფლიოს; ამიტომ საჭიროა გავერთიანდეთ, რათა თავიდან ავიცილოთ კაცობრიობის მოსიძობის საშიშროება. ასე რომ, ჩვენს ეკლესიებზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ქართული ეკლესია აქტიურ მონაწილეობას დებულვობს შვედობის დაცვის საქმეში. კერძოდ, იგი არის წვერი ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის, რესპუბლიკური და საკავშირო შვედობის დაცვის კომიტეტებისა. ვიცი და შემძლია კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ამერიკის ეკლესიებიც აქტიურად იბრძვიან შვედობისათვის. მართალია, ომის საშიშროება დღითიდღე იზრდება, მაგრამ, ამავე დროს, იზრდება მის მოწინააღმდეგეთა რიცხვიც. ჩერნობილის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რამდენად საშიშია ეს ენერჯია. რამდენად მაღალი სულიერი და ინტელექტუალური განვითარების უნდა იყოს ადამიანი, რომ მან შეძლოს ამ ენერჯიის მართვა. რა თქმა უნდა, დღეს ვერაინც და ვერაფერი შეაჩერებს მეცნიერულ პროგრესს, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ადამიანის სულიერ განვითარებას. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ეკლესია ამას ემსახურება.“

მინდა რამდენიმე სიტყვა ვითხრათ ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ. ქართული ეკლესია არის ერთ-ერთი უძველესი ეკლესია მსოფლიოში. ჩვენთან ქრისტიანობა იქადაგეს წმ. ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. 326 წელს; წმ. ქალწულ ნინოს დეაწლით, საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ხოლო 468 წელს ქართული ეკლესია ავტოკეფალური გახდა. ამის შემდეგ, რაც კი რამ შექმნილა ჩვენთან, ყველაფერი უკავშირდება

ქრისტიანობას. მივლი ჩვენი კულტურა /ლიტერატურა, მუსიკა, არქიტექტურა, მხატვრობა/ ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენდა. ქართული ეკლესია ეროვნული ეკლესიაა. მისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო აქ ისტორიულად თითქმის არ ყოფილა შვედობიანი ცხოვრების დრო, ავადებით ვაშ ქართული ეკლესია მუდამ გვერდში ედგა თავის ერს და მის სულიერ ძალას წარმოადგენდა. ამაჰად იგი დაყოფილია 15 ეპარქიად, რომლებსაც მართავენ მღვდელმთავრები. ქართულ ეკლესიას ურთიერთობა აქვს როგორც მართლმადიდებელ, ისე არა მართლმადიდებელ ეკლესიებთან. ჩვენიან ხშირად ჩამოიან დელეგაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ხშირია ჩვენი წარმომადგენლების საპასუხო ვიზიტებიც. სიამოვნებით შემიძლია ვთქვა, რომ ორჯერ გახლდით აშშ-ში და ახლა მე სამე ვიზიტისათვის ვეზადები. მსურს, უფრო მეტი კავშირი იყოს ჩვენს ეკლესიებს შორის.

დასასრულს, მინდა გამოვთქვა დიდი კმაყოფილება, იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის იყოს შვედობა და კეთილდღეობა. აგრეთვე, მინდა მოგახსენიო, რომ ქართული ეკლესია მხარს უჭერს ინიციატივას 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის მოსიძობის შესახებ. ჩემს აზრით, ეს წინადადება მეტად პროგრესულია და ვფიქრობ, კაცობრიობა ამას მადლწევს. ბილოს მინდა დავლოცო ჩვენი სახელმწიფოები და ეკლესიები. დღერთმა დალოცოს შვედობა ჩვენს ქვეყნებს შორის და საერთოდ, დელამწიხუ.“

ბ ა ტ ო ნ ი კ ლ ი ტ ო ნ გ ა რ დ ნ ე რ ი — უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენით ასეთი შინაარსიანი საუბრისათვის. დიან, ურთიერთვიზიტები ჩვენს შორის არსებობს. ამასთან დაკავშირებით, მაგონდება პროტოპრესვიტერ გურამ შალამბერიძის ვიზიტი შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის ეკლესიების დელეგაციასთან ერთად. ჩვენ არ ვიცით, რა პროგრამაა ჩვენთვის შედგენილი, მაგრამ ვისურვებდით წირვა-ლოცვაზე დასწრებას. ჩვენმა ბავშვებმა, როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში უნდა გამოემგზავრებულყოფიეთ, უამრავი ქაღალდის წერო გააკეთეს და გეთხოვეს საბჭოთა ბავშვებისათვის გადაცემა. ვთხოვთ, მიიღოთ ეს წეროები, გადასცეთ თქვენს ბავშვებს და, ამასთან ერთად, გადასცეთ მათ ჩვენი საუკეთესო სურვილები.

კ ა თ ო ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ი ლ ი ა II — ჩვენ დიდი სიამოვნებით ვლბებობთ ამ პატარა ქაღალდის წეროებს. ვთხოვთ, ჩვენგან მადლობა გადასცეთ თქვენს ბავშვებს. ვედლებით, რომ ჩვენსა და თქვენს ბავშვებს შორის იყოს მიწერ-მოწერა.


ერთ-ერთის ტუშარ... — ერთ-ერთმა პრესვიტერიანულმა ეკლესიამ, რომ შეიტყო ჩემი საბჭოთა კავშირში წამოსვლის შესახებ, გააკეთა ალაზი და გამოიტანა. ეს ალაზი იყოს სიმბოლო იმ სიყვარლისა, რომელიც არსებობს ჩვენს შორის. მასხედ გამოსახული ცხოველები მსოფლიოს პარტინიის გამოსახველია. ნება მიბოძეთ, იგი გამოგვცეთ თქვენ. მასთან ერთად გადაგვცეთ იმ პრესვიტერიანული ეკლესიის მოძღვრის წერილიც.

კ ა თ ო ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ი ლ ი ა II — გმადლობთ. მე შევედებო მიწერო მას და მადლობა გადაგუხადო.





წმიდა გიორგის ეკლესია შვენაბდას მთაზე



ირაკლი აბაშიძე

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია...
რა დიდ ფიქრშია, რა მწველ დარდზეა;
როგორ აძგერდნენ სამცხეს ქედები...
ვინ იცის, როგორ მელის ვარძია!
როგორ მელიან თმოგვის კედლები,
უთქმელ დაღადით, უთქმელ ვედრებით,
როგორ ამღერდნენ მაღალ ღმერთისთვის...
როგორ მელიან თმოგვის კედლები,
ვინ იცის, როგორ მელის ხერთვისი...
იმ ძველ მოძღვრისთვის, იმ ძველ მხედრისთვის,
სიცოცხლეს მხოლოდ ერთი აზრი აქვს...
ვინ იცის, როგორ მელის ხერთვისი!
როგორ მელიან მტკვარზე მერცხლები,
ნამი, რომელიც ველის ვარდზეა...
ვინ იცის, როგორ მელის მესხეთი,
ვინ იცის, როგორ მელის ვარძია!...

წინაპრები

ფეხშიშველმა, მუხლის მოყრით,
 ვინც ილოცა ლომისაო,
 მერმე ჯავრი აღარ ჰქონდა
 უთვლელ მტრებთან ომისაო.
 დრო არ დარჩა გადამთიელს
 ზვენს მიწაზე დგომისაო,
 ქარმა შორითშორს წაიღო
 ფოთლად შემოდგომისაო.
 ვეფხვის მომრევ მოემის ხელი,
 როგორც ტორი ლომისაო,

შუბლში მოხვდა მოძალადეს,
 გაქრა ბნელის ტომისაო.
 ვინაც მამულს შეეწირა,
 გამობრწყინდა მადლითაო,
 თვით უფალი შეეწიათ,
 ანათებენ მადლითაო.
 ხარის რქებზე წმიდა სანთლებს
 აანთებენ თრთოლვითაო,
 ინეტარეთ დიდ ნათელში,
 დაღლილებო ბრძოლითაო.



მოწამეთა

ტაძარი ძმათა, ხარ მოწამეთა,
 საფანე გმირთა, თავდადებულთა,
 ტაძარი ძმათა, ხარ მოწამეთა,
 მუხლებმოყრილი ვრურჩულებ შენთან.
 ამაოდ დაშვრა ურდო მომხედური,
 ვინ ვერ წარგვტაცა ერი და სჯული.
 გუმბათი ცასთან რამ შეაერთა?!
 თითქოს გალობენ ძმათა სულები,
 ცადასულები,
 უზენაესთან...
 ტაძარი ძმათა, ხარ მოწამეთა —
 ლურჯი სამოთხე,
 რათა ავმადლდე, შენს ბილიკებს
 ლოცვით გამოვყვე,
 დავით და კონსტანტინე!
 დავით და კონსტანტინე!
 თქვენეულ მსხვერპლ შეწირვის
 ნიჭი მომივლინე,
 ძალა მომივლინე,
 რწმენა მომივლინე,
 დავით და კონსტანტინე!
 დავით და კონსტანტინე!

შირეგვინა

უკვდავებით განმნათვლელო,
 საოცრებაჲ — შიომღვიმე!
 არ სცოდნია საქართველო,
 ალბათ, დღემდე, შენს არმხილველს.
 მცხეთის მთების მარგალიტო!
 ქართლის ლოცვად მქადაგებო,
 განგარიდეს ავთვალს თითქოს,
 გადაგმალეს საგანგებოდ.
 ბაღში სტვენა მგალობელთა
 მირონს უკმეფს შენს სამყაროს,
 თრთოლვით მოვალ შენს ფრესკებთან,
 რათა მუხლი მოვიყარო.
 შენთან ნახავს მომავალი,
 რაც ერს სწამდა და რაც ზრდიდა,
 თან მოგვევება რაღაც ვალი
 შენეული სიმდიდრიდან.
 უკვდავებით განმნათვლელო,
 ღვთის საუფლოდ მოგიგულებ,
 გალობს ძველი საქართველო,
 შენს გუმბათში მოგუგუნე.



«ДЖВАРИ ВАЗИСА»

(«КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ»)
ЖУРНАЛ ГРУЗИНСКОЙ ПАТРИАРХИИ

В этом году отмечался 800-летие скального города Вардзия, великолепного памятника грузинского зодчества. Сооружение Вардзия было начато при грузинском царе Георгии III, а завершено дочерью св. Царицей Тамар. Вардзия знаменует собой расцвет и развитие национальной культуры, литературы и искусства Грузии.

Журнал открывается стихотворением поэта и мыслителя XII века—Иоанне Шавтели «Песнопения Вардзийской Богородицы».

Телеграммы, послания...

В этой рубрике печатается послание Католикоса—Патриарха всея Грузии Илии II к Пале Римскому Иоанну—Павлу II, в котором выражается благодарность главе Католической Церкви за добрые пожелания и за крест, переданный представителям Грузинской Церкви, принимавшим участие в совместной молитве в итальянском городе Ассизи.

Здесь же читатели ознакомятся с поздравительными посланиями и телеграммами Диодороса I—Патриарха Иерусалимского, Иоанна—Павла II—Папы Римского, Ричарда Гросхарда—представителя Союза Берлинской Евангелической Церкви, Отца Джино Кириле пиове—из Рыма, д—ра Вальтера Мюллер—Ромхельда из Франкфурта, архимандрита д—ра Геннадияс Лимоуриса и преподобного д—ра Гюнтера Гасмана, из Женевы.

Мир всем

В текущем году желанным гостем Грузинской Церкви являлся Блаженнейший Феодосий, Архиепископ Вашингтонский, Митрополит всея Америки и Канады.

В журнале печатается приветствия Католикоса—Патриарха Илии II и Блаженнейшего Феодосия. Также дается информация об ответном визите Святейшего Илии II в США.

В этой же рубрике печатается информация о награждении Митрополита Давида (Чкадуа) за активную деятельность в деле защиты мира и в связи 60-летием почетной грамотой Президиума Верховного Совета Абхазской АССР.

В марте месяце по приглашению национального совета Христа Соединенных Штатов Америки делегация Христианских Церквей Советского Союза посетила США. В журнале печатается письмо Митрополита Давида (Чкадуа), в котором он делится своими информацией и сведениями о мирных форумах и конференциях, проходивших в разных странах мира, участниками которых являлись представители Грузинской Церкви.

В связи 800-летием Вардзия читателям предлагается редакционная статья, также печатается письмо профессора Г. Гаприндашвили.

Велика заслуга епископа Габриэла Кикодзе перед Грузинской Православной Церковью, в духовной жизни Грузии. Он был выдающимся церковным деятелем. Нынешнее поколение особенной любовью и с благоговением произносит его светлое имя. «Светоч Грузинской Церкви»—под этим общим заглавием объединены несколько писем. Здесь же печатается слово великого писателя и мыслителя XIX в. Ильи Чавчавадзе, произнесенное им в Гелатском монастыре, на похоронах епископа Габриэла.

«Богословие»

В исторических документах, летописях, записках путешественников, паломников, миссионеров сохранились интересные сведения о взаимоотношениях Грузии с католическим Римом. Из—за сложности политической ситуации Грузии эти связи не всегда развивались равномерно. Грузия сегодня на экуменическом этапе своего развития, неуклонно стремится к более тесным контактам с католическим миром. Одним из скромных примеров этих стремлений является обзорный труд епископа Амвросия «Понтификат Папы Павла VI».

Проповеди, Учения...

Читатели ознакомятся с двумя проповедями епископа

Зосимэ: «Царство небесное» и «Поминание Пророка Ионы».

В журнале печатаются учения Ефрема Сирина: «Путь к умиротворению» и «душевному покою».

На заре зарождения христианства в Месхети, одну из древних исторических провинций Грузии, для несения слова Божиего прибыли апостолы Андрей Первозванный и Симон Кананит.

В месхети строились великолепные храмы, создавались прекрасные образцы монументальной живописи, чеканки, литературы.

Три века Месхетия находилась под игом захватчиков. И только в прошлом веке часть этой провинции была возвращена Матери Грузии. Непрерывные нашествия иноземцев, особенно турко—сельджуков, уничтожили многое, но не всё: сохранились памятники церковной и гражданской архитектуры. Даже то, что лежит в развалинах, дает живое представление о былом величии этого древнего края нашей родины.

Следует отметить, что население этого края, потерявшее почти всё, сохранило родной язык и бережно передавало из поколения в поколение предания о великих деяниях предков.

В журнале печатается статья местного епископа Анании

(джапаридзе) «Из прошлого Месхети». Читатели ознакомятся собранными автором преданиями о христианстве и строительстве Церквей в Месхети.

Прощание

В бозе почил Блаженнейший Папа и Патриарх Александрии и всея Африки Николай VI; эта весть со скорбью было воспринято Грузинской Церковью. Покойный являлся известным церковным деятелем, неутомимым борцом за мир, нашим истинным, преданным другом. В редакционной статье и в прощальном слове Митрополита Давида выражена глубокая скорбь верующих грузинской церкви по случаю кончины Блаженнейшего Николая VI.


В марте сего года в возрасте 96 лет почила в бозе старейшая монахиня Женского монастыря в Самтавро Ефимия. В журнале печатается прощальное слово епископа Зосимэ.

В журнале печатаются информации о посещающих в текущем году Грузинскую Церковь иностранных гостей и записки их бесед с Католикосом—Патриархом всея Грузии Илией II.

В рубрике «Поэзия» печатаются стихи архиепископа Тадеоза (Иорамашвили), поэта-академика И.А.Абашидзе, и поэтессы В Гудушаури.



საინკილო. ქათმისხვევი წმიდა ნინოს სახ. ტაძარი



D J V B A R I V A Z I S A

№ 2, 1986

(Cross of Vine)

The 800 years anniversary of the carved in rocks town of Vardzia was celebrated this year in Georgia. The building of this great town and the Cathedral of Mother of God are closely connected with the name of Georgian Queen Tamar (the town was founded during the reign of Tamar's father King George III). Being the reliable fortress at the Southern boarder of Georgia, Vardzia was the source of inspiration of many people, who saw it or lived there ... many legends, historical notes and poetry are devoted to it. The journal opens with the verse of the contemporary poet Ioane Shavteli „Praising the Holy Virgin of Vardzia“.

„Telegrams... Epistles...“ — The journal presents the letter of the Catholicos—Patriarch of All Georgia Ilia II to Pope of Rome John Paul II, in which he extends his gratitude for the best wishes and present sent to him by His Holiness John Paul II, during the Days of Prayer in Asizi, where representatives of Georgian Orthodox Church participated. Other letters, epistles and telegrams are printed here as well.

„Peace to All“ — His Beatitude Theodosius, Archbishop of Washington, Metropolitan of All America and Canada was the honourable guest of Georgian Church this year. The welcome speeches of His Holiness and Beatitude Ilia II and His Beatitude Theodosius, as well as the information about the re-

turn visit of the Catholicos—Patriarch of All Georgia to Orthodox Church in America are printed here.

The information about granting the Honorary Diploma of the Presidium of Supreme Council of the USSR to Metropolitan David of Sukumi and Abkhazeti for his peacemaking activities is given under the same title.

The article „Common Prayer in Asizi“ by Metropolitan Constantin /Melikidze/ acquaints us with the significance of the event which took place in the small Italian town Asizi, in october of this year and the impressions and experiance of the delegation of Georgian Church.

The representatives of Christian Churches in the USSR were in the USA in March of this year by the invitation of National Council of Churches of Christ in the USA. Metropolitan David, Head of External Relations Department of Georgian Patriarchate was a member of the delegation... The journal presents the informatiion about different conferences and meetings, attended by the representatives of Georgian Church.

The article by Prof. G. Gaprindashvili and verse by poet I. Abashidze are dedicated to the 800 years anniversary of Vardzia...

Great is the merit of Bishop Gabriel and his activity for the



ამაღლება



ჭვრის აშაღლეზა. ტაძრის კარიბჭის თაღის მოხატულობა

benefit of Georgian Orthodox Church... with great respect remembers his name the contemporary generation...

„Lantern of Georgian Church“ — The words of the great Georgian Writer Ilia Chavchavadze, said at the burial day of Bishop Gabriel in Gaenati Monastery, as well as the last wishes of the bishop, are printed under this title.

The relations between Georgian Orthodox and Roman Catholic Churches have the long history of many centuries... sometimes they were not quite stable because of the difficult political situations... not many documents exist today, concerning these but only some old chronicles, historical notes and recordings by travellers, pilgrims and missionaries. Today, Georgian Church in its Ecumenical movement is striving for the brotherly ties with Roman Catholic Church... A part from the work by Bishop Ambrosius /Katamadze/ „Pontificate of the Pope Paul VI“ is printed in the journal.

„Preachings and Teachings“ — The reader is acquainted with two preachings by Bishop Zosime /Shioshvili/ „The realm of God“ and „Memory of St. John the Divine“, as well as the teaching by Ephrem of Asuri „For Peace“.

At the dawn of Christianity, St. Apostles Andrew the First Called and Simon the Canaanite came to the land of Georgia to spread the word of Christ... many churches and cathedrals were built since those times... the hearts and minds of people were filled with the true faith... but various invasions devastated and ruined all that was built during the centuries.. almost for three centuries the land of Meskheta was under the rule of Turk—Selchuks... but people preserved their language and traditions of their ancestors.

The article „From the Past of Meskheta“ by Bishop Anania acquaints us with the history, traditions and faith of this heart of Georgia.

By passing away peacefully in his sleep, His Beatitude Nicholas VI, Pope and Patriarch of Alexandria and All Africa made a heavy loss to Georgian Church. He was an outstanding ecclesiastical figure... tireless and great person striving for peace... and a devoted and much beloved friend of Georgian Church and people.

For about two weeks he was the honourable guest of Georgian Church this year... happy and joyful to be here... as if he knew „I think we“ ll not see each other for a while, but be sure that with my prayers I will be always with you all“, he said in his farewell speech.

The great sorrow of Georgian people is expressed in the article by Metropolitan David of Sukhumi and Abkhazeti, the great sorrow of all those who knew His Beatitude.

Nun Ephemina passed away at the age of 96 in the Monastery of Samtavro this March. The obituary and the speech of Bishop Zosime are printed in this section of the journal, acquainting the reader with 80 years of the life of Nun Ephemina spent at the Monastery of Samtavro.

The journal presents some articles, notes and information about the receptions given by the Catholicos—Patriarch of All Georgia, as well as the visits of different guests to Georgian Patriarchate.

„Poetry“ — The verses by Poet-Academician I. Abashidze Archbishop Thadeus and poet E. Gudushauri are printed here.





მუხუმუხუ თამარი, ვარძიის სურსკა.



ეპისკოპოსი გაბრიელი და მისი საშუქსო.

ქართული ანბანი

ა	ⴁ	ბ	ⴂ	1	ს	ⴄ	შ	ⴆ	200
ბ	ⴃ	გ	ⴄ	2	ⴇ	ⴈ	ჭ	ⴉ	300
გ	ⴅ	დ	ⴆ	3	ⴋ	ⴌ	ც	ⴍ	
დ	ⴇ	ე	ⴈ	4	ⴏ	ⴐ	ძ	ⴑ	400
ე	ⴉ	ვ	ⴊ	5	ⴒ	ⴓ	წ	ⴔ	500
ვ	ⴋ	ზ	ⴌ	6	ⴕ	ⴖ	ჭ	ⴗ	600
ზ	ⴍ	თ	ⴎ	7	ⴙ	ⴚ	ყ	ⴛ	700
თ	ⴏ	ი	ⴐ	8	ⴜ	ⴝ	ღ	ⴞ	800
ი	ⴑ	კ	ⴒ	9	ⴟ	ⴠ	წ	ⴡ	900
კ	ⴃ	ლ	ⴄ	10	ⴢ	ⴣ	ჭ	ⴤ	1000
ლ	ⴅ	მ	ⴆ	20	ⴥ	⴦	ც	ⴧ	2000
მ	ⴇ	ნ	ⴈ	30	⴨	⴩	ძ	⴪	3000
ნ	ⴉ	ო	ⴊ	40	⴫	⴬	წ	ⴭ	4000
ო	ⴋ	პ	ⴌ	50	⴮	⴯	ჭ	ⴰ	5000
პ	ⴍ	ჟ	ⴎ	60	ⴱ	ⴲ	ყ	ⴳ	6000
ჟ	ⴏ	რ	ⴐ	70	ⴴ	ⴵ	ღ	ⴶ	7000
რ	ⴑ	ს	ⴒ	80	ⴷ	ⴸ	წ	ⴹ	8000
ს	ⴃ	ტ	ⴄ	90	ⴺ	ⴻ	ჩ	ⴼ	9000
ტ	ⴅ	ც	ⴆ	100	ⴽ	ⴾ	ც	ⴿ	10000

